პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (უოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე,
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) დღის მორიგეს 13—30.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ძვირდება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

ოთხშაბათი, 11 ივლისი 1928 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 159 (2202)

დღიური

- საფრანგეთის კომპარტიის მოწოდება.
- საბჭოთა ისტორიკოსების კვირეული ბერლინში.
- მინისტრების შეცვლა იტალიაში
- ჟანდარმების თავდასხმა გაფიცულ მეთამბაქოებზე საბერძნეთში.
- ჩილის სამხრეთ სანაპიროებზე ჩაიძირა სამხედრო ტრანსპორტი 300 მგზავრით.
- 9 ივლისს მოსკოვში გაიხსნა პარიზის კომუნის გამოფენა.
- მოსკოვში ჩამოვიდა იაპონელთა ექსკურსიის პირველი ჯგუფი.

ოთხშაბათს, ამ წ. ივლისის 11-ს საღამოს 7 საათზე
შესდგება
ს. ს. ცაკის პრეზიდიუმის მორიგი სხდომა
დასწრებით ყველა წევრებისათვის სავალდებულოა
ს. ს. ცაკის მდივანი ვარძიელი

ნანკინი და იმპერიალისტები

საჭიროდ მიგვაჩნია შევჩერდეთ ნანკინის მთავრობის დეკლარაციაზე, რომელსაც დღეს ვაქვეყნებთ. პირველ ყოვლისა აღსანიშნავია, რომ ნანკინელ მილიტარისტებს ჩინეთის გაერთიანების საქმე უკვე დამთავრებულად მიაჩნიათ. ეს, რა თქმა უნდა, სინამდვილეს არ შეეფერება. მართალია, სამხრეთელებმა დაიპყრეს პეკინი, ტიანძინი და მთელ ჩინეთის მიწაწყალზე (მანჯურიის გამოკლებით) გომინდანის დროშა აღმართეს, მაგრამ ამით სრულებითაც არ გადაწყვეტილა ქვეყნის გაერთიანების და ცენტრალურ ხელისუფლების შექმნის საკითხი.

ჯერ ერთი, მანჯურია (რომლის ტერიტორია უდრის 940 ათას კილომეტრს, ხოლო მოსახლეობა 22 მილიონ კაცს) სავსებით ნანკინის გავლენის გარეშე იმყოფება. არც ამ კუთხის გაბატონებული შინაური რეაქციონური ძალები, რომლებსაც ჩანძო-ლინის მემკვიდრე ჩან-სიუე-ლინი მეთაურობს, და არც მით უფრო იაპონელი იმპერიალისტები, რომლებიც მანჯურიას თავის სრულ კოლონიად სთვლიან, არ დაუშვებენ იქ სამხრეთელების შესვლას.

მთავარი კი ის არის, რომ თვით სამხრეთელებს შორის ღრმა უთანხმოებას აქვს ადგილი. სამი ძირითადი ჯგუფი—ჩან-კაი-შის (საბანკო კაპიტალი და მსხვილი მრეწველობა), ფინ-იუ-სიანის (ვაჭრობა და მეტ წილად საშუალო ბურჟუაზია) და ენ-სი-შანის ფეოდალური და კულაკური წრეები) ეცილებიან ერთმანეთის ძალაუფლებას და ცდილობენ ერთმანეთზე გაბატონებას. ამავე დროს კანტონში მოკალათებულია ინგლისის ორიენტაციის დიქტატორი ლი-ცი-სინი და უხანში—გუანსის ჯგუფი ბაი ცუნსის მეთაურობით. ყველა ეს მილიტარისტული გაერთიანებანი ნანკინის მთავრობას მხოლოდ ნომინალურად, ქაღალდზე სცნობენ. ამჟამად მთავარი მნიშვნელობა აქვს ზევით ხსენებულ სამ ძირითად ჯგუფის ურთიერთ დამოკიდებულებას. უკანასკნელს სხვათა შორის, კარგად ახასიათებს ჩან-კაი-შის ცდა, რომ დედა-ქალაქი პეკინიდან ნანკინში გადაიტანოს, რაც მიზნად ისახავს ენ-სი-შანის (რომელიც პეკინს ფლობს) გავლენის შესუსტებას.

ამგვარად ჩინეთის გაერთიანება ჯერ ჯერობით ფიქციაა; მილიტარისტულ ჯგუფს შორის დამყარებულია მხოლოდ დროებითი და მერყევი წონასწორობა, რომელიც სულ ადვილად შეიძლება დაირღვეს. გასაკვირი არ იქნება. თუ მათ შორის ომიც გაჩაღდება.

ეს გარემოება მათ თვითონ მშვენივრად იციან, რა თქმა უნდა. ნანკინის მთავრობა თავისი ზევით მოყვანილი განცხადებით (რომ ჩინეთის გაერთიანების საქმე თითქო დასრულებული იყოს), რომლის დანიშნულებაა ერთი მხრით მასების მოტყუება და თავის გამოყვანა ქვეყნის გამაერთიანებლის როლში, ხოლო მეორე მხრივ ზეგავლენის მოხდენა იმპერიალისტურ სახელმწიფოებზე, — ამ განცხადებით ნანკინის მთავრობა შეცდომაში ვერავის შეიყვანს.

ჩინეთის ნამდვილი გაერთიანება კი ერთ-ერთი ძირითადი პირობაა იმპერიალისტების ულლისაგან მისი განთავისუფლებისათვის. ამიტომაც ასე იბრძვიან იმპერიალისტები, კერძოდ იაპონია და ინგლისი, ამ გაერთიანების წინააღმდეგ. და აქ ისინი ზედმიწევნით იყენებენ სამხრეთელთა ბანაკში არსებულ ურთიერთ მტრობას და ინტერესთა წინააღმდეგობას. კერძოდ, ცნობილია, რომ ენ-სი-შანი იაპონიის მთავრობასთანაა დაახლოვებული (ტყუილად ხომ არ მოუწვევია მას იაპონელი მრჩეველი!), —იაპონიის მთავრობასთან, რომელმაც შანდუნის ოკუპაცია მოახდინა და რომელიც ყველაზე უფრო მოსისხლე მტერია ჩინეთის დამოუკიდებლობის.

ასეთ პირობებში ნანკინის მთავრობა აყენებს უთანასწორო ხელშეკრულებათა გაუქმების საკითხს და მოითხოვს იმპერიალისტურ ქვეყნებთან დამოკიდებულების დამყარებას ურთიერთ თანასწორობის, ჩინეთის სუვერენიტეტის და მისი ტერიტორიული მთლიანობის აღიარების საფუძველზე. აშკარაა, რომ იმპერიალისტები ამაზე არ წავლენ. საგულისხმოა, რომ იმპერიალისტები, თუმცა მათ ფაქტიურად ურთიერთობა აქვთ ნანკინის მთავრობასთან, მაგრამ სრულებით არ ჩქარობენ მის თუ გინდ დე - ფაქტო ცნობას. ისინი იცდიან შესძლებს თუ არა ნანკინის მთავრობა განამტკიცოს თავისი მდგომარეობა და იქცეს მთელი ჩინეთის ნამდვილ ხელისუფლებად. ცხადია, გულზე ხელდაკრეფილი კი არ იცდიან, არამედ ყოველნაირად ცდილობენ გაალრმავონ რღვევის პროცესი სამხრეთელთა შორის და არ დაუშვან ჩინეთის გაერთიანება. მაინც აშკარაა იმპერიალისტებისათვის, რომ მთლიანად ისინი ვერ შეინარჩუნებენ თავის პრივილეგიებს ჩინეთში. ეს შეუძლებელია იმ უდიდესი ამბების შემდეგ, რომლებიც ჩინეთში მოხდა უკანასკნელ წლების განმავლობაში. იმპერიალისტების მეცადინეობა იქითკენაა მიმართული, რომ რაც შეიძლება ნაკლები დაუთმონ ჩინეთს. ნანკინის მთავრობის ცნობისათვის ისინი ვაჭრობას აწარმოებენ! რომ მათი ძირითადი პოზიციები ამა თუ იმ ფორმით ხელუხლებელი დარჩეს ჩინეთში.

და ჯერ - ჯერობით ამ ამოცანას ისინი მიაღწევენ როგორც იმ უთანხმოების გამო, რომელიც ჩინეთის სამხრეთელ მილიტარისტებს შორის არსებობს, უმთავრესად კი იმიტომ, რომ გომინდანმა, რომელმაც გასცა და სისხლში ჩაახრჩო რევოლიუცია, ზურგი არა აქვს გამაგრებული. იმპერიალიზმის ბატონობის დამსხვრევა შესაძლებელია მხოლოდ მშრომელ მასების ამოძრავების გზით. ჩინეთის ბურჟუაზია კი, მიუხედავად იმპერიალისტების მონობისაგან ჩინეთის განთავისუფლებაზე ლაპარაკისა, რა თქმა უნდა, არჩევს მათთან თანამშრომლობას, ე. ი. ხელის აღებას ქვეყნის ნამდვილ განთავისუფლებაზე, ოღონდ ჩაკლას მუშათა და გლეხთა მასების რევოლიუციონური მოძრაობა.

უკანასკნელთ შეგნებული აქვთ ჩან-კაი-შების მოღალატური ბუნება და ისინი კომპარტიის ხელმძღვანელობით კვლავ რაზმავენ თავის ძალებს, როგორც „მშობლიური“ ბურჟუაზიის, ისე იმპერიალისტების ბატონობის მოსასპობად.

საგულისხმიერო დემონსტრაცია

კვირას მოსკოვის პროლეტარიატი—150,000 კაცზე მეტი — შეიკრიბა დემონსტრაციაზე და ძმურად მიესალმა მოსკოვში მოსულ 600 უკრაინელ პროლეტარს. უკრაინისა და რუსეთის საბჭოთა სოციალიტური რესპუბლიკების მშრომელთა ერთობის ეს დემონსტრაცია ფრიად საყურადღებოა როგორც თავისი სიდიდით, ისე პოლიტიკური და კულტურული მნიშვნელობით. დემონსტრაცია, პირველ ყოვლისა, საყურადღებოა იმ მხრით, რომ იგი მოხდა საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის ხუთი წლის თავზე, საბჭოთა კონსტიტუცია ერთ-ერთი ისტორიული დოკუმენტია იმ დოკუმენტთა შორის, რომლებიც უალრესად სძულს საერთაშორისო ბურჟუაზიას. მიზეზი ცხადია: საბჭოთა წყობილებამ პირველად შექმნა სხვადასხვა ერის თავისუფალი, ერთად ცხოვრების ფორმა ნაციონალური ჩაგვრის გარეშე; იმპერიალიზმის არსებობის ერთ-ერთ საფუძველს კი შეადგენს „კულტურული“ ერების უმნიშვნელო უმცირესობის ბატონობა დაჩაგრულ ხალხების დიდ უმრავლესობაზე.

საბჭოთა კონსტიტუციის მაგალითი მეტად სახიფათოა იმპერიალიზმისათვის, რადგან იგი ძალიან ადვილად გადაედება მშრომელ მასებს. ბურჟუაზია საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის წინააღმდეგ სხვადასხვა თვალსაზრისით ილაშქრებს. რუსეთის ბურჟუაზიული ემიგრაცია — მარკოვებით და პურიშკევიჩებით დაწყებული და მილიუკოვებით გათავებული — გაჰყვირის, რომ რუსეთი „მთლიანი, განუყოფელი“ აღარ არის, საბჭოებმა „რუსეთის ყოფილი იმპერია“ სხვადასხვა ეროვნული ნაჭრებისაგან შეკერილ „ჭრელ საბნად“ გადააქციეს და მოსპეს ყოფილი „იმპერიის“ სახელმწიფოებრივი მთლიანობა. ეს ყვირილი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მხოლოდ ნიღაბს წარმოადგენს იმ მიზრახვების დასაფარავად, რომლის მიზანია დიდმპყრობელური ველიკოროსიული შოვინიზმის — მონარქიზმის აღდგენა და იმ სატუსაღის ხელახლა აღმართვა, რომელსაც მეფის რუსეთი წარმოადგენდა ეროვნულ უმცირესობათათვის.

მაგრამ პროლეტარულმა რევოლიუციამ ისეთი ბუმბერაზული ძალით გამოაფხიზლა ახალი ცხოვრებისათვის მშრომელთა მრავალმილიონიანი მასები და თვალი აუხილა ველიკოროსიული შოვინიზმის კლასობრივ—თავადაზნაურულ და ბურჟუაზიულ მნიშვნელობაზე, რომ საბოლოოდ დანგრეულ „ხალხთა სატუსაღოსთვის“ ოცნებას განხორციელება არ უწერია. საბჭოთა კავშირის ერები ცხოვრობენ და კვლავაც იცხოვრებენ ძმურ თანასწორუფლებიან კავშირში ეროვნული ჩაგვრის გარეშე.

ცილისწამების მეორე, საწინააღმდეგო „ვერსიას“ ასაზრდოებს საერთაშორისო ბურჟუაზია. სწორედ ის საერთაშორისო ბურჟუაზია, რომელსაც რუსეთის ცარიზმის სახით თავისი აგენტი — ვასალი ჰყავდა და სამოქალაქო ომის დროს რამოდენიმე წლის განმავლობაში ხელს უწყობდა კოლჩაკებს და დენიკინებს, რომლებიც მათორახეთა და გენერლის ქუსლით ავრცელებდნენ „მთლიანი, განუყოფელი დიდი რუსეთის“ იდეას და თავიანთი თავად-აზნაურული სახელის შეურაცხყოფად სთვლიდნენ, რომ „ანგარიში გაეწიათ“ „ხახოლებისათვის“, ებრაელებისათვის, პოლონელებისათვის, სომხებისათვის და სხვა,— სწორედ ეს საერთაშორისო ბურჟუაზია ავრცელებს ახლა სიცრუეს ეროვნულ უმცირესობათა ჩაგვრის შესახებ. ასეთი ჩაგვრის ფაქტის „დასამტკიცებლად“ იგი ფულსაც კი ხარჯავს იმგვარი თავშესაქცევი „მთავრობების“ ორგანიზაციასა და გამოკვებაზე, როგორიც არის მაგალითად, უკრაინის მთავრობა, მოკალათებული საბჭოთა კავშირის საზღვრებს გადაღმა, უცხოეთის ტერიტორიაზე. ამგვარს შესანიშნავ „მთავრობებს“ ის პლიუსი აქვთ, რომ საუკეთესოდ ამხელენ მათ ორგანიზატორებს. ვისთან მეგობრობს, მაგალითად, თეთრ-უკრაინელი „მთავრობა“ ან, უფრო სწორედ—მისი ორგანიზატორები „უკრაინის სახალხო დემოკრატიული საზოგადოების“ სახით? მეგობრობს ეროვნულ უმცირესობათა ისეთ სახელგანთქმულ „გამანთავისუფლებელთან“, როგორიც არის პოლონეთის მთავრობა, რომლის ხელშიაც ყოველი უკრაინელი და ბელორუსი საკანში იქნება გამომწყვდეული, თუ კი გაბედავს და დაიცავს თავისი ერის ინტერესებს.

განა საჭიროა ბელორუსთა გრომადის „პროცესის“ გახსენება? თუ ნამდვილად რანაირ როლს ასრულებენ უკრაინელი „მმართველები“ ვარშავაში, ამას გვიჩვენებენ ლევიცკის გამოსვლები სეიმში,— ლევიცკის, რომელიც პოლონეთის საზოგადოებრიობას ამზადებს „კიევზე“ გასალაშქრებლად და გადაკვრით ლაპარაკობს კიეველების „განთავისუფლებაზე“ იმ წესით, რა წესითაც „თავისუფლდებიან“ დასავლეთ უკრაინის მცხოვრებნი. თუ რა გულთბილად ეკიდება პოლონეთის მთავრობა ლევიცკის იდეებს მუშათა და გლეხთა ხელისუფლებისაგან კიევის ახალი „განთავისუფლების“ შესახებ, ამას ადასტურებს თუნდაც ის გარემოება, რომ პოლონეთის ხელისუფლების წარმომადგენელნი დემონსტრატიულად დაესწრნენ პეტლიურას ხსოვნის აღსანიშნავად გამართულ კრებებს. ის თამაში, რომელსაც საერთაშორისო ბურჟუაზია პოლონეთში აწარმოებს, ყველასათვის ნათელია. ბატონნი ლევიცკები ვერავის მოატყუებს, ვერც პოლონეთში, ვერც ლონდონში და ვერც საბჭოთა კავშირში.

მოსკოვისა და ხარკოვის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოები, რომლებიც სრულის უფლებით ლაპარაკობენ რუსეთის და უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკის სახელით, თავიანთ მოწოდებებში აშკარავებენ საერთაშორისო ბურჟუაზიის თამაშს და აცხადებენ: საბჭოთა კავშირის მშრომელთა მილიონები, ეროვნების განურჩევლად, მზად არიან სათანადო პასუხი გასცენ საერთაშორისო ბურჟუაზიას, თუ კი ის ეცდება და შეუტევს საბჭოთა კავშირს ან საბჭოთა კავშირის რომელსამე რესპუბლიკას. საბჭოთა კავშირის მშრომელთა შორის აღარ არსებობს „ხახოლი“ და „კაცაპი“, არამედ არის მხოლოდ მუშათა და გლეხთა კლასობრივი ბრძოლის საერთო ფრონტი იმპერიალიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ, ეროვნული ჩაგვრისა და იმპერიალიზმის სამხედრო ავანტიურების წინააღმდეგ, ბრძოლის საერთო ფრონტი სოციალიზმის მშვიდობიანი მშენებლობის უზრუნველსაყოფად და საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნარის გასაძლიერებლად იმ შემთხვევაში, თუ იმპერიალისტები ეცდებიან ამ მშვიდობიანი მშენებლობის ჩაშლას.

დეე, ხარკოველი და მოსკოველი მუშების ძმური ერთობის შესანიშნავმა დემონსტრაციამ დაანახოს ჩვენ მტრებსა და მეგობრებს საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთ, როგორ იქცევა საბჭ. ქვეყანაში ერების ჭეშმარიტი და დაურღვეველი ერთობა ეროვნული ჩაგვრის მოსპობის ნიადაგზე. დეე, ფრთხილად იყვნენ ჩვენი მტრები თავიანთ ავანტიურებში. დეე, მალე მიბაძონ საბჭოთა კავშირის მაგალითს ყველა ქვეყნის ჩვენმა მეგობარმა მუშებმა.

„პრავდა“, 10 ივლისი.

ნანკინის მთავრობის დეკლარაცია უთანასწორო ხელშეკრულებების შესახებ

გერმანიის პრესა მოითხოვს ეკონომიური ურთიერთობის გაფართოვებას საბჭოთა კავშირთან

პოლონეთ-ლიტვის მოლაპარაკება ჩაიშალა

ნანკინის მთავრობის დეკლარაცია

უთანასწორო ხელშეკრულებათა გაუქმების შესახებ

შანხაი, 9 ივლისი. გამოქვეყნდა ნანკინის მთავრობის საგარეო საქმეთა სამინისტროს შემდეგი ოფიციალური დეკლარაცია:

„ნაციონალური მთავრობა თავის ყველაზე სასწრაფო ამოცანად სთვლიდა უთანასწორო ხელშეკრულებათა გაუქმებას და ახალ ხელშეკრულებათა დადებას თანასწორობისა და ტერიტორიალური სუვერენობის პატივისცემის საფუძველზე. ამჟამად, როცა ჩინეთის გაერთიანების საქმე დამთავრებულია, ნაციონალური მთავრობის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ყოველი ღონისძიება მიიღოს ამ მიზნების განსახორციელებლად.

ნაციონალური მთავრობა შემდეგს აცხადებს ყველა უთანასწორო ხელშეკრულებათა შესახებ:

1) ყველა უთანასწორო ხელშეკრულება, რომლის მოქმედების ვადამ უკვე განვლო, გაუქმებულ უნდა იქნეს და მის ნაცვლად დაიდვას ახალი ხელშეკრულება.

2) ნაციონალური მთავრობა დაუყონებლივ იღებს ზომებს, რომ შესწყვიტოს მოქმედება იმ უთანასწორო ხელშეკრულებების, რომელთა ვადა ჯერ არ გასულა და დასდვას ახალი ხელშეკრულებები.

3) იმ ძველ ხელშეკრულებათა ნაცვლად, რომელთაც ვადა უკვე გაუვიდათ, მაგრამ ჯერ არ შეცვლილან ახალი ხელშეკრულებებით, ნანკინის მთავრობა მიზნად ისახავს შესაფერ დროებითი წესების შემუშავებას.

იაპონია და უთანასწორო ხელშეკრულებები

პეკინი, 9 ივლისი. იაპონიის ორგანო „ნორტ ჩაინა სტანდარტ“-ი, მოწინავე წერილში ნანკინის მთავრობის დეკლარაციის გამო უ. თანასწორო ხელშეკრულებათა შესახებ, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს დეკლარაცია არ შეიძლება შეეხოს იაპონიას, რადგან ჩინეთ-იაპონიის 1896 წლის ხელშეკრულება მე-26 მუხლის თანახმად ავტომატიურად შედის ძალაში. კიდევ ათი წლის ვადით (ე. ი. 1937 წლამდე), ვინაიდან უკანასკნელი ვადის 1927 წლის აპრილის—გასვლის შემდეგ ექვსი თვის განმავლობაში ხელშეკრულების გადასინჯვა არ მომხდარა (ადს).

იაპონიის ყურმოჭრილი მონა

ხარბინი, 9 ივლისი. იაპონიის პრესის ცნობით, ჩან-სუე-ლიანმა იმ მიზნით, რომ შეეწყვიტა ჩან-ძო-ლინის მატარებლის აფეთქებაში იაპონიის მონაწილეობის შესახებ გავრცელებული ხმები და მით გაემართლებია თავისი დამორჩილება იაპონიის კონტროლისათვის—განკარგულება მოახდინა—გადასცენ სასამართლოს მატარებლის აფეთქების რაიონში მყოფი ყველა ჩინელი რკინის გზელი და ჩინეთის დამცველი რაზმის თანამდებობის პირი. ამასთანავე მუკდენის არსენალის ინჟინერმა ვანჩან-ჩუნმა აცნობა პრესას, თითქოს ყუმბარა იყო ჩან-ძო-ლინის ვაგონში, მაგრამ ვერავინ შენიშნა, სანამ არ აფეთქდა (ადს).

შახტის საქმეზე გამოტანილი განაჩენის გამოძახილი

ბერლინი, 9 ივლისი. „მონტაგ მორგენი“ შახტის პროცესის განაჩენის გამო სწერს: „გერმანიამ იმედი დაჰკარგა საქმიანი ურთიერთობის დაჭერისა საბჭოთა კავშირთან, რაც შედეგად მოჰყვა ცრუ მოლოდინს. ეს უიმედობა დაიწყო მას შემდეგ, რაც გერმანიის ბანკმა, ინგლის-საბჭოთა განხეთქილების გავლენით, ხელი აიღო გარიგებებზე საბჭ. კავშირთან; აგრეთვე მას შემდეგ, რაც ისინი წინააღუდგენ ისეთი საკითხების განხილვასაც კი, როგორიც არის საბჭოთა კავშირთან დადებული გარიგებების ფინანსიურად უზრუნველყოფა. ფაქტიურად კი,—გაზეთის სიტყვით,—მას შემდეგ, რაც გადაწყვეტილ იქნა 300 მილიონიანი კრედიტის მიცემა, გერმანიის სავაჭრო პოლიტიკა საბჭოთა კავშირის მიმართ შეიზღუდა გერმანია-საბჭოთა სავაჭრო ურთიერთობის უარყოფითი კრიტიკით. არაფერი გაკეთებულა იმისთვის, რომ გერმანიას ინგლის-საბჭოთა კონფლიქტი თავის ინტერესების სასარგებლოდ გამოეყენებია. გაზეთი მოითხოვს დადებით პოლიტიკას სავაჭრო ურთიერთობის საკითხში და ოპერაციების შემდგომ განვითარებას საბჭოთა კავშირთან, ამასთან გაზეთი ხაზს უსვამს სახელმწიფო ან სახელმწიფოს კონტროლ ქვეშ მყოფ ბანკის შექმნის საჭიროებას საბჭოთა კავშირთან საგარეო ვაჭრობის განსავითარებლად.

„მონტაგ მორგენი“-ს ეს განცხადებანი მეტად დამახასიათებელია, ვინაიდან, გერმანია-საბჭოთა ეკონომიური მოლაპარაკების შეწყვეტის შემდეგ, გერმანული ბურჟუაზიული გაზეთი საბჭ. კავშ. და გერმანიის სავაჭრო ურთიერთობის არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობისთვის პირველად სდებს ბრალს არა საბჭოთა კავშირს, არამედ გერმანიის ინიციატივის სიხუსტეს.

ის ყურადღება, რომელიც საბჭოთა ისტორიულმა გამოფენამ მიიქცია, მოწმობს აგრეთვე, რომ გერმანიაში მოხურნენი არიან გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის გაფართოვდეს კულტურული ურთიერთობა.

„კელნიშე ცეიტუნგ“-ი თვალსაჩინო ადგილზე ბეჭდავს საბჭოთა-გერმანიის პოლიტიკური ურთიერთობის ანალიზის დაწვრილებით პროგრამებს. მას მიუღებლად მიაჩნია დე მონზის გეგმა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართული სხვადასხვა კომბინაციების შესახებ. ნაცვლად ამისა, გაზეთს ამ წერილში წამოყენებული აქვს თეზისი საბჭოთა კავშირთან წინანდელი მეგობრული პოლიტიკის გაგრძელების შესახებ.

ბერლინი, 9 ივლისი. გავლენიანი ეკონომიური ორგანო „ინდუსტრი უნდ ხანდელ ცეიტუნგ“-ი იმ წერილში, რომელიც შახტის განაჩენს შეეხება, ცდილობს შთააგონოს თავის მკითხველებს, რომ შახტის ინცინდენტის შემდეგ საბჭოთა კავშირი გერმანიასთან ურთიერთობაში უნდა დაადგეს ეკონომიური დათმობის პოლიტიკას. წერილი გაჟღენთილია იმ აზრით, ვითომ საბჭოთა კავშირი დაინტერესებულია გერმანიასთან ეკონომიური ურთიერთობის ცალმხრივი განვითარებით.

ბერლინი, 9 ივლ.. გერმანიის მძიმე ინდუსტრიის ზოგიერთი წრეების ორგ. „რეინიშ-ვესტფალიშე ცეიტუნგ“-ი, ეხება რა შახტის პროცესის დამთავრებას სარგებლობს შემთხვევით და უკმეხად ილაშქრებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. გაზეთს საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ურთიერთობის განვითარების წინააღმდეგ მოჰყავს იგივე არგუმენტები, რაც ასე ჩვეულებრივია ინგლ. შუბდამგარეთა პრესისათვის. გაზეთისთვის დამახასიათებელია მისი ფანტასტიური ჭორები იმის შესახებ, ვითომ საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლები გერმანიაში აგიტაციას ეწევიან, „დინამიტს ინახავენ“, ვითომ მათ „აგიტატორების მთელი კადრიც ჰყავდეთ“ ამავე დროს გაზეთი სასტიკად აკრიტიკებს გერმანიის ელჩის (საბჭოთა კავშირში) გრაფ ბროკდორფ რანცაუს მოქმედებას და სწამებს მას რუსოფილობას. გაზეთი არ ერიდება პირადად ელჩის შეურაცხყოფას. უარყოფს რა პრინციპიალურად რაპალოს ხაზს, გაზეთი მოუწოდებს გერმანიას ინგლისთან მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებისაკენ. (ადს).

საბჭოთა ისტორიკოსების კვირეული

ბერლინი, 9 ივლისი. საზეიმო გახსნა საბჭოთა ისტორიკოსების კვირეულისა ბერლინში დამთავრდა იმ გამოფენის საზეიმო გახსნით, რომელსაც ეწოდება: „საბჭოთა რუსეთის ისტორიული მეცნიერება 1917-დან 1927 წლამდე“. გამოფენა იძლევა საბჭოთა ისტორიული კანონიერების განვითარების ნათელ სურათს საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის არსებობის 10 წლის განმავლობაში, ცალკე განყოფილებები იძლევიან საბჭოთა კავშირის ცალკე რესპუბლიკებში ისტორიული დისციპლინების დამუშავების ცხად სურათს. განსაკუთრებით მდიდარია უკრაინის, შემდეგ ბელორუსიის და საქართველოს განყოფილებანი. გამოფენამ საუცხოვო შთაბეჭდილება მოახდინა.

პოლონეთ-ლიტვის მოლაპარაკება ჩაიშალა

ვარშავა, 9 ივლისი. გაზეთები იუწყებიან, რომ პოლონეთ-ლიტვის მოლაპარაკება კოვნოში ჩაიშალა იმის გამო, რომ პოლონეთმა არ მიიღო უშიშროების ხელშეკრულების კონტრ-პროექტი, წარდგენილი ლიტვის მიერ. (ადს).

პოლონეთის პასუხი ლიტვის ნოტაზე

ვარშავა, 9 ივლისი. ლიტვის ნოტაზე და პოლონეთ-ლიტვის ხელშეკრულების პროექტზე, რომელიც დართული ჰქონდა ნოტას, პოლონეთის მთავრობამ უპასუხა, რომ სამწუხაროდ მას არ შეუძლია ლიტვის მთავრობის ნოტისა და წინადადების მიღება, რადგან, ერთი მხრით, პროექტი არ შეეფერება ერთა ლიგის საბჭოს რეზოლიუციას, რომელიც პოლონეთის მთავრობას გადაწყვეტილი აქვს დაიცვას, ხოლო მეორე მხრით იმიტომ, რომ ლიტვა ცდილობს პოლონეთის ტერიტორიალური მთლიანობა გახადოს სადისკუსიოდ, რასაც პოლონეთის მთავრობა არასოდეს არ დაუშვებს.

„მიუხედავად ამისა,—ნათქვამია დასასრულ პოლონეთის ნოტაში,—პოლონეთის მთავრობა ერთა ლიგის საბჭოს რეზოლიუციის მიხედვით, წინადადებას აძლევს ლიტვის მთავრობას დაიწყონ მოლაპარაკება კენიგსბერგის კონფერენციაზე მიღებული პროგრამის ფარგლებში“. (ადს).

გენ. ობრეგონი
მექსიკის ახალი პრეზიდენტი

ლინდსეი
ჩემბერლენის მოადგილე. ამას წინად ჩავიდა ვარშავაში, სადაც საიდუმლო მოლაპარაკება ჰქონდა პილსუდსკისთან

მუშების ბრძოლა

მოითხოვენ ხელფასის გადიდებას

პარიზი, 9 ივლისი. რკინისგზელთა უნიტარული პროფკავშირების ფედერაციის ყრილობამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც მოითხოვს ხელფასის გადიდებას ფრანკის კურსთან შეფარდებით და ხელფასის მინიმუმის დაწესებას.

ყრილობის რეზოლიუცია ერთიანი ფრონტის შესახებ უარჰყოფს პირობებს, რომლებსაც რეფორმისტები აყენებენ და იწონებს პროფინტერნის მეოთხე კონგრესის რეზოლიუციებს.

ბრძოლა განახლდა

ნიუ-იორკი, 9 ივლისი. ნიუ-ბერფორდში გაფიცულ ფეიქართა რევოლიუციონური უმცირესობის კავშირის ლიდერები აცხადებენ, რომ 9 ივლისიდან ისინი ბრძოლას განაახლებენ და წარმოებებში პიკეტებს ჩააყენებენ.

ს. მხედრო სარდლობამ აცნობა მწარმოებლებს, რომ მის განკარგულებაში მყოფი ძალები დახმარებას გაუწევენ პოლიციას გაფიცულთა წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებების განხორციელების დროს.

კომპრომისული შეთანხმება

პარიზი, 9 ივლისი. გემების შემკეთებელი მუშების გაფიცვა ანტვერპენში დამთავრდა კომპრომისული შეთანხმებით. (ადს)

როშ ლია - მოლიერის კატასტროფის მიზეზების გამორკვევა

პარიზი, 9 ივლისი. როშ ლია-მოლიერში, სადაც ამ რამოდენიმე ხნის წინად დიდი კატასტროფა მოხდა, გაიმართა მემაღაროეთა მრავალრიცხოვანი მიტინგი, რომელსაც დაესწრნენ საფრანგეთის დეპ. პალატის კომუნისტი-დეპუტატები. მიტინგმა გამოიტანა რეზოლიუცია მუშათა საგამომძიებლო კომისიის შექმნის შესახებ მაღაროში მომხდარ კატასტროფის მიზეზების გამოსარკვევად. გარდა ამისა, დაიწყონ ბრძოლა შრომის ხელფასის გადიდებისა და შრომის დაცვის გაუმჯობესებისათვის.

სოციალური რეაქციის წინააღმდეგ

ბერლინი, 9 ივლისი. მუშათა დახმარების საერთაშორისო კომიტეტმა მოიწვია კონფერენცია სხვადასხვა ორგანიზაციების, რომლებიც მუშათა კანონმდებლობისა და სოციალური პოლიტიკის საკითხებს იხილავენ. კონფერენციას დაესწრნენ მრავალრიცხოვანი საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. კონფერენციამ დაადგინა — მოუწოდოს ყველა მშრომელს მთლიან ფრონტისაკენ —სოციალურ რეაქციასთან და მშრომელთა მდგომარეობის შეუჩერებელ გაუარესებასთან საბრძოლველად.

შვეციის სამთომადნო მრეწველობაში კონფლიქტი გრძელდება

სტოკჰოლმი, 9 ივლისი. შვეციის სამთამადნო მრეწველობაში კონფლიქტი გრძელდება. უკანასკნელ დღეებში ბურჟუაზიულმა პრესამ აშკარა პროვოკაციული მიზნით გამოაქვეყნა ცნობები, თითქოს გაფიცულები მოითხოვენ გაფიცვის შეწყვეტას.

ზოგიერთი ბურჟუაზიული გაზეთი იუწყება, თითქოს შვეციის პროფკავშირთა გაერთიანების ცეკამ გამოიწვია სამთამადნო მუშათა ცეკას წევრები და წინადადება მისცა მათ შეეწყვიტათ გაფიცვა. პროფგაერთიანების ცენტრალურმა კომიტეტმა გადაჭრით უარყო ეს ცნობა.

სამთამადნო მუშათა კავშირის ცეკას თავმჯდომარემ ხანსონმა გამოაქვეყნა ინტერვიუ, რომელშიაც აღნიშნავს, რომ მემაღაროები მტკიცედ არიან და იმედი აქვთ, რომ გაფიცვა წარმატებით დამთავრდება. სოციალ-დემოკრატების ცენტრალურმა ორგანომ „სოციალდემოკრატენ“-მა პირველად კონფლიქტის განმავლობაში გამოაქვეყნა მოწინავე წერილი, რომელშიაც მოუწოდებს შვეციის მუშათა კლასს—მხარი დაუჭიროს სამთამადნო მუშებს.

კომუნისტური „ფოლკეტს დაგბლად პოლიტიკენ“, კომენტარიებს უკეთებს რა ამ წერილს, აღნიშნავს სოციალ-დემოკრატების დამოკიდებულების შეცვლას გაფიცვისადმი და ამბობს, რომ სოციალ-დემოკრატია, არჩევნების მოახლოვებასთან დაკავშირებით, ცდილობს მოინადიროს მუშების გული (ადს).

საბჭოთა ნავთი ინგლისში

ლონდონი, 9 ივლისი. თემთა პალატაში შესულ შეკითხვაზე პასუხის გაცემის დროს ვაჭრობის სამინისტროს მდივანმა განაცხადა, რომ დაწმენდილი ნავთის შემოზიდვამ საბჭოთა კავშირიდან 1927 წელს 93,045,000 გალონს მიაღწია (ადს).

მინისტრების შეცვლა

რომი, 9 ივლისი. გადადგა ფინანსთა მინისტრი **ვოლპი** და განათლების მინისტრი **ფედელი.** განათლების მინისტრად დაინიშნა **ბელუჩო,** რომელიც წინად სახალხო მეურნეობის მინისტრად იყო. ფინანსთა მინისტრად დაინიშნა **მასკონი,** რომელიც წინად მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტროში. სახალხო მეურნეობის მინისტრად დაინიშნა **მარტელი.** გარდა ამისა, გამოსცვალეს მინისტრების მოადგილეები —8 კაცი (ადს).

ფარისევლობა

პარიზი, 9 ივლისი. ბელგიის დეპუტატთა პალატის კომისია ერთხმად შეუერთდა პალატის თავმჯდომარის ბრიუნის წინადადებას. ბრიუნმა ის აზრი გამოსთქვა, რომ კომუნისტური დეპუტატი ჟაკმოტი პარლამენტის სესიის დროს სამართალში არ უნდა იქნას მიცემული.

ბელგიის კომპარტიის ორგანო „დრეპო რუჟ“-ს კომისიის დადგენილება თვალთმაქცობად მიაჩნია, რადგან პალატის სესია ახლო მომავალში უნდა დასრულდეს.

საქ. დეპეშათა სააგენტოს შენიშვნა: საკითხი ჟაკმოტის სასამართლოში მიცემის შესახებ აღიძრა „დრაპო რუჟ“-ში დაბეჭდილი მისი წერილის გამო.

მექსტონის განცხადება

ლონდონი, 9 ივლისი. მექსტონისა და კუკის მიერ მოწყობილ პირველ კონფერენციაზე გლაზგოში მექსტონმა სთქვა:

„მე არ ვისახავ მიზნად გათიშვა შევიტანო მუშათა მოძრაობაში და თუ ეს მოხდა. ჩემი მიზეზით როდი იქნება.

კონფერენციის მონაწილეთა შეკითხვების საპასუხოთ მექსტონმა განაცხადა, რომ მას არა აქვს განზრახვა ითანამშრომლოს კომუნისტებთან, რადგან ამას მოჰყვება მხოლოდ მისი გამორიცხვა მუშათა პარტიიდან. მექსტონს, მისი სიტყვებით, განზრახვა აქვს ითანამშრომლოს კომუნისტებთან მხოლოდ იმ საკითხებში, რომლებშიც ის იზიარებს კომუნისტების თვალსაზრისს.

ლონდონი, 9 ივლისი. დამოუკიდებელი მუშათა პარტიის შოტლანდიის ორგანიზაციის საბჭომ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც აცხადებს, რომ სოციალიზმის განხორციელება ყველაზე უკეთ შეიძლება ინგლისის მუშათა დამოუკიდებელ პარტიაში მუშაობით.

ინგლისის პოლიტიკურ წრეებში საბჭოს ამ რეზოლიუციას აფასებენ, როგორც კუკისა და მექსტონის მიერ დაწყებული კამპანიის გაკიცხვას.

რეაქციონერები აღშფოთებული არიან

პარიზი, 9 ივლისი. პარიზის მუნიციპალიტეტმა 5,000 ფრანკი გადასდო იმ სასპორტო ორგანიზაციებისათვის, რომლებიც თავიანთ დელეგაციებს მოსკოვის სპარტაკიადაზე გზავნიან. მემარჯვენე პრესა აღშფოთებულია მუნიციპალიტეტის დადგენილებით.

5.000 ფრანკის ასიგნოვის გაუქმება

პარიზი, 9 ივლისი. მუნიციპალურმა საბჭომ 44 ხმის უმრავლესობით 14 ხმის წინააღმდეგ მიიღო ერთი მრჩეველთაგანის რეზოლიუცია. რომელიც მოითხოვს 5.000 ფრანკის ასიგნოვის გაუქმებას. ეს ასიგნოვა წარსულ კვირას მუნიციპალურმა საბჭომ დაუნიშნა სასპორტო ორგანიზაციებს, რომელნიც მოსკოვის სპარტაკიადაზე დელეგატებს გზავნიან. კენჭის ყრის დროს სოციალისტებმა თავი შეიკავეს.

შახტის კონტრ-რევოლიუციონერთა საქმე

საკავშირო ცაკის პრეზიდიუმის დადგენილება

მოსკოვი, 10 ივლისი. საკავშირო ცაკის პრეზიდიუმმა განიხილა შუამდგომლობა შახტის საქმის გამო მსჯავრდადებულთა სასჯელის შეცვლის შესახებ და დაადგინა: **ბერიოზოვსკის, კაზარინოვს, მატოვს, ბრატანოვსკის, შადლუნს და ბოიარშინოვს** სოციალური დაცვის უმაღლესი ზომა (დახვრეტა) შეეცვალოს ათი წლით თავისუფლების აღკვეთით სასტიკი იზოლიაციით, 5 წლით უფლებების აყრით და მთელი ქონების კონფისკაციით.

გორლეცკის, კრჟიჟანოვსკის, იუსევიჩის, ბუდნისა და ბოიარინოვის მიმართ—საკავშირო ცაკის პრეზიდიუმმა უზენაესი სასამართლოს განაჩენი ძალაში დატოვა. (ადს).

მსჯავრდადებულთა დახვრეტა

მოსკოვი, 10 ივლისი. დონბასის ეკონომიური კონტრ-რევოლიუციის საქმის გამო მსჯავრდადებულ **გორლეცკის, კრჟიჟანოვსკის, იუსევიჩის, ბუდნისა და ბოიარინოვის** მიმართ გამოტანილი განაჩენი—დახვრეტა მოყვანილია სისრულეში 9 ივლისს. (ადს).

იმპერიალისტების ყაჩაღობის წინააღმდეგ მაროკოში

პარიზი, 9 ივლისი. საფრანგეთის კომპარტიამ და კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირმა მაროკოში შუა ატლასის ტომების დამორჩილების მიზნით, სამარი მოქმედების გაგრძელების გამო „ლ'იუმანიტე“-ში გამოაქვეყნეს მოწოდება საფრანგეთისა და კოლონიების მუშებისა და ჯარისკაცებისადმი.

კომპარტია და კომუნისტ. ახალგაზრდობის კავშირი მოუწოდებენ ჯარისკაცებს—დაუძმობილდენ მუშებს საფრანგეთსა და მაროკოში და მხარი დაუჭირონ საფრანგეთის კომპარტიის კამპანიას, რომელიც მიზნად ისახავს ომის შეწყვეტას, ფრანგ იმპერიალისტების მიერ დატაცებული მიწების დაბრუნებას ადგილობრივ მცხოვრებლებისათვის და დაჩაგრულთა და გაყვლეფილთა ერთიანი ფრონტის შექმნას.

რეფორმისტების კაპიტულიაცია

ვენა, 9 ივლისი. როგორც ათენიდან იუწყებიან, საბერძნეთის შრომის რეფორმისტულმა ფედერაციამ მთავრობასთან შეთანხმებით დაადგინა შესწყვიტოს გაფიცვა. თამბაქოს ფაბრიკების მუშათა რეფორმისტულმა კავშირმა ვითომ მოიწონა ფედერაციის გადაწყვეტილება, მაგრამ თამბაქოს ფაბრიკების მუშათა რევოლიუციონური კავშირი მოითხოვს ბრძოლის გაგრძელებას მწარმოებლების კაპიტულიაციამდე.

8 ივლისს სალონიკში ჟანდარმერია თავს დაესხა გაფიცულ მუშებს. შეტაკების დროს დაიჭრა ერთი ჟანდარმი.

კომუნისტური ორგანოს „რიზოს პასტის“-ის ცნობით, სალონიკში დააპატიმრეს 60 კაცზე მეტი. სატუსაღოს რეჟიმი გააუარესეს. სალონიკში მუშათა პალატის შენობას თავს დაესხა ჟანდარმერია, რომელმაც მოსპო არქივი, კონფისკაცია უყო კორესპონდენციას და დააპატიმრა პალატის მდივანი პოპანდოპულოსი. თამბაქოს ფაბრიკების მუშებმა გამოაქვეყნეს პროტესტი მაკედონიისა და ფრაკიის ჟანდარმერიის სისასტიკის წინააღმდეგ. (ადს).

ნობილეს ექსპედიციის დასახმარებლად

საუბარი სამოილოვიჩთან

ყინულის მჭრელი „კრასინი“, 10 ივლისი. საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში ექსპედიციის უფროსმა **სამოილოვიჩმა** განაცხადა:

„ექსპედიცია ახალ ეტაპს იწყებს. „კრასინ“-მა გააკეთა ყველაფერი, რაც შეეძლო, და შეასრულა დასახულ პროგრამის 75 პროც. მეტი. ჩვენ ჩრდილოეთით წავედით ისე შორს, სადამდე წასვლასაც ვერ ბედავს ვერც ერთი გემი, ამასთან ისეთ დროს, როცა ყინული ჯერ არ დაშლილა. ეს ჩვენ ძვირად დაგვიჯდა: გაგვიფუჭდა ვინტი და მოგვეშალა საჭე. წინსვლა დროებით უნდა შეჩერდეს. ჩუხნოვსკი დაზვერავს ადგილებს ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით იმ მიზნით, რომ გამოარკვიოს ყინულების მდგომარეობა. თუ ჩრდილოეთით ყინვა დაშლილი, შევეცდებით შემოუაროთ ლი-სმიტის კონცხს და მივიდეთ დაზარალებულთა ჯგუფთან. წინააღმდეგ შემთხვევაში შევეცდებით ჩრდილოეთიდან შემოუაროთ აღმოსავლეთის მიწას, სადაც უფრო ნაკლები ყინულებია და ყინულის მჭრელს უფრო თავისუფლად შეუძლია წინსვლა.

დარწმუნებული ვარ, რომ „კრასინი“ ამა თუ იმ გზით მიაღწევს მიზანს. მცირედი შეფერხება აუცილებელია ასეთი მგზავრობის დროს. (ადს)

რადიო მალიგინიდან

ყინულის მჭრელი „მალიგინი“. 10 ივლისი. ნისლიანი ამინდი აფერხებს ბაბუშკინის გაფრენას ლი-სმიტის კონცხისაკენ. „მალიგინი“ —კარლოსის მიწის რაიონის ყინულებშია. „ჩიტა დი მილანო“-ს არ შეუძლია დანამდვილებით გვაცნობოს, თუ სად იმყოფება ნობილეს ჯგუფი. 3 დღის განმავლობაში გამოურკვეველ ადგილობრივ მიზეზების გამო არც ერთი მოკლე ტალღიანი სადგური არ მუშაობს. გაჩერებულია მალიგინის ორივე სადგურიც (ადს).

„ბრაგანცა“-ს წინსვლა

ოსლო, 9 ივლისი. გემი „ბრაგანცა“ 8 ივლისის ღამე კინგსბეიდან წავიდა ჩრდილოეთ-აღმოსავლეთი მიწის ჩრდილოეთ კონცხისაკენ. კაპიტანს იმედი აქვს, რომ ვილიერის ჯგუფს მიაღწევს ივლისის ბოლომდე. (ადს)

ლუნდბორგი ვილიერის ჯგუფის შესახებ

ოსლო, 9 ივლისი. ნორვეგიის დეპეშათა სააგენტო იუწყება:

„გაზეთების მიერ შპიცბერგენიდან მიღებული ცნობებით, შვედი მფრინავი კაპიტანი ლუნდბორგი აცხადებს, რომ საშინელი დღეები გაატარა ყინულზე ვილიერის ჯგუფთან ერთად. ყველა იტალიელები დაავადებული არიან და ზოგჯერ ფსიქიური აშლილობის ნიშნებიც ემჩნევათ. დაჭრილი ჩეჩიონი მძიმე მდგომარეობაშია. ჯგუფი ღებულობს არასაკმაო და უგემურ საჭმელს. ყინულის მდგომარეობა ცუდია. ჯგუფი რამოდენიმე მილის მანძილზე ხედავს დედამიწას, მაგრამ საშუალება არ აქვს მიაღწიოს მას ყინულების გზით“ (ადს).

სტოკჰოლმი, 9 ივლისი. შვეციის დეპეშათა სააგენტო იუწყება:

„სტოკჰოლმს ტიდნინგენ“-ის კორესპონდენტი ესაუბრა კაპიტან ლუნდბორგს, რომელმაც განაცხადა, რომ საშინელი სურათის მოწმე იყო „იტალია“-ს ეკიპაჟთან ერთად 13 დღე ყინულზე ყოფნის დროს. ურთიერთობა ჯგუფის წევრებს შორის ყოველთვის არ არის მეგობრული. სასოწარკვეთილება და ნერვიულობა ძლიერ ხშირად იწვევს მწვავე დავას, რომელიც მოულოდნელად თავდება შერიგებით და გადადის გულგატეხილ და ინდეფერენტიულ მდგომარეობაში. მათ უდიდეს სიხარულს წარმოადგენს რადიო-ტელეგრაფით მოლაპარაკება შპიცბერგენზე მყოფ ამხანაგებთან და სამშობლოდან მოსული ცნობები, რომლებსაც საღამოობით ღებულობენ“. (ადს).

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ამხ. კრილენკო სისხლის სამართლის კოდექსის გადამუშავების შესახებ

მოსკოვი, 10 ივლისი. იუსტიციის სახალხო კომისარიატის მუშაკთა კრებაზე ამხ. კრილენკომ გააკეთა მეტად საყურადღებო და შინაარსიანი მოხსენება რუსეთის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის გადამუშავების პრინციპების შესახებ.

ამხ. კრილენკომ თავის მოხსენებაში გაატარა შემდეგი აზრი: ყოველ სახის ბოროტმოქმედება იყოფა სამ კატეგორიათ: სოციალურად მავნე, სოციალურად საშიში და განსაკუთრებით საშიში ბოროტმოქმედება.

პირველ სახის ბოროტებასთან საბრძოლველად სრულიად საკმარისად უნდა ჩაითვალოს საზოგადოებრივ - პოლიტიკური და მორალური ზეგავლენა. რაც შეეხება დანაშაულობის სხვა სახეს, მომხსენებელი წინადადებას იძლევა უარყოფილ იქნას სისხლის სამართლის კოდექსის ის მუხლები, რომელნიც განსაზღვრავენ თავისუფლების აღკვეთის ვადას. ამ შემთხვევაში ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ, ამბობს ამხ. კრილენკო, არა თავისუფლების აღკვეთის ვადის დაწესებით, არამედ იმ ღონისძიებათა გამოძებნით, რომელიც გამოასწორებს დამნაშავეს.

მდგომარეობა სასურსათო ბაზარზე

მოსკოვი, 10 ივლისი. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის წარმომადგენელმა მოახსენა სახალხო კომისართა საბჭოს, რომ მსხვილი სამრეწველო ცენტრები, მათ შორის მოსკოვი და ლენინგრადი ახალ მოსავლამდე სავსებით უზრუნველყოფილია პურით.

კვერცხის შესყიდვა და გადაზიდვის საქმე ნორმალურად მიმდინარეობს.

პურისა და საერთოდ სურსათ-სანოვაგის ბაზრის გამოცოცხლება სხვათა შორის გამოწვეულია იმ გარემოებითაც, რომ, როგორც უკვე თითქმის საბოლოოდ გამოირკვა, მოსავალი წელს საბჭოთა კავშირის მთელ რიგ რაიონებში გაცილებით წინ გაუსწრებს წარსული წლის მოსავალს.

საკონტროლო ციფრები დროზე უნდა იქნას შედგენილი

მოსკოვი, 10 ივლისი. საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭომ სპეციალური მიმართვა გაუგზავნა რესპუბლიკათა სახალხო მეურნეობის საბჭოებს, იმის შესახებ, რომ დაჩქარებულ იქნას მუშაობა საკონტროლო ციფრების შესადგენად. საკავშირო სახალხო მეურნეობის საბჭო აღნიშნავს, რომ ეს მუშაობა აუცილებლად უნდა დამთავრდეს დანიშნულ ვადაზე და, რომ ამ მხრივ არავითარ შემთხვევაში ადგილი არ ექნება ვადის გაგრძელებას.

ფიზკულტურის ყველაზე უდიდესი სტადიონი საბჭოთა კავშირში

მოსკოვი, 10 ივლისი. მიღებულია ცნობა, რომ სტოკჰოლმიდან მოსკოვში გამოემგზავრა 3 ველოსიპედისტი სპორტსმენი საკავშირო სპარტაკიადაში მონაწილეობის მისაღებად.

სპარტაკიადის დროს მოსკოვში, პეტროვსკი პარკში გაიხსნება უდიდესი სტადიონი მთელ საბჭოთა კავშირში, აღნიშნული სტადიონი თავისუფლად დაიტევს 30.000 მაყურებელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელი ცნობები

ვენიზელოსის მთავრობა

ათინა, 10 ივლისი. საბერძნეთის ახალი მთავრობა შეადგინა ვენიზელოსმა (ეგრეთ წოდებულ ლიბერალური პარტიის ბელადი) 4 ივლისს. საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშნულია კარაპანოსი, შინაგან საქმეთა მინისტრად — ზავისციანოსი. მთავრობამ დაითხოვა პარლამენტი და დანიშნა ახალი არჩევნები 19 აგვისტოსათვის. (ადს)

პროტოგეროვის მოკვლის მიზეზი ჯერ კიდევ არ არის გამორკვეული

ვენა, 9 ივლისი. ჯერ კიდევ არ არის გამორკვეული, თუ რა პირობებში მოხდა მაკედონელ ნაციონალისტთა ბელადის პროტოგეროვის მკვლელობა, და რა იყო მისი მიზეზი. ბელგრადის გაზეთების აზრით, თავდასხმის ინიციატივა ეკუთვნოდა პროტოგეროვის მეტოქეს მიხაილოვს, რომელიც მოითხოვდა ტერორისტული გამოსვლების განგრძობას სამხრეთ - სლავიის ტერიტორიაზე და მაკედონიაში იმ დროს, როდესაც პროტოგეროვი ბოლომდე ამჯობინებდა ბრძოლის უფრო რბილ ღონისძიებებს.

ქვა-ნახშირის სიჭარბე ევროპაში

ბერლინი, 9 ივლისი. პრუსიის ვაჭრობის მინისტრმა შრეიბერმა გერმანიის სამთომადნო მუშათა კავშირის საერთო კრებაზე განაცხადა, რომ ევროპაში ნახშირის სიჭარბის გამო აუცილებელია გერმანიის ქვა-ნახშირის ზოგიერთ წარმოებების დახურვა. (ადს)

მუშათა დელეგაციის დაპატიმრება ზაგრებში

ვენა, 10 ივლისი. ზაგრების (სამხრეთ-სლავია) პოლიციის სამმართველოში გამოცხადდა მუშათა დელეგაცია და განაცხადა პროტესტი დამოუკიდებელ პროფკავშირების შენობების დახურვის წინააღმდეგ. მთელი დეპუტაცია დააპატიმრეს. (ადს)

პოლონეთ-გერმანიის სავაჭრო მოლაპარაკება

ბერლინი, 10 ივლისი. გერმანიის მთავრობამ დაადგინა მიმართოს პოლონეთის მთავრობას ნოტით—პოლონეთ-გერმანიის სავაჭრო მოლაპარაკება, რომელიც შეფერხდა პოლონეთის მთავრობის მიერ სანაპირო ზონაში მომსვლელის წესთა გამოქვეყნების შემდეგ. გერმანიის მთავრობა დაეთანხმა პოლონეთის წინადადებას—დაავალონ ორივე მხარის დელეგაციების თავმჯდომარეებს განიხილონ მოლაპარაკების შემდგომი მსვლელობის დაწვრილებითი პირობები (ადს).

სანტოსა და მისი ამხანაგების საქმე

ვენა, 9 ივლისი. ბუდაპეშტიდან იუწყებიან, რომ დაიწყო სანტოს პროცესის მონაწილეთა და თვით სანტოს გასამართლება. მათ ბრალდება სანტოს პროცესზე დემონსტრატიული გამოსვლა საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ. ყველა ბრალდებული გაამართლეს. პროკურორმა გაასაჩივრა განაჩენი (ადს).

კომუნისტურ — დემონსტრაციების აკრძალვა

ვენა, 10 ივლისი. ვენის პოლიციამ აკრძალა კომუნისტური დემონსტრაციები ივლისის ამბების მსხვერპლთა საფლავებზე. აკრძალვა დასაბუთებულია სოციალ - დემოკრატების განცხადებით, რომ ისინი იმავე დღეს აწყობენ მანიფესტაციას. სოციალ - დემოკრატიული პარტიის სამდივნომ აცნობა კომპარტიის სამდივნოს, რომ სოციალ - დემოკრატიული კომუნალური შეიარაღებული რაზმი 15 ივლისს ალყას შემოარტყამს ცენტრალურ სასაფლაოს და არ გაუშვებს კომუნისტებს. (ადს)

საფრანგეთის საბინაო კანონპროექტი

პარიზი, 10 ივლისი. დეპუტატთა პალატამ და სენატმა მიიღეს საბოლოო რედაქციით საბინაო პროექტი. სენატისა და დეპუტატთა პალატის სესია დამთავრდა. (ადს)

პოლიციის თავდასხმა დემონსტრანტებზე

ბერლინი, 10 ივლისი. საარბრუკენში (ოკუპაციაქმნილი საარის ოლქის მთავარი ქალაქი) წითელ ფრონტელების ადგილობრივ კავშირის მიერ მოწყობილ დემონსტრაციის დროს სისხლის მღვრელი შეტაკება მოხდა დემონსტრანტებსა და პოლიციას შორის.

მძიმედაა დაჭრილი ერთი წითელ ფრონტელი. დემონსტრაციაში მონაწილეობის მისაღებად ბელგიიდან და საფრანგეთიდან ჩამოსული დელეგატები უკანვე გააბრუნეს. (ადს).

მუკდენის საზავო პირობები

პეკინი, 9 ივლისი. როგორც იუწყებიან, მუკდენელები სამხრეთელებს ასეთ საზავო პირობებს უყენებენ: ჩან-სუე-ლიანი ინიშნება მანჯურიის პოლიტიკური კომიტეტის თავმჯდომარედ, იან-იუ-ტინი—მუკდენის პროვინციის პოლიტიკურ კომიტეტის თავმჯდომარედ, ჩან-ზო-სიანი—გირინის პროვინციის და ვან-ფუ-ლინი—ხეილუნცზიანის პროვინციის პოლიტიკური კომიტეტის თავმჯდომარედ. მანჯურიის არმია უნდა დარჩეს ნანკინის მთავრობისაგან დამოუკიდებელი (ადს).

გაფიცვა ნოხების ფაბრიკაში

პეკინი, 9 ივლისი. ცინძიში გაიფიცნენ ნოხების ფაბრიკის 800 მუშა. გაფიცულები მოითხოვენ სამუშაო ხელფასის გადიდებას. გაფიცულმა მუშებმა შებოჭეს ზედამხედველი და წაიყვანეს როგორც ტყვე (ადს).

ერთმანეთს ვეღარ სცნობენ

შანხაი, 10 ივლისი. ჩია-პას რაიონში გაიგზავნა მთავრობის ჯარები კომუნისტების რაზმების განსადევნად, რომლებიც თითქოს ამ რაიონში იყვნენ შეკრებილი. დანიშნულ ადგილზე მისვლისას ჯარებმა აუტეხეს სროლა რაზმებს, მოუკლეს მათ 100 კაცი და რამდენიმე ტყვედ წამოიყვანეს. ამის შემდეგ გამოირკვა, რომ შეტაკება მომხდარა მთავრობის ჯარებს სხვადასხვა რაზმებს შორის.

სამხედრო ტრანსპორტის ავარია

ნიუ-იორკი, 9 ივლისი. ჩილის სამხრეთ ნაპირებთან ღამით კლდეს დაეჯახა და სწრაფად ჩაიძირა ჩილის ძველი სამხედრო ტრანსპორტი, რომელსაც გადაჰყავდა გადასახლებული პოლიტიკური დამნაშავენი. დაიღუპა 300 კაცი; მათ შორის ეკიპაჟიც. გადარჩა მხოლოდ 4 მგზავრი. კაპიტანმა თავი მოიკლა (ადს).

დედობისა და ბავშ. დაცვის კონგრესი პარიზში

პარიზი, 10 ივლისი. „სოციალურ კვირეულთან" დაკავშირებით პარიზში გაიმართა სოციალური დახმარებისა და დედობისა და ბავშობის დაცვის კონგრესები, რომელთაც ესწრება 2.500 დელეგატი 26 ქვეყნიდან. საბჭოთა კავშირიდან გაგზავნილია დელეგაცია კოლეშოვისა და ლებედევას (რ. ს. ფ. ს. რ.) ხალიდოვას და ბუცენკოს (უკრაინა) შემადგენლობით. საბჭოთა დელეგატები მონაწილეობას ღებულობენ სექციების მუშაობაში და გამოდიან მოხსენებებით. კონგრესის თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულია ბუცენკო, საბჭოთა დელეგაციის თავმჯდომარე. (ადს)

რუმინეთის სიცხე მავნებელია პილსუდსკისათვის

ვარშავა, 10 ივლისი. როგორც გაზეთები იუწყებიან, პილსუდსკის წასვლა შვებულებაში კვლავ გადაიდო. პილსუდსკი, როგორც ჩანს, სრულიად არ აპირებს რუმინეთში გამგზავრებას. მგზავრობის გადადების შესახებ სხვადასხვა ვერსიებია. ზოგიერთი გაზეთები ამტკიცებენ, რომ „რუმინეთში ამჟამად დიდი სიცხეა", ხოლო სიცხე კი მეტად მავნებელია პილსუდსკის ჯანმრთელობისათვის. სხვა გაზეთების სიტყვით, პილსუდსკის გამგზავრებას ამჟამად რუმინეთში საერთოდ არა აქვს აზრი, რადგან 12 აგვისტოსათვის უნდა დაბრუნდეს პოლონეთში იმ მიზნით, რომ გამოვიდეს ლეგიონერების ყრილობაზე გნეზნოში დიდი პოლიტიკური სიტყვით კონსტიტუციის შეცვლის შესახებ (ადს).

საბჭოთა მედიცინის ათი წლის თავი

საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატები ამჟამად დღესასწაულობენ რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის დაარსების და საბჭოთა მედიცინის პრინციპების წამოყენების ათი წლის თავს. რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახკომსაბჭოს 1918 წლის 11 ივლისის დეკრეტმა ბოლო მოუღო მედიცინის ძველ დაქსაქსულ ორგანიზაციას და საფუძველი ჩაუყარა მშრომელთა მთლიან, უსასყიდლო და ყველასთვის ხელმისაწვდომ მედიცინას. საბჭოთა მედიცინის, ისევე, როგორც პროლეტარიატის მიერ წამოყენებული ცხოვრების და სახელმწიფოებრიობის ყველა ახალი ფორმის, შემქმნელი იყო ვლადიმირ ილიჩი, რომლის უშუალო ხელმძღვანელობით ნ. ა. სემაშკომ, რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის ჯანმრთელობის პირველმა სახალხო კომისარმა, მისცა საბჭოთა მედიცინას მისი შინაარსი და ორგანიზაციის შესაფერი მიმართულება.

საბჭოთა მედიცინა წარმოადგენს დიდი ოქტომბრის ერთ ერთ მთავარ მიღწევას, ის პროლეტარული რევოლუციის ღვიძლი შვილია.

საბჭოთა მედიცინის არსებითი შინაარსი იმაშია, რომ მან ბურჟუაზიული მედიცინის ვიწრო სამკურნალო ამოცანები შესცვალა ფართო ღონისძიებებით მთელი ჩვენი ცხოვრების და მუშათა და გლეხთა მასების შრომის პირობების გასაჯანსაღებლად. ამასთან ერთად საბჭოთა მედიცინამ უკუაგდო მედიცინის საქმის ზევიდან მმართველობის ძველი ბიუროკრატიული ფორმები და ჯანმრთელობის დაცვის საქმეში მონაწილეობის მისაღებად მშრომელთა ფართო მასები მიიზიდა.

ათი წლის თავზე ჩვენ კმაყოფილებით აღვნიშნავთ უდიდეს მიღწევებს ჯანმრთელობის დაცვის ფრონტზე.

სამკურნალო-სანიტარული საქმის ორგანიზაციის საბჭოთა სისტემა სავსებით გამართლებულია. ამას მოწმობს სამკურნალო-სანიტარული დაწესებულებათა ფართო ქსელი, რომელიც შეიქმნა საბჭოთა ხელისუფლების დროს ეპიდემიურ ავადმყოფობათა მნიშვნელოვნად შემცირება, ბავშვთა სიკვდილიანობის დაცემა, მაშინ, როდესაც ძველ რუსეთში ბავშვთა სიკვდილიანობას ერთ ერთი პირველი ადგილი ეჭირა, მოსახლეობის მომატების პროცენტის ზრდა, დაზღვეულთათვის ფართო და სავსებით კვალიფიციური სამკურნალო დახმარების მოწყობა, ღონისძიებანი მშრომელთა ცხოვრების, შრომის და ყოფის პირობების გასაუმჯობესებლად.

ყოფილი მეფის რუსეთის განაპირა ქვეყნებში, კერძოდ ამიერ-კავკასიაში და საქართველოში, სახალხო ჯანმრთელობაზე ზრუნვა ჩინოვნიკური აპარატის ხელში იყო და სრულიად უყურადღებოდ იყო მიტოვებული.

საქართველომ, რომელიც საბჭოთა რესპუბლიკების ოჯახში 1921 წელს შევიდა, ისარგებლა თავისი უფროსი ძმის—რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის გამოცდილებით და არაჩვეულებრივად ფართო მასშტაბით მოაწყო ჯანმრთელობის დაცვის საქმე.

ასეთივე სურათია სხვა ნაციონალურ რესპუბლიკებში. მაგრამ საბჭოთა მედიცინა ჯერ კიდევ შორს არის თავისი ამოცანების სავსებით განხორციელებისაგან.

ჯანმრთელობის დაცვის საქმე, რომელიც საბჭოთა აღმშენებლობის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, საბჭოთა კავშირის ყველა სამკურნალო მუშაკს დიდი ძალღონით და მშრომელი მასების ფართო აქტიური მონაწილეობით განუწყვეტლივ განვითარდება და სავსებით განახორციელებს დიდი ოქტომბრის მიერ წამოყენებულ პრინციპებს მშრომელთა გაჯანსაღების დარგში.

ზ. ქუჩაიძე.

მისალმება ამხ. სემაშკოს

საბჭოთა მედიცინის 10 წლის თავის საზეიმო დღეს საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი მხურვალე სალამს უძღვნის საბჭოთა კავშირის ყველა სამკურნალო მუშაკს და საბჭოთა მედიცინის საფუძვლის ჩამყრელს ნიკოლოზ ალექსანდრესძე სემაშკოს, რომელმაც გააერთიანა დაქსაქსული ძველი მედიცინა და საბჭოთა კავშირის უდიდეს სივრცეზე შექმნა უსასყიდლო, ყველასთვის ხელმისაწვდომი და კვალიფიციური სამკურნალო-სანიტარული დახმარება. საქართველოს სამკურნალო მუშაკები თქვენთან ერთად დღესასწაულობენ საბჭოთა მედიცინის 10 წლის თავს, როგორც დიდი ოქტომბრის ერთ ერთ მთავარ მიღწევას, და აღთქმას სდებენ მტკიცედ დაიცვან საბჭოთა მედიცინის საფუძვლები და პრინციპები.

გაუმარჯოს საბჭოთა მედიცინას! დეე განმტკიცდეს და გაფართოვდეს იგი!

გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს!

საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარი ზ. ქუჩაიძე.

ყუმბარის აფეთქება სახ. პოლიტსამმართველოში

მოსკოვი, 10 ივლისი. 6 ივლისს საღამოს 9 ს. 15 წუთზე გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს ნებართვათა ბიუროში ორმა თეთრგვარდიელმა შეაგდო შინაურულად გაკეთებული ყუმბარა; ხსენებული თეთრგვარდიელები ერთი კვირის წინად ჩამოვიდნენ პარიზიდან—ბულგარეთისა და რუმინეთზე გამოვლით. ყუმბარის აფეთქების დროს მოკლულ იქნა გზათა სახალხო კომისარიატის მცველი—წითელ არმიელი მიხეილ ვლადიმირისძე ივანოვი და ხიფათიანად დაიჭრა მეორე წითელ არმიელი არტემ ვასილისძე ვოლკოვა, რომელიც მოსული იყო ცნობის მისაღებად. ერთ - ერთი ბოროტმოქმედი, პაჟთა კორპუსის ყოფილი მოწაფე, ვრანგელის ოფიცერი, მოკლულ იქნა გამოდევნების დროს, ხოლო მეორე—ემიგრანტი თეთრგვარდიელი დააპატიმრეს სოფელ ფროლოვსკი იარის რაიონში, ქალაქ პოდოლსკის მახლობლად. გლეხები გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს ორგანოებს აქტიურ დახმარებას უწევდენ ბოროტმოქმედთა დევნის დროს. (ადს).

იტალიელი ინჟენერი საბჭოთა ნავთის მრეწველობის შესახებ

ბათომი, 9 ივლისი. ბათომში ჩამოვიდა საზღვარგარეთ მიმავალი იტალიელი ინჟენერი, ნავთის მრეწველობის იტალიური საზოგადოების „ადჟიპ"-ის წარმომადგენელი, ინჟ. ცილერი. ბათომში მოსვლამდე ინჟ. ცილერი იყო ტამანის ნახევარ კუნძულის ნავთიან ადგილებში, აგრეთვე გროზნოსა და ბაქოში. თავისი მოგზაურობის მიზნის შესახებ ცილერმა „ადს"-ის თანამშრომელს განუცხადა:

„ადჟიპ"-ის საზოგადოებამ გამომგზავნა ჩრდილოეთ კავკასიასა და ამიერ-კავკასიაში ამ რაიონების ნავთის მრეწველობის მდგომარეობის გასაცნობად. უნდა ვთქვა, რომ იტალიას დღემდე არა აქვს საკუთარი ნავთის მრეწველობა და იგი მხოლოდ ამ ბოლო წლებში შეუდგა საცდელ ბურღვას იტალიის ჩრდილოეთ ნაწილში. ეს გარემოება აიძულებს იტალიას სხვა ქვეყნებიდან შეიტანოს ნავთის პროდუქტები. იტალიას შეაქვს ან დამზადებული საქონელი ან ნედლი ნავთი თავის ქარხნების გადასამუშავებლად. ნავთის პროდუქტები იტალიას უმთავრესად სამ დიდ ფირმას შეაქვს: ამერიკულ „სტანდარტ ოილ"-ს, ინგლის-ჰოლანდიურ „შელ"-ს და იტალიურ „ადჟიპ"-ს. იტალიისათვის საჭირო ნავთის პროდუქტების მესამედი შეაქვს „ადჟიპ"-ის საზოგადოებას, ამასთან წელს ამ საზოგადოებამ მთელი საჭირო საქონელი შეიძინა საბჭოთა კავშირის ნავთის სინდიკატისაგან. უნდა აღვნიშნო, რომ საბჭოთა ნავთის პროდუქტები თავიანთი ღირსებით სავსებით აკმაყოფილებენ უსასტიკეს მოთხოვნილებას და იტალიის ბაზარზე დიდ მეტოქეობას უწევენ სხვა ქვეყნების ნავთის პროდუქტებს. ინტერესი საბჭოთა ნავთის მრეწველობისადმი დღითი-დღე იზრდება და იტალიურ პრესაში არა ერთხელ აღუნიშნავთ, რომ საბჭოთა კავშირის ნავთის სამრეწველოებში, ბაქოსა და გროზნოში, შემოღებულია ტექნიკის ახალი მიღწევები ნავთის ამოღების და დამუშავების საქმეში. ამ მხრივ საბჭოთა კავშირის ტექნიკა ამერიკულისას არ ჩამოუვარდება. ბაქოსა და გროზნოში ყოფნის დროს მართლაც დავრწმუნდი ამაში. ყველაზე მეტად გამაკვირვა ნავთის მეურნეობის საოცარმა სიდიდემ და სიმდიდრემ. სამრეწველო საქმის საუცხოო დაყენებამ—შემოღებულია ბურღვის უახლესი საშუალებანიც (მათ შორის ამერიკულიც) და ნავთის დამმუშავებელი ქარხნების გაუმჯობესებულმა მოწყობილობამ. ეს ქარხნები უმაღლესი ხარისხით პროდუქტს იძლევიან.

ბაქოში განსაკუთრებით გამაკვირვა თქვენი ინჟენერის კაპელიუშნიკოვის მიერ გამოგონილმა ბურღვის ახალმა საშუალებამ, რომელიც ბრწყინვალე შედეგებს იძლევა. ეს საშუალება უახლესია და ლიტერატურა ჯერ არსად გვხვდება. გარდა ამისა, რომ ეს საშუალება კარგ ნაყოფს იძლევა, თვით ბურღვის პროცესი გამარტივებული და გაიაფებულია. მე ვფიქრობ, რომ ეს გამოგონება მთელ გადატრიალებას მოახდენს ბურღვის საქმეში. ძალიან ვწუხვარ, რომ დროის უქონლობის გამო დაწვრილებით ვერ გავეცანი ყველაფერს, რაც მაინტერესებდა. ამასთანავე განსაკუთრებულ მადლობას ვუცხადებ გროზნოსა და აზნეფთის ადმინისტრაციას, რომელმაც ძალიან შემიწყო ხელი ნავთის მრეწველობის დათვალიერების დროს. მახლობელ მომავალში იმედი მაქვს კვლავ ვინახულებ საბჭოთა კავშირს და დაწვრილებით გავეცნობ და შევისწავლი ნავთის მრეწველობის დაყენების საქმეს. ის კარგი შთაბეჭდილება, რომელიც მე საბჭ. კავშირიდან გამოვიტანე, სათანადო მოხსენების შემდეგ იტალიაში, ეჭვი არ არის, გაადიდებს ხელშეკრულებათა რიცხვს და გააფართოვებს სავაჭრო ურთიერთობას ჩვენს საზოგადოებასა და ნავთის სინდიკატს შორის.

უნდა აღვნიშნო ისიც, რომ საბჭოთა მთავრობა ზრუნავს და დიდ ყურადღებას აქცევს მუშათა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებას. ვნახე მუშების მშვენიერი სახლები, ბავშვთა ბაგები, სანატორიუმები, მუშათა კლუბები და სხვ.

პარტიული ცხოვრება

რ. ს.-დ. მ. პ. მეორე ყრილობის იუბილეს ჩატარებისათვის

ს. კ. პ. (ბ) თბ. კომიტეტს, საოლქო და სამაზრო კომიტეტებს

რათა ყრილობის იუბილემ მიიღოს მასიური ხასიათი და პარტიული და უპარტიო მასები ფართოდ გაეცნონ მეორე ყრილობის დადგენილებებს, მის მნიშვნელობას იმ მთლიანი და ფოლადისებურ პარტიის ჩამოყალიბების საქმეში, რომელსაც ამჟამად ეწოდება საკავშირო კომპარტია, საქ. კომპარტიის საიუბილეო კომისია ადგენს:

1. დაარსდეს თბილისის კომიტეტსა და საოლქო და ყველა სამაზრო კომიტეტებთან საიუბილეო კომისიები, რომლებიც პარტიისის დამხმარე ჯგუფებთან ერთად გაუძღვებიან იუბილეს ჩატარების საქმეს.

2. 30 ივლისიდან კომუჯრედებში დაწყებულ იქნეს კამპანია მეორე ყრილობის დადგენილებათა და მნიშვნელობის გასაშუქებლად. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მეორე ყრილობის შემდეგ მთავარ საკითხებს:

1. ყრილობის წინა პერიოდი, 2. ეკონომისტები და მათთან ბრძოლა, 3. პროგრამა, 4. პარტიის წესდება, 5. აგრარული საკითხი, 6. სხვა პარტიებთან დამოკიდებულება, 7. ბუნდის ადგილი პარტიაში, 8. ნაციონალური საკითხი, 9. პროფმოძრაობა და სხვ.

3. საიუბილეო კომისიებს ევალებათ ენერგიულად შეუდგენ იმ მასალების და დოკუმენტების (პროკლამაციები, ფურცლები, არალეგალური და ლეგალური მარქსისტული გაზეთები) შეგროვებას და გამოკვლევას, რომელიც ამ პერიოდს ახასიათებს ჩვენში. საჭიროა აღდგენილ იქნას ადგილობრივ ორგანიზაციების ისტორია და რამდენადაც შესაძლებელია მათი წევრების მთლიანი შემადგენლობა (სურათები და სხვ.)

4. კამპანიის ჩასატარებლად მოხდეს ყველა ადგილობრივ პროპაგანდისტებისა და აგიტატორების მობილიზაცია.

5. იმ ადგილებს, სადაც არ არის სათანადო მომზადებული ამხანაგები, ევალებათ თავის დროზე აცნობონ ცეკას, რომ მათ გაეგზავნოთ ცეკას წარმომადგენელი.

6. იუბილეს განმავლობაში ადგილებზე მოეწყოს მასიური კრებები და წაკითხულ იქნეს მოხსენებები მეორე ყრილობის დადგენილებათა მნიშვნელობის გასაშუქებლად.

7. მოეწყოს პრესის წარმომადგენლების თათბირი იუბილეს სათანადოთ ჩასატარებლად. პრესაში დაწყებულ იქნეს შესაფერი კამპანია არა უგვიანეს 10 ივლისისა.

8. მიეცეს წინადადება მუზეუმს მოაწყოს გამოფენა, სადაც აღნიშნული იქნება შემდეგი მომენტები:

ა) მუშათა მოძრაობა, ბ) გლეხთა მოძრაობა, გ) დემონსტრაციები, გაფიცვები და სხვ. დ) რ.ს.დ.მ. პარტიის კავკასიის კავშირი, ე) გაზეთ „ისკრის" გავლენა, მეორე ყრილობა, ბოლშევიზმი, (ხაზგასმით უნდა იქნეს გამოფენილი ადგილობრივი მასალები) ვ) არალეგალური და ლეგალური მარქსისტული პრესა. ზ) სხვადასხვა პარტიებთან ბრძოლის მასალები (ფედერალისტები, მენშევიკები, ესერები, დაშნაკები, ნაც-დემოკრატები და სხვ.).

საიუბილეო კომისია.

მეტი ყურადღება საშვებულებო კამპანიას

ერთ თვეზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც პარტიის თბილისის კომიტეტის დავალებით საშეფო ორგანიზაციები შეუდგენ საშვებულებო კამპანიის პრაქტიკულ გატარებას.

პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ წარსული წლის შეცდომები თითქმის გამოსწორებულია. შვებულებაში მიმავალთა შორის დროულად წარმოებულმა მუშაობამ ხელი შეუწყო კამპანიის წარმატებით ჩატარებას. თუ ჩვენ მივმართავთ არსებულ ციფრებს, დავინახავთ, რომ მაისის განმავლობაში 46 წარმოებაში ჩატარებულ იქნა კრებები, რომლებზედაც ირჩეოდა საშვებულებო კამპანიის საკითხები. მოეწყო 12 წრე, რომლებიც გაიარა 786 შვებულებაში მიმავალმა, გაიხსნა 4 საკონტროლო ცნობათა მაგიდა და შვებ-ში მიმავალთა კუთხეები. გარდა ამისა მოეწყო მუშათა ექსკურსიები სასოფლო-სამეურნეო მუზეუმში, სადაც შვებულებაში მიმავალი ეცნობოდა სასოფლო-მეურნეობის ყველა დარგებს. გარდა 1000 ც. უბის წიგნაკისა მუშებს დაურიგდა სა გლეხო ლიტერატურა 5.200 ეგზემპლიარის რაოდენობით.

ეს ციფრები, რომლებიც ახასიათებენ საშვებულებო კამპანიის ჩატარებას პირველ თვეში, მაგრამ რამდენად საიმედოა ეს ციფრები და შეიძლება თუ არა შემდეგ თვეებში, მით უმეტეს გაცხოველებულ საშვებულებო კამპანიის თვეებში, დავკმაყოფილდეთ მარტო ამ შედეგებით?

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ზემოდმოყვანილი შედეგები არ არის სავსებით დამაკმაყოფილებელი. მთავარ ნაკლოვანებათ უნდა ჩაითვალოს ის, რომ საშვებულებო კამპანიას არ აქცევენ სათანადო ყურადღებას სათანადო ორგანიზაციები. შარშან ეს საკითხი ისეთსავე მდგომარეობაში იყო, როგორც ეხლა და სწორედ ეს გარემოება შეიქნა კამპანიის ჩაშლის ერთ-ერთი მიზეზი. დღეს ჩვენ ვართ იმის მოწამენი, რომ ყველა პარტიული უჯრედი დიდის ყურადღებით არ ეპყრობა საშვებულებო კამპანიას. ფაბრიკა-ქარხნების ადგილკომების უმრავლესობა გულგრილობას იჩენს, კამპანიისადმი, ხოლო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს (კოოპერაცია, თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოება, რემედასი და სხვ.) თითქოს არ გაუნძრევიათ შვებულებაში მიმავალ მუშა-მოსამსახურეებთან სამუშაოდ.

როგორც ჩვენ უკვე აღვნიშნეთ საშვებულებო კამპანიის გამო კრებები ჩატარდა მხოლოდ 46 წარმოებაში, მაშინ, როცა თბილისში 300-ზე მეტი წარმოება-დაწესებულებაა.

უზრუნველყოფილი იყვნენ თუ არა შვებულებაში მიმავალნი ლიტერატურით? ჩვენ ვფიქრობთ, რომ არა, ვინაიდან თვითეულ შვებულზე მოდის მხოლოდ 6—7 წიგნაკი. ეს ნაკლი პირველ-ყოვლისა უნდა მივაწეროთ პროფკავშირებს, რომლებსაც აქამდის ერთი წიგნაკიც არ შეუტანიათ, მაშინ როცა საკავშირო კომპარტიის (ბ) ცკას დირექტივაში ნათლად აღნიშნულია: „პროფკავშირთა დახმარება უნდა გამოიხატოს სათანადო საშუალებების ლიტერატურის და მუშაკების გამოყოფაში".

დირექტივაში ლაპარაკია აგრეთვე კლუბების მუშაობის გაძლიერების შესახებ. მაგრამ ჩვენ კლუბებს ბევრი არაფერი გაუკეთებიათ ამ კამპანიისათვის.

ნებაყოფლობით საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, როგორიცაა თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოება და რემედასი, რომელთაც კამპანიაში უაღრესად აქტიური მონაწილეობა უნდა მიეღოთ სადირექტივო მითითებების მიცემაც კი არ მოისურვეს.

დაბოლოს პარტუჯრედების შესახებ. უკანასკნელნი არ ზრუნავენ იმაზე, რომ გაატარონ საშეფო ორგანიზაციების მიერ შვებულთა შორის ჩატარებულ მუშაობის შემოწმება. იყო შემთხვევა, როცა ერთ-ერთი მუშა უშუალოთ გამოცხადდა რაიონში საჩივარით, რომ მას წარმოებაში არაფერი არ კეთდება და რომ ის მიდის შვებულებაში და ამიტომ ითხოვს მიეცეს დავალებები.

საჭიროა, რათა პარტუჯრედებმა კიდევ ერთხელ გადაათვალიერონ საკავშირო კომპარტიის (ბ) ცკას, ამიერ-კავკ. საოლქო კომიტეტის და თბილისის კომიტეტის მითითებები, რომლებშიაც გარკვევით არის ლაპარაკი ყურადღების გაძლიერებისა და კამპანიის სისტემატიურად ხელმძღვანელობის აუცილებლობის შესახებ.

ეხლა ვნახოთ თუ რა შეცდომები დაუშვა საშეფო ორგანიზაციებმა.

მთავარ ნაკლოვანებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ საშეფო უჯრედები სათანადოთ ვერ სვამენ ორგანიზაციების წინაშე შვებულთა საკითხებს და ვერ აინტერესებენ მუშებს.

ის გარემოება, რომ მოწყობილ იქნა შვებულთა მხოლოდ 8 წრე და არავითარი მუშაობა არ სწარმოებდა სოფლებიდან დაბრუნებულ მუშებს შორის, მოწმობს, რომ ცალკე საშეფო უჯრედები სათანადო ყურადღებით არ ეპყრობოდნენ კამპანიას. მუშაობის უკანასკნელი ნაწილი მეტად მნიშვნელოვანია, ვინაიდან ჩვენთვის საჭიროა როგორც გლეხების, ისე თვით შვებულთა განწყობილების გამორკვევა.

თბილისიდან შვებულებაში მიმავალ რამოდენიმე ათი-ათას მუშას შორის ეჭვს გარეშე არის ისეთები, რომლებსაც არ ესმით სოფლის მდგომარეობა ან ძალიან პოლიტიკურად განუვითარებელნი და ამიტომ მათზე შეიძლება გავლენა მოახდინოს გლეხთა ცალკე უკმაყოფილო ჯგუფების განწყობილებამ.

ეს მომენტი და კიდევ მთელი რიგი სხვა მიზეზები გვაიძულებს განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ მუშაობის უკანასკნელ ნაწილს—შვებულებიდან დაბრუნებულთა შთაბეჭდილებების აღრიცხვას.

ყველა პარტიულმა უჯრედმა დაუყოვნებლივ უნდა მოჰკიდონ ხელი იმ მუშაობის შემოწმებას, რომელსაც საშეფო უჯრედები აწარმოებენ შვებულთა შორის. დღითი-დღე გაძლიერებულ უნდა იქნეს მიმდინარე კამპანიას ხელმძღვანელობა.

გ. სტეფანოვი.

საორგ. განყ. გამგეების ა.-კ. თათბირი

ამ დღეებში დასრულდა პარტიულ კომიტეტების საორგანიზაციო განყოფილებათა თათბირი, რომელიც მოწვეული იყო ამიერ - კავკასიის საოლქო კომიტეტის მიერ.

თათბირმა განიხილა: ორგანიზაციის ზრდის საკონტროლო ციფრები, მოხსენებები სააღრიცხვო განმანაწ. განყოფილებათა მუშაობის, ინსტრუქტაჟის საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების, მუშების დაწინაურების შესახებ და საოლქო კომიტეტის მუშაობის გეგმა.

პირველ საკითხზედ მოხსენებით გამოვიდა ამხ. ზარტიშევსკი. მან აღნიშნა, რომ ა.-კ. საოლქო კომიტეტის უკანასკნელმა პლენუმმა ორგანიზაციის მუშების ხარჯზე ზრდის ტემპი სცნო არადამაკმაყოფილებლად.

1926 წლის 1 აპრილიდან 27 წლ. 1 აპრილამდე ა. კ. პარტორგანიზაცია გაიზარდა 34,8 პროც. ყველაზედ მეტი ზრდა გვიჩვენა აზერბაიჯანმა (37 პროც.), შემდეგ სომხეთმა (34 პროც.) და საქართველომ (32,6).

ზრდა განსაკუთრებით სუსტად მიმდინარეობდა ქალების ხარჯზე. 2 წლის განმავლობაში მათი პროც. 5,3-დან მხოლოდ 5,9-დე გადიდდა.

შემდეგ ამხ. ზარტიშევსკიმ დაასახელა ციფრები, რომლის მიხედვითაც უნდა სწარმოებდეს პარტიაში ახალი კანდიდატების მიღება. ციფრებში გათვალისწინებულია ორგანიზაციის მაქსიმალური ზრდა პირველ რიგში მუშებისა და მოჯამაგირეების ხარჯზე.

შემდეგ თათბირმა მოისმინა ამხ. ვასილიევის მოხსენება.

სააღრიცხვო განმანაწილებელ მუშაობის სწორად დაყენება — იწყებს მომხსენებელი, — ბევრად გააუმჯობესებს მუშაკთა შერჩევის საქმეს. უნდა აღინიშნოს, რომ ეს საქმე კარგად არის დაყენებული რესპუბლიკანურ ცკ-ისა და მსხვილ საწარმოო კომიტეტებში, მაზრებში კი — ძალზედ მოიკოჭლებს, იქ დღემდე არ არის გამორკვეული, თუ რომელი თანამდებობები შედიან პარტკომის ნომენკლატურაში.

საჭიროა მეტი ყურადღებით მოვეკიდოთ სპეციალისტ - კომუნისტების აღრიცხვის საქმეს და უმუშევართა კვალიფიკაციის აწევას მათი მომზადება - გადამზადების გზით.

ამ მხრივ შესამჩნევი ნაბიჯი გადადგა თბილისის კომიტეტმა. მან შესძლო საწევრო გადასახადებისა და პარტმაქსიმუმის ზევით დაწესებულ ანარიცხების საშუალებით შეეგროვებინა საჭირო თანხა, რითაც გახსნა სხვადასხვა სახის კურსები უმუშევარ კომუნისტებისათვის (მოანგარიშეების, კოოპერატიულ მუშაკებისა და მემანქანეების) კურსებზე კვალიფიკაცია მიეცა სულ 98 ამხანაგს.

დასასრულ მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ზოგიერთ პარტკომში ყურადღება არ ექცევა მომუშავეების შერჩევას მათი გამოცდილების მიხედვით. ადგილი აქვს ხშირ ცვალებადობას, რაც უარყოფითად მოქმედობს საერთო აღრიცხვის წარმოებაზე.

ინსტრუქტორთა მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. გობეჯიშვილმა.

ინსტრუქტორების მუშაობას, რომლებიც ატარებენ ფართო გამოკვლევებს ნაკლოვანებათა აღმოჩენის მიზნით — სთქვა ამხ. გობეჯიშვილმა. — დღევანდელ პირობებში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს.

დღემდე როგორც პარტიულ ისე არაპარტიულ ორგანიზაციის ინსტრუქტაჟის საქმიანობაში შემჩნეულია მნიშვნელოვანი დეფექტები. არ სწარმოებს მთლიანი გამოკვლევები, არც რომელიმე განსაკუთრებულ დარგის სრული შესწავლა. ხშირად რამოდენიმე ორგანიზაცია ერთსა და იმავე დროს იკვლევს ერთ და იმავე დარგს, რაც მთელ არევ-დარევას იწვევს მუშაობაში.

მუშაობის გამოკვლევის დროს ზოგჯერ უფრო მეტი ყურადღება ექცევა სრულიად უმნიშვნელო საკითხებს. ასე მოიქცა მაგალითად საქ. პროფსაბჭოს ინსტრუქტორი აღმშენებელთა კავშირის გამოკვლევის დროს. მან მთელი თაბახი უძღვნა კავშირის გამგეობის საქმის წარმოების აღწერას, ძირითად საკითხებს კი გვერდი აუხვია.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ინსტრუქტორების მომზადების დონე უმეტეს ნაწილად დაბალია, მათი შერჩევა შემთხვევითია და არ ატარებს სისტემატიურ ხასიათს. უფრო ხშირად ინსტრუქტორებს დროებით იყენებენ ამ სამუშაოზე, რომ შემდეგ სხვა დარგში გადაიყვანონ.

დასასრულ თათბირმა მოისმინა მოხსენება დაწინაურების შესახებ, განიხილა საოლქო კომიტეტის გეგმა და მიიღო პრაქტიკული წინადადებები გარჩეულ საკითხებზე.

თათბირი დაიხურა.

საბჭოთა კავშირში

ხარკოვის მუშები მოსკოვის საბჭოში

მოსკოვი, 10 ივლისი. ხარკოვის მუშათა დელეგაციის ჯგუფი ეწვია მოსკოვის საბჭოს. დელეგაციას შეეგებნენ მოსკოვის საბჭოს პრეზიდიუმის წევრები ამხ. უხანოვის, უგლანოვის და სხვ. მეთაურობით. ამხ. უხანოვმა ხარკოველ ამხანაგებს გააცნო მოსკოვის საბჭოს პრეზიდიუმის წევრები და მოსკოვის პარტორგანიზაციის მუშაკები. შემდეგ სტუმრებს მიესალმა საკავშირო კომპარტიის მოსკოვის კომიტეტის მდივანი და მოსკოვის საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ამხ. უგლანოვი, უკრაინელ ამხანაგებმა მიმართეს მოსკოველებს მრავალი შეკითხვებით, რომლებიც ეხებოდა მოსკოვის საბჭოს მუშაობის ცალკე მხარეებს. ამხ. უხანოვმა, პრეზიდიუმის წევრებმა და მოსკოვის საბჭოს სათანადო განყოფილებების გამგეებმა ამ შეკითხვებზე ამომწურავი პასუხი გასცეს.

გამომშვიდობებისას ამხ. უხანოვმა მადლობა გადაუხადა დელეგატებს სტუმრობისათვის.

მაქსიმ გორკი ხარკოვში

ხარკოვი, 10 ივლისი. კვირას პროფკავშირთა ბაღში, ცის ქვეშ ათასი კაცის თანდასწრებით, შესდგა სრულიად უკრაინის ცაკის პრეზიდიუმის, სახკომისართა საბჭოს, ქალაქის საბჭოს პლენუმის, საოლქო აღმასკომის და ქალაქის პროფსაბჭოს გაფართოებული საზეიმო სხდომა საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის 5 წლის თავის აღსანიშნავად.

სხდომის მეორე ნახევარი მიეძღვნა გორკის პატივისცემას. იგი ერთხმად არჩეულ იქნა პრეზიდიუმში. გორკიმ მრავალი ორგანიზაციის მისალმების საპასუხოდ, სხვათა შორის, განაცხადა:

„მე დღეს ვნახე ვეებერთელა სახლი, რომელიც შენდება აქ, ხარკოვში. ასეთი გრანდიოზული მშენებლობა მოწმობს იმას, რომ მუშათა კლასი დიდი ენერგიით აწარმოებს მუშაობას. ეს შენობა მუშათა კლასის ძლიერებისა და სიმტკიცის სიმბოლოა.

ძვირფასო ამხანაგებო, სთქვა დასასრულ გორკიმ, — ისეთი სიჭარბით ვხედავ ყველგან მუშური აზროვნების შემოქმედებას, რომ თქვენთან ერთად ვიმსჭვალები გამარჯვების ღრმა რწმენით".

ნაშუადღევის 3 საათზე გორკი გაემგზავრა კურიაჟში, სადაც მისი სახელობის დიდი საბავშო ახალშენია. იქვე გაათია მან ღამე.

საქმე შვეციის ფირმებისათვის ცნობების გადაცემის შესახებ

მოსკოვი, 10 ივლისი. 11 ივლისს საბჭოთა კავშირის უზენაეს სასამართლოს სამხედრო კოლეგიაში დაიწყება ოკოლზინის, ორლოვის, მატვეევის, ბარჩის და სხვების საქმის გარჩევა. აღნიშნულ პირებს ბრალად ედება, რომ ისინი შვეციის ორ ფირმას აწვდიდნენ ეკონომიური ხასიათის ცნობებს, რომლებიც თავისი შინაარსით სახელმწიფო საიდუმლოებას წარმოადგენდნენ. დასახელებული საბჭოთა მოქალაქენი იყვნენ შვეციის ფირმების „ალფა ლავალ"-ის და „დიაბოლო სეპარატორ"-ის წარმომადგენლებად საბჭოთა კავშირში. მაგრამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ფარგლებში მუშაობის ნაცვლად ისინი აგროვებდენ საიდუმლო ცნობებს საიმპორტო გეგმების, შემოსაზიდ სეპარატორების, დაკვეთების განაწილების, გაცემული ლიცენზიების და სხვ. შესახებ, ამ ცნობებს ისინი აწვდიდნენ იმ ფირმებს, რომლების წარმომადგენლებადაც იყვნენ და ამით განსაკუთრებით ხელსაყრელ მდგომარეობაში აყენებდნენ მათ გარიგებათა დადების დროს.

საბჭოთა დაწესებულებებში ცნობებს შესაკრებად ოკოლზინი, ორლოვი და მატვეევი სარგებლობდნენ მოსყიდვით და პირადი ნაცნობობით.

ოკოლზინის, ორლოვის და მატვეევის გარდა პასუხისგებაში მიცემული არიან ჩრდილოეთ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო მანქანების ტრესტის გამგეობის წევრი ბებიაკინი შვეციის ფირმა „სეპარატორ"-ის მოსამსახურე კეპლე, უკრაინის კავშირ „დებრობუტ"-ის სარძეო ინვენტარის მიწოდების განყოფილების გამგე ბაბი, უკრაინის სახელმწიფო ვაჭრობის სასოფლო-სამეურნეო განყ. გამგე პევნი, სახელმწიფო ბანკის ტექნიკური კანტორის სპეციალისტი ბერეზნიაკი, „სელსკი გოსპოდარ"-ის ინჟინერი ბარჩი და ყაზახსტანის სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწყობის წარმომადგენელი მოსკოვში კალმენევი. (ადს).

ამხ. ენუქიძე შეუდგა თავის მოვალეობის შესრულებას

მოსკოვი, 10 ივლისი. შვებულებიდან დაბრუნდა და სამსახურის მოვალეობათა ასრულებას შეუდგა საკავშირო ცაკის მდივანი ამხ. ენუქიძე.

დახმარება შვეციის გაფიცულ მემაღაროებს

მოსკოვი, 10 ივლისი. საბჭოთა კავშირის სამთომადნო მუშათა პროფკავშირის ცკამ შვეციის გაფიცულ მემაღაროებს დახმარების სახით გაუგზავნა 16.000 მან. შვეციის მემაღაროეთა გაფიცვა გრძელდება შვიდი თვე, ამ ხნის განმავლობაში საბჭოთა კავშირის მემაღაროებმა გაფიცულ მუშებს გაუგზავნეს 409.000 მან. (ადს).

პარიზის კომუნის გამოფენის გახსნა

მოსკოვი, 10 ივლისი. 9 ივლისს საღამოთი წითელი არმიის ცენტრალური სახლში გაიხსნა პარიზის კომუნის გამოფენა. გამოფენის გახსნას, სხვათა შორის დაესწრო ინტერნაციონალის ავტორი დეჟეიტერი და პარიზის კომუნის მონაწილე ფურკადი. (ადს)

იაპონელთა დიდი ექსკურსიის პირველი ჯგუფი

მოსკოვი, 10 ივლისი. მოსკოვში ჩამოვიდა პირველი ჯგუფი იაპონელთა დიდი ექსკურსიისა რომელიც მოაწყო გაზეთ „ოსაკა მაინიჩ"-მა. ამ ჯგუფში შედის 33 კაცი. ექსკურსანტების უმრავლესობას შეადგენენ კომერსანტები, მიწათ-მფლობელნი, ფაბრიკანტები, ექიმები, სავაჭრო კამპანიების დირექტორები და სხვ. ექსკურსანტები მოსკოვში დარჩებიან ორ დღეს. (ადს)

სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობათა ქვედა ქსელის განმტკიცება

მოსკოვი, 10 ივლისი. შრომისა და თავდაცვის საბჭომ საჭიროდ სცნო ცენტრალური სასოფლო-სამეურნეო ბანკის მოგებიდან 1927 წლის ბალანსით გამოჰყოს 1.400.000 მანეთი სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობათა ქვედა ქსელის განსამტკიცებლად.

ტვირთბრუნვის ზრდა

ოდესა, 10 ივლისი. თანდათან იზრდება ტვირთბრუნვა შავი ზღვის და ახლო აღმოსავლეთის ნავთსადგურთა შორის. წარსულ წელთან შედარებით, ტვირთბრუნვამ 88 პროცენტით იმატა.

პურის დამზადება

მოსკოვი, 10 ივლისი. ს. ს. ს. რ. სახალხო ვაჭრობის კომისარიატის წინასწარ ცნობებით, ივლისის პირველ ხუთ დღეში დამზადდა 22,056 ტონა პურეული. შარშან ამავე დროს განმავლობაში დამზადებულ იქნა 15,547 ტონა. წლევანდელი დამზადება შარშანდელს 41,3 პროც. აღემატება.

სამხედრო სკოლებში მიღების შესახებ

(თეზისები)

1. მუშურ-გლეხური წითელი არმია—პროლეტარული დიქტატურის შეიარაღებული დასაყრდენია. წითელი არმიის ძირითად ამოცანას შეადგენს საბჭოთა კავშირის დამოუკიდებლობისა და თავისუფლების უზრუნველყოფა კაპიტალიზმის ყოველგვარ თავდასხმისაგან და მუშებისა და გლეხების მშვიდობიანი სოციალისტური მშენებლობის დაცვა. წინააღმდეგ კაპიტალისტური არმიებისა, რომლებიც კაპიტალისტების იმპერიალისტური პოლიტიკის იარაღს წარმოადგენენ,—მუშებისა და გლეხების ინტერესების გამომხატველ წითელ არმიისათვის უცხოა მისწრაფება სხვა ერების დაპყრობისა და დამონებისაკენ. წითელი არმია, რომელიც ცდილობს მშვიდობიანობის უკანასკნელ შესაძლებლობამდე დაცვას, წარმოადგენს საბჭოთა ხელისუფლების სამშვიდობო პოლიტიკის დასაყრდენს. ამასთან ერთად, ის, იცავს რა საბჭოთა კავშირს—მსოფლიო რევოლუციის ამ პლაცდარმს, წარმოადგენს მთელი ქვეყნის მშრომელთა მძლავრ შეიარაღებულ რაზმს.

2. საბჭოთა კავშირის თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობა ოდნავადაც არ ასუსტებს საბჭოთა კავშირის თავდაცვისა და, უწინარეს ყოვლისა, პროლეტარიატის კლასობრივი შეიარაღებული ძალის—წითელი არმიის განუწყვეტელი განმტკიცების ამოცანებს. ეს ამოცანები წინანდებურად უნდა იდგენ საბჭოთა სახელმწიფოს, პარტიისა და მუშურ-გლეხური ფართო მასების ყურადღების ცენტრში. წითელი არმიის განმტკიცების საქმეში მიღწეული წარმატება საბჭოთა კავშირის საერთო განმტკიცების, მისი ეკონომიური აღორძინებისა და მუშურ-გლეხური მასების კულტურული განვითარების საფუძველზე—საშუალებას გვაძლევს უფრო მეტად და უფრო სწრაფი ტემპით განვამტკიცოთ წითელი არმიის ბრძოლის უნარი.

3. წითელი არმიის ბრძოლის უნარი დიდათაა დამოკიდებული მეთაურთა შემადგენლობის ღირსებაზე. ამიტომ მეთაურთა და პოლიტმუშაკთა მომზადება წითელი არმიის განმტკიცების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს. საკავშირო კომპარტიის (ბ) პროგრამა განსაზღვრავს რა მეთაურთა და პოლიტმუშაკთა შემადგენლობის როლსა და მნიშვნელობას, ამბობს: „აუცილებელი ორგანიზაციული კავშირი და სიმტკიცე შეიძლება მოგვცეს ახალგაზრდა რევოლიუციონურ არმიას მხოლოდ შეგნებული მუშებისა და გლეხების წრიდან გამოსულ მეთაურთა შემადგენლობის შემწეობით. ამიტომ არმიის შექმნის საქმეში ერთ მთავარ ამოცანათაგანს წარმოადგენს მეთაურთა მომზადება ყველაზე უფრო შეგნებულ, ენერგიულ და სოციალიზმისათვის თავდადებულ ჯარისკაცებისაგან".

4. მუშურ-გლეხური მეთაურის როლი წითელ არმიაში უდიდესია, ხოლო მასზე დაკისრებული ამოცანები—მეტად საპასუხისმგებლო. მუშურ-გლეხური წითელი არმიის მეთაური ასრულებს რა მუშათა კლასის, მისი პარტიისა და ხელისუფლების ნება-სურვილს, არის წითელი არმიის ორგანიზატორი და მშენებელი. ის ასწავლის საბჭოთა კავშირის ყველა მოქალაქეს სამხედრო საქმეს და ხელმძღვანელობას უწევს თავდაცვისათვის ქვეყნის მზადების საქმეს. ის წაიყვანს მუშებსა და გლეხებს საომრად. მუშურ-გლეხური წითელი არმიის მეთაური არის წითელი არმიელების პოლიტიკური აღმზრდელი და ხელმძღვანელი, აქტიური კულტურული და საზოგადო მუშაკი; ამავე დროს ის არის მთელი სოციალისტური მშენებლობის აქტიური მონაწილე, ისევე, როგორც მთელი წითელი არმია, რომელიც საბჭოთა კავშირის საგუშაგოზე სდგას, არის ამავე დროს საზოგადოებრივ-პოლიტიკური სკოლა მუშურ-გლეხური ფართო მასებისათვის და კულტურის გამავრცელებელი. კაპიტალისტური არმიები კი, სადაც მეთაური ბურჟუაზიის ნება-სურვილების ამსრულებელია, პირიქით, აბნელებენ მშრომელთა კლასობრივ შეგნებას. მუშურ-გლეხური წითელი არმიის მეთაური, იცავს რა საბჭოთა კავშირს—საერთაშორისო რევოლიუციის ამ ციხე-სიმაგრეს, ამავე დროს იცავს მთელი ქვეყნის მშრომელი მასების ინტერესებს; ამიტომ მისი როლი და მნიშვნელობა დიდია და საპატიო არა მარტო საბჭოთა კავშირის, არამედ მთელი ქვეყნის მშრომელთა თვალში.

5. ჩვენი არმია ჯერ-ჯერობით მსოფლიოში ერთად - ერთი არმიაა, სადაც მეთაურთა შემადგენლობას ისეთივე კლასობრივი ინტერესები აქვს, როგორიც წითელ არმიელების მთელ მასას. კაპიტალისტური ქვეყნების არმიების ოფიცერთა კადრში მხოლოდ თითო ოროლა ჯარის კაცს შეუძლია მოხვდეს და ისიც ისეთს, რომელიც მოსწყდა თავის კლასს და რომელმაც დაამტკიცა, რომ მზადაა დაიცვას ბურჟუაზიის ინტერესები. წითელი არმიის ძალა კი იმაში მდგომარეობს, რომ ის კლასობრივად ერთფეროვანია და მისი მეთაურთა შემადგენლობის კადრები გამოდიან მუშურ-გლეხურ წრიდან. წითელი არმია ერთად-ერთი არმიაა, სადაც ყოველ მუშასა და გლეხს სრული შესაძლებლობა აქვს გახდეს მეთაური და მიაღწიოს მეთაურის უმაღლეს თანამდებობებს.

6. მუშურ-გლეხური წით. არმიის მეთაური არ არის აღჭურვილი იმ განსაკუთრებულ უფლებებით და კასტიური პრივილეგიებით, რომლებიც მინიჭებული აქვს ოფიცერთა შემადგენლობას ბურჟუაზიულ ქვეყნებში და რომელთა მეოხებით კაპიტალისტური არმიების მეთაური ბატონობს მშრომელებზე და ჩაგრავს მათ. პროლეტ. დიქტატურის ქვეყანაში, სადაც ყოველი მუშა და გლეხი ერთნაირ უფლებებით სარგებლობს, მუშურ-გლეხური წითელი არმიის მეთაურს არ შეიძლება ჰქონდეს რაიმე განსაკუთრებული უფლებები და პრივილეგიები. სწორედ ეს აკავშირებს და აახლოვებს მეთაურს მუშათა კლასთან. მის უფლებებს განსაზღვრავს არა ის, რომ იგი ეკუთვნის სხვა კლასს, მჩაგვრელთა კლასს, არამედ ის, რომ იგი საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი მოქალაქეა, გარდა ამისა, მის უფლებებს განსაზღვრავს მისი მდგომარეობა სამსახურში და მეთაურის პასუხსაგები მოვალეობა.

7. იგივე ითქმის მუშურ-გლეხური წითელი არმიის მეთაურის მატერიალური მდგომარეობის შესახებაც,—ის არ შეიძლება დიდათ განირჩეოდეს მუშის მატერიალური მდგომარეობისაგან. მაგრამ საბჭოთა ხელისუფლება ამ საკითხს დიდ ყურადღებას აქცევს, და ჩვენი ქვეყნის საერთო კეთილდღეობისა და მუშათა კლასის კეთილდღეობის ზრდასთან ერთად, უმჯობესდება მეთაურის მატერიალური მდგომარეობაც. უკანასკნელი სამი-ოთხი წლის განმავლობაში ოცეულის მეთაურთა ჯამაგირი გადიდდა 100 პროცენტით. ჩვენი მეთაურების საშუალო ხელფასი არ შეიძლება უდრიდეს კაპიტალისტური არმიების ოფიცერთა დიდ ჯამაგირებს. ამასთან ერთად წითელ არმიაში არ არის ისეთი დიდი განსხვავება დაბალ და მაღალ თანამდებობის პირთა ჯამაგირებს შორის, როგორიც კაპიტალიზმის არმიებშია. უდიდესი ჯამაგირი ჩვენს არმიაში 225 მან. უდრის, ოცეულის მეთაური, სამხედრო სკოლის დამთავრების შემდეგ, დაახლოვებით 90 მანეთს ღებულობს.

8. მუშურ-გლეხური მეთაურების მომზადების ამოცანას ასრულებენ ჩვენი სამხედრო სკოლები. ეს სკოლები ამზადებენ სამხედრო საქმის თანამედროვე მოთხოვნილებების დონეზე მდგომ, ლენინურად აღზრდილ და პროლეტარიატის დიქტატურისა და ინტერნაციონალიზმის საქმისათვის უანგაროდ თავდადებულ მეთაურებს, რომლებიც წითელ არმიაში ავრცელებენ კომუნისტური პარტიის, როგორც მუშათა კლასის ავანგარდის, გავლენას და რომელთაც შესწევთ ძალა მოამზადონ ბრძოლისათვის წითელი არმიელები და ნაწილები და გაუწიონ მათ ხელმძღვანელობა ბრძოლაში. თუ სამხედრო სკოლები (კურსები) სამოქალაქო ომის დროს მოკლე ხანში უშვებდენ ისეთ მეთაურებს, რომელთაც „ლენინური იუნკრების" საპატიო სახელწოდება დაიმსახურეს,—ეხლა მშვიდობიანი მშენებლობისა და სწავლების პერიოდში სკოლები მუშურ-გლეხურ წითელ არმიას ყოველ-წლიურად აძლევენ რამდენიმე ათას სავსებით მომზადებულ მეთაურს, რომლებიც თავიანთი მომზადებით ბრძოლისთვის, არ ჩამოუვარდებიან საუკეთესო კაპიტალისტური არმიების მეთაურებს.

9. წითელი არმიის საერთო ზრდასთან ერთად იზრდებიან ის მოთხოვნილებებიც, რომლებსაც მეთაურს უყენებენ. რათა მუშურ-გლეხური წითელი არმიის მეთაურმა მეტის წარმატებით შეასრულოს მუშათა კლასისა და პარტიის ნება-სურვილი წითელი არმიის მშენებლობის საქმეში, მისი სწავლებისა და აღზრდის საქმეში, ის მჭიდროდ უნდა დაუკავშირდეს მუშურ-გლეხურ მასებს, სოციალისტური მშენებლობის სათავეში მდგომ მუშათა კლასს, რაც შეიძლება მეტი წარმომადგენლები უნდა შეავდეს მეთაურთა შემადგენლობაში. დღემდე სამხედრო სკოლების შემადგენლობაში მუშები შეადგენდნენ 38-39 პროცენტს, გლეხები—46 პროც.-ს, პარტიულები—20პრ.-ს და კომკავშირელები—56 პრ.-ს. მომავალში მუშათა რიცხვი უნდა გაიზარდოს უნდა ვეცადოთ, რომ შევსების 50 პროცენტს სამრეწველო მუშები შეადგენდენ.

10. ამასთან ერთად იზრდება ის კულტურული და საერთო განათლების მოთხოვნილებები, რომლებსაც სამხედრო სკოლებში შესვლის მსურველთ უყენებენ. ამ თვალსაზრისით ყველაზე უფრო სასურველ კანდიდატებს წარმოადგენენ მუშები და გლეხები, რომელთაც დაამთავრეს მუშფაკები, შვიდწლედები და ცხრაწლედები. საერთო განათლება საჭიროა სამხედრო და პოლიტიკურ მეცნიერებათა შესათვისებლად სკოლებში.

11. ყოველ კანდიდატს, რომელიც სამხედრო სკოლაში შედის, ნათლად და მკაფიოდ უნდა ჰქონდეს წარმოდგენილი თავისი მომავალი მოღვაწეობა და ის მოვალეობა, რომელსაც მას მუშათა კლასი და პარტია აკისრებენ. სამხედრო სკოლაში საჭიროა შესვლა არა რაიმე განსაკუთრებული უფლებებისა და მატერიალურ უპირატესობათა მისაღებად. სამხედრო სკოლაში ღებულობენ მხოლოდ მუშებსა და გლეხებს, რომელთაც შეგნებულად სურთ შესწირონ თავიანთი სიცოცხლე მშრომელთა მასების განთავისუფლების საქმეს, ქვეყნის მზადების საქმეს თავდაცვისათვის. უნდა გვახსოვდეს, რომ ეს მუშაობა მშვიდობიანობის დროს მოითხოვს დიდ სამხედრო და პოლიტიკურ ცოდნას, კომუნიზმისათვის თავდადებას, დიდ ნებისყოფას, ფიზიკურ ამტანიანობას და ჯანმრთელობას. ომიანობის დროს, ამას გარდა, მეთაურის მუშაობა მოითხოვს თავგანწირვას, გამბედაობას და დიდი გაჭირვების გადატანის უნარს. ამ ამოცანების წარმატებით შესასრულებლად საჭიროა სამხედრო საქმის სიყვარული და ამ საქმისადმი მისწრაფება, ე. ი. სკოლაში შესვლის დროს საჭიროა თავის პროფესიის შეგნებულად ამორჩევა.

12. სამხედრო საქმე მეტად რთულ და მრავალფეროვანია. ის იყოფა მრავალ სპეციალობად. ამის და მიხედვით საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში არსებობენ რამდენიმე ტიპის სამხედრო სკოლები: ქვეითი ჯარის, ცხენოსანი ჯარის, საარტილერიო, სამხედრო-საინჟინერო და სხ. განსაზღვრული ტიპის სკოლის არჩევის დროს კანდიდატმა შეგნებულად უნდა აწონ-დაწონოს თავის მომზადება და მისწრაფება ამა თუ იმ სახის სამხედრო მუშაობისადმი, თავისი ნიჭი და ფიზიკური თვისებები. ეს არის სკოლაში წარმატებით მეცადინეობის თავდები.

სხვადასხვა ერისათვის ბევრ სკოლასთან არსებობს ეგრედწოდებული ეროვნებათა განყოფილებები, სადაც სწავლება ამ ეროვნებათა მშობლიურ ენაზე სწარმოებს.

ამ პირველი საფეხურის სამხედრო სკოლებს გარდა, სადაც შედიან ისინი, ვისაც სამხედრო მომზადება არა აქვთ, არსებობენ უფრო მაღალი ტიპის სამხედრო სასწავლებლებიც—გადასამზადებელი კურსები და აკადემიები, რომლებშიაც შემდეგ ყოველ მეთაურს შეუძლია შესვლა, თუ ის საჭირო მოთხოვნილებებს დააკმაყოფილებს.

13. სამხედრო სკოლა ამზადებს მუშურ-გლეხური წითელი არმიის ოცეულის მეთაურს, რომლის მოვალეობაც მეტად რთულია. ამიტომ სწავლებაც სამხედრო სკოლებში რთულია. იგი კურსანტისაგან მოითხოვს ბეჯით მუშაობას 3-4 წლის განმავლობაში (3 წლიწადი ქვეითი და ცხენოსანი ჯარის სკოლებში, 4 წლიწადი დანარჩენი ტიპის სკოლებში). სამხედრო სწავლა იძლევა საერთო განათლებას (მთელი სამსწავლო დროის 9 პროცენტი), საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მომზადებას (სამსწავლო დროის 18 პროც.) და სამხედრო მომზადებას (დაახლოვებით სამსწავლო დროის 76 პროც.).

კურსანტების აღზრდის საქმეში უდიდესი მნიშვნელობა აქვთ სკოლის პარტიულ, კომკავშირულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

სწავლება სამხედრო სკოლაში სამხედრო სამსახურია. ამიტომ სამხედრო სკოლის ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ სკოლაში არსებობს მკაცრი სამხედრო დისციპლინა. მაგრამ წითელი არმიის დისციპლინას სულ სხვა საფუძველი აქვს, ვიდრე ბურჟუაზიული არმიების დისციპლინას. მას საფუძვლად უდევს არა ბრმა მორჩილება დამონებული კლასისა გაბატონებულ კლასის მიმართ, არამედ სამხედრო მოსამსახურეების მიერ საბჭოთა ხელისუფლების ყველა განკარგულებისა და თავიანთი უშუალო უფროსებისა და მეთაურების ბრძანებების შეგნებული შესრულება.

14. სკოლაში ჩარიცხულ კურსანტს, სამხედრო მოვალეობასთან ერთად, ეძლევა მთელი რიგი შეღავათი და უპირატესობა, რომლებიც გათვალისწინებულია საბჭოთა კავშირის კანონებით და საბჭოთა კავშირის სამხედრო რევოლიუციონურ საბჭოს ბრძანებებით ის სარგებლობს ყველა იმ შეღავათით, რომლებიც მინიჭებული აქვთ წითელ არმიელებს სხვადასხვა დარგში: შრომითი მიწათ-სარგებლობის დარგში, გადასახადების, ბავშების სწავლებისა და სხვა დარგებში.

15. სამხედრო სკოლის შევსების მთავარ პრინციპს წარმოადგენს კონკურსი, ე. ი. სკოლაში შესვლის ყველაზე მეტი შესაძლებლობა აქვს იმას, ვინც უკეთ არის მომზადებული, რა თქმა უნდა, სხვა აუცილებელ პირობების არსებობის შემთხვევაში: თუ ის აკმაყოფილებს ასაკის (18-22 წ. სამხედრო მოსამსახურეებისათვის—23-25 წ.), ჯანმრთელობისა და შესაფერ სოციალური მდგომარეობის მოთხოვნილებებს. სამხედრო სკოლაში შესვლის მსურველი აბარებს გამოცდებს სამკომისიაში: 1) საექიმო, 2) პოლიტიკური და 3) სამსწავლო კომისიაში. ქვეითი და ცხენოსანი ჯარის სკოლების პირველ (მოსამზადებელ) კლასში შემსვლელ კანდიდატებს უნდა ჰქონდეთ საერთო განათლება სამოქალაქო სკოლის პირველ საფეხურის ჯგუფის პროგრამის ფარგლებში, ხოლო სპეციალური სკოლების პირველ კლასში შემსვლელთ—სამოქალაქო სკოლის მე-5-6 ჯგუფის პროგრამის ფარგლებში. პოლიტიკური მომზადება საჭიროა პოლიტცოდნის შემცირებული კურსის სკოლების პროგრამის ფარგლებში წითელი არმიის მშენებლობისა და მისი ბრძოლის ისტორიის მთავარი საკითხების დამატებით.

მისაღები გამოცდები ყველა სკოლაში იწყება 15 სექტემბრიდან და გრძელდება 1-ლ ოქტომბრამდე.

16. სამხედრო სკოლების შევსების ყველაზე უფრო შესაფერის მუშურ-გლეხური კონტინგენტით უდიდესი მნიშვნელობა აქვს წითელი არმიის შესაფერ მეთაურთა კადრების მომზადების საქმეში. ამიტომ შევსების კამპანიამ, რომელსაც ფართო საზოგადოებრივი ხასიათი ეძლევა, ყველა პარტიულ, პროფესიონალური და საზოგადოებრივ ორგანიზაციების, განსაკუთრებით კი თვით მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის ყურადღება უნდა მიიპყრას.

საქ. პროფსაბჭოს მე-7 პლენუმი

მეორე სხდომა

კამათი ამხ. გ. ყურულაშვილის მოხსენების გარშემო

10 ივლისს, საღამოს, შესდგა პროფსაბჭოს პლენუმის მეორე სხდომა, რომელზედაც დაიწყო კამათი პროფსაბჭოს მუშაობა - საქმიანობის შესახებ.

ახალციხის საპროფბიუროს წარმომადგენელი ამხ. პისკუნოვი აღნიშნავს, რომ პროფსაბჭო ვერ უწევდა საჭირო ხელმძღვანელობას ადგილებს, მართალია ადგილობრივ ხშირად მიდიოდენ პროფსაბჭოს ინსტრუქტორები და ახდენდენ გამოკვლევებს, მაგრამ ეს გამოკვლევები ატარებენ ზერელე ხასიათს. ორატორი ამასთანავე აღნიშნავს, რომ მომავალში საჭირო იქნება არა მარტო გამოკვლევების ჩატარება, არამედ შემჩნეული დეფექტების გამოსასწორებელი ღონისძიებების ადგილობრივ გამომუშავება.

ამხ. არუთინოვი (კომუნალურ მუშაკთა კავშირიდან) ეხება ბიუროკრატიზმთან ბრძოლის საკითხს და აღნიშნავს, რომ ხშირათ ბიუროკრატიზმში შენიშნული მუშაკები შოულობენ მფარველებს და მათ წინააღმდეგ დაწყებული კრიტიკა ძნელად აღწევს მიზანს.

ამხ. ხაჩიძე (ბორჯომის პროფბიუროს წარმომადგენელი) ეხება პროფკავშირული დემოკრატიის პრინციპების გადამახინჯებას ზოგიერთ პროფკავშირულ ორგანიზაციებში და განმარტავს აღნიშნული მოვლენის მავნებლობას.

ამხ. აფხაიძე (ქუთაისიდან) ეხება ქუთაისის მაზრაში პროფესიონალური მუშაობის პირობებს და ამბობს, რომ რიონჰესის, აბჰესის და მთელი რიგი სხვა ქარხნების აღმშენებლობის გამო ქუთაისის პროფბიუროს უხდება მუშაობის წარმოება მრავალი კუთხეებიდან ჩამოსულ მუშათა შორის, რაც ართულებს მუშაობის პირობებს და იქმნება შეცდომების დაშვების შესაძლებლობა.

ორატორი აღნიშნავს, აგრეთვე, რომ ზოგიერთი საამშენებლო ორგანიზაციები კოლექტიურ ხელშეკრულებებს სდებენ სამუშაოთა წარმოების ადგილზე კი არა, არამედ თბილისში, ასე მოხდა, მაგალითად რიონჰესზე. ამან შექმნა ისეთი მდგომარეობა, რომ რიონჰესზე მომუშავე მუშა - მოსამსახურეები იღებენ გაცილებით იმაზე მეტ ხელფასს, ვიდრე იმავე თანამდებობაზე მყოფი მუშა-მოსამსახურეები ადგილობრივ ორგანიზაციებში (აღმასკომი და სხვ.).

ამხ. კომახიძე ლაპარაკობს პროფორგანიზაციებში ბიუროკრატიზმთან ბრძოლის საკითხზე და გამოსთქვამს აზრს, რომ ბიუროკრატიზმი ხშირათ გამოწვეულია ზოგიერთი პროფმუშაკების დაღლით, რადგან ისინი მუშაობენ 6—7 წელიწადია და პროფმუშაობა მათთვის მართლაც პროფესიათ გადაიქცა. ამიტომ ორატორს საჭიროდ მიაჩნია განახლებულ იქნეს პროფმუშაკთა კადრები ახალი ძალების დაწინაურებით.

შემდეგ კამათში გამოვიდნენ ამხ. ბეჟანიშვილი (წინანდალის სახ. მამულიდან), პოპანდოპულო (მოჯამაგირეთაგან), ორლოვსკაია (გემო-კვების მუშაკთა კავშირიდან) და პ. შიშინაშვილი (აღმშენებელთა კავშირიდან).

უკანასკნელი ორატორი, ამხ. შიშინაშვილი ახასიათებს აღმშენებელთა კავშირის საქმიანობას და მოყავს ცნობები, რომ ხშირათ შრომის ბაზრის მოწესრიგებას ხელს უშლიან საამშენებლო საზოგადოებები.

ამხ. მინასი აღნიშნავს დეფექტებს გემოკვების მუშაკთა კავშირის საქმიანობაში და ჩერდება კულტმუშაობის გაძლიერების საჭიროებაზე.

შემდეგ სიტყვებით გამოდიან ამხ. ნატროშვილი, უმიკაშვილი, ფერაძე, ლაშქარაშვილი, გერასიმოვი, ჯიჯაძე, ბარნაბიშვილი, ორჯონიკიძე და სხვ.

კამათის დასრულების შემდეგ პლენუმმა დაადგინა ამხ. ყურულაშვილის საბოლოო სიტყვის მოსმენა გადასდოს შემდეგი სხდომისათვის.

პროფმუშაობის მორიგი ამოცანები

(საუბარი საკავშირო პროფსაბჭოს მდივან ამხ. დოგადოვთან)

თბილისში ჩამოსულმა საკავშირო პროფსაბჭოს მდივანმა ამხ. დოგადოვმა ჩვენს თანამშრომელთან საუბარში პროფკავშირთა სრულიად საკავშირო მომავალი მერვე ყრილობის ამოცანების შესახებ განაცხადა:

— ძირითადი საკითხი, რომლის მოგვარებაზედაც ამჟამად მიპყრობილია მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობისა და პროფკავშირების ყურადღება, არის საწარმოო თათბირების მუშაობის გაუმჯობესება და ამ მუშაობის იმ სიმაღლემდე აყვანა, როგორიც ეს განზრახულია უზენაესი ორგანოების დირექტივებში. თქმა არ უნდა, რომ ყრილობა ამ საკითხს მოაქცევს თავისი ყურადღების ცენტრში.

პროფკავშირების მუშაობაში დღემდე სუსტ ადგილათ ითვლება ეკონომიური საქმიანობა; ამას ხელს უწყობს საწარმოო თათბირების მუშაობის ერთგვარი მოდუნება.

კაპიტალურ აღმშენებლობაში შემჩნეული დეფექტები იმის დამადასტურებელია, რომ მუშათა მასის მონაწილეობა ამ აღმშენებლობაში არაა ისეთი, როგორიც უნდა იყოს. ახალ კაპიტალურ აღმშენებლობაში მუშათა მასების მეთვალყურეობის გაძლიერებით სახელმწიფო შესძლებს თავიდან აიცილოს ზედმეტი და მიზანშეუწონელი ხარჯები, რომელთა რამდენობაც ზოგჯერ ათეულ მილიონებამდე აღწევს. საწარმოო თათბირების მუშაობის გაცხოველებას ის მნიშვნელობაც აქვს, რომ თათბირებზე ხდება ახალ მუშაკთა კადრების მომზადება, რომლებიც შემდეგ გამოყენებულ იქნებიან სამეურნეო და კულტურულ აღმშენებლობის ფრონტზე.

პროფკავშირთა მომავალ მე-8 ყრილობის წინაშე მდგარ ამოცანათა გადაწყვეტა შესამჩნევათაა გაადვილებული, ვინაიდან უკანასკნელ ხანებში ადგილი აქვს თვითკრიტიკის გაძლიერებას, რაც შედეგია საკავშირო კ. პ. (ბ) ცნობილ მიმართვის თვითკრიტიკის გაღრმავების შესახებ.

თვითკრიტიკის გზით გამოაშკარავდა მთელი რიგი უმსგავსოებანი პროფკავშირების საქმიანობაშიც. დღემდე კიდევ ვერ შევსძელით პროფკავშირებში ბიუროკრატიზმის აღმოფხვრა, ფართო მასების მოთხოვნილებებისადმი შესაფერი მოპყრობა.

ყრილობის წინაშე მდგარ ამოცანათა შესახებ საკავშირო პროფსაბჭ. შესაფერ წერილით მიმართავს ყველა პროფორგანიზაციებს და ამ წერილში უფრო ვრცლად იქნება დახასიათებული ეს ამოცანები და მათი გადაწყვეტილების მნიშვნელობა.

თათბირი საბჭ. საორგანიზაციო მუშაობის შესახებ

გუშინ ამიერ-კავკასიის ცაკში გაიხსნა თათბირი საბჭოების საორგანიზაციო მუშაობის შესახებ.

თათბირის დღის წესრიგშია მოხსენებები საორგანიზაციო მასიურ მუშაობის შესახებ, მზადება საბჭოების გადარჩევისათვის და მოხსენება პროლეტარული დემოკრატიის შესახებ.

თათბირი მოკლე სიტყვით გახსნა ამხ. ქასიანმა.

შემდეგ თათბირის მორიგი ამოცანების შესახებ სიტყვა წარმოსთქვა ამხ. რუბენმა, რომელმაც დაახასიათა ის მიზეზები, რომლებიც ხელს უშლიან პარტიის მიერ სოფლად მუშაობის შესახებ გამოცემულ დირექტივების სრულიად გატარებას ცხოვრებაში. საბჭოთა და პროლეტარული დემოკრატიის განხორციელება, საბჭოების ნამდვილი გამოცოცხლება, ფართო მასების მონაწილეობა საბჭოთა მუშაობაში, თვით საბჭოთა აპარატის გაუმჯობესება—ყველაფერი ეს მჭიდროთ დაკავშირებულია თვითკრიტიკის საკითხთან და ამიერ-კავკასიის სოფლის შესწავლასთან, რადგან მუშაობის ეს დარგი ჯერ ჯერობით მოისუსტებს.

ამიერ-კავკასიის სოფელში ადგილი აქვს გლეხობის ფენებათ დანაწილებას, რომლის ყურადღებით შესწავლა პარტიის პოლიტიკის სწორად გატარებასთან ერთად საბჭოების ერთ ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ადგილებზე.

უნდა აღმოიფხვრას ფორმალური ხელმძღვანელობა საბჭოების მუშაობაში: ცოცხალი ინსტრუქტაჟი და თვითეული კუთხის თავისებურების შესწავლა უზრუნველყოფს შემდეგში უფრო ნაყოფიერ მუშაობას.

შრომის დროებით წესები

საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატმა შეიმუშავა დადგენილების პროექტი, რომლის მიხედვით შრომის დროებითი წესები არ ვრცელდება სოფლის შემდეგი სახის მეურნეობაზე:

დროებითი წესები არ ვრცელდება იმ მეურნეობაზე, რომელიც ერთსა და იმავე დროს ამუშავებს არა ნაკლებ 3 მოჯამაგირისა, სასოფლო მეურნეობის მთელ სეზონში.

აგრეთვე იმ მეურნეობაზე, რომლის კომლის წევრები ვალდებულნი არიან აიღონ პატენტები სამრეწველო წარმოებებზე არა ნაკლებ მე-2 ხარისხისა ან ეწევიან ვაჭრობას.

დროებითი წესები არ ვრცელდება იმ პატარა მეურნეობებზედაც, რომელთა პირობითი წლიური წმინდა შემოსავალი 400 მანეთს არ აღემატება.

მეურნეობა, სადაც თვით დამქირავებელი არ იღებს მონაწილეობას მუშაობაში პირადი შრომით, ექვემდებარება საერთო შრომის კანონებს, გარდა იმ მეურნეობისა, სადაც განსაკუთრებული შემთხვევის გამო. (სამხედრო სამსახური, ინვალიდობა, ქვრივ-ობოლი და სხვა), ოჯახში არ არის შრომის უნარის მქონე პირი.

შრომის საერთო კანონმდებლობა ვრცელდება აგრეთვე სოფლის საზოგადოებებზე, ან მათ ნაწილებზე, რომელთაც დაქირავებული ყავთ მეველე.

პროექტი დასამტკიცებლად წარედგინა საქ. სახალხო კომისართა საბჭოს.

საბჭოთა საქართველო

კოლმეურნეობანი თელავის მაზრაში

(კოლმეურნეობათა სამაზრო პირველი თათბირი)

2 ივლისს, თელავის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ალ. მაისურაძის თავმჯდომარეობით გაიხსნა კოლმეურნეობათა ხელმძღვანელთა თათბირი, რომელსაც დაესწრო აგრეთვე თემაღმასკომის თავმჯდომარეები და საკრედიტო ამხანაგობების წარმომადგენელნი.

დღის წესრიგში დასმული იყო შემდეგი საკითხები: საბჭოების მუშაობის გამოცოცხლების შესახებ. კოლმეურნეობათა მდგომარეობა თელავის მაზრაში, მიწის მოწყობა კოლმეურნეობაში და მიმდინარე საკითხები.

ამხ. ალ. მაისურაძის მოკლე სიტყვის შემდეგ მოსმენილ იქმნა მოხსენება საბჭოების მუშაობის გამოცოცხლების შესახებ. მომხსენებელმა ამხ. კოხტაშვილმა თათბირის განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია საბჭოების და მისი სექციების მუშაობის სუსტ მხარეებს. მან აღნიშნა, რომ საბჭოები ჯერ კიდევ ვერ აქცევენ სათანადო ყურადღებას სკოლებს, კოოპერატივებს, საკრედიტო ამხანაგობებს და სხვა. ვერ სწარმოებს საკითხების შესაფერისად შერჩევა, გამოკვლევებს ზერელე და ხშირად შემთხვევითი ხასიათი აქვს და სხვა. მომხსენებელმა დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი ნაკლის გამოსასწორებლად. მოხსენებას ირგვლივ გაიმართა გაცხოველებული კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 38 ამხანაგმა, უმთავრესად ადგილობრივმა მუშაკებმა.

ამ საკითხის განხილვას თათბირმა მოანდომა ორი სხდომა. მესამე სხდომაზე მოხსენება გააკეთა ამხ. ცაგარელმა საქ. კოლმეურნეობათა მდგომარეობის შესახებ, მან ვრცლად გააშუქა ამ ამხანაგობების მიზნები და მნიშვნელობა და მათი მდგომარეობა საქართველოში. კოლმეურნეობათა მდგომარეობა თელავის მაზრაში დაახასიათა ამხ. გრ. კარაპეტოვმა. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ამჟამად მაზრაში არსებობს 34 კოლ-ამხანაგობა. თითქმის ყველა ამხანაგობას გახსნილი აქვს კრედიტი, ზოგიერთებმა სამეურნეო იარაღებიც შეიძინეს და მიწის კოლექტიურად დამუშავებაც დაიწყეს. კოლმეურნეობათა საქმიანობას ძლიერ უშლის ხელს ის გარემოება, რომ ჯერ არ არის ჩატარებული მიწათმოწყობა. ამ უკანასკნელ საკითხის შესახებ სპეციალური მოხსენებით გამოვიდა ამხ. სევ. ნადარეიშვილი. მან აღნიშნა, რომ სოფელთა შორის მიწის მოწყობა ჩატარდა ჯოყალის თემში, სადაც ქისტები, ოსები და სხვა ეროვნებათა უმცირესობანი ცხოვრობენ. მიწათმოწყობის პირველ რიგში ჩატარება ამ თემში საჭირო იყო იმის გამო, რომ იქ საკითხი ფრიად გამწვავებული იყო. ამჟამად მუშაობა ახმეტა-მატაანის და ფშაველის რაიონებში მიმდინარეობს. მცხოვრებთ ისეთი გეგმით ეძლევათ ნაკვეთები, რომ შემდეგში კოლმეურნეობათა ორგანიზაციის საქმეს ამ მხრივ დაბრკოლება არ გადაეღობება.

არსებულ კოლმეურნეობათა მიწის მოწყობაც დაწყებულია. ამჟამად მუშაობა მიმდინარეობს ს. გულგულაში. ამ სოფელში ჯერ კიდევ 1906 წ. არსებობდა კომუნა. კომუნის მაშინდელი მეთაური ამხ. კოლელაშვილი ეხლაც ხელმძღვანელობს ამ კოლმეურნეობას.

დასასრულ მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ახლო მომავალში კოლმეურნეობათა მიწათმოწყობას შეუდგება კიდევ 6 მიწის მზომელი. მუშაობა ისე იწარმოებს, რომ შემოდგომისათვის კოლმეურნეობათა მიწათმოწყობა სავსებით დამთავრებული იქნება.

მოსმენილ მოხსენებათა გარშემო რეზოლუციების მიღების შემდეგ თათბირი დაიხურა.

მან—ლი.

ჩვენი კოოპერატივის ავ-კარგი

(საგარეჯო)

საგარეჯოს კოოპერატივის მუშაობა თანდათან უმჯობესდება. წარსულ წელთან შედარებით წევრთა რიცხვი 15 პროცენტით გაიზარდა, საპაიო თანხა,—კი 78 პროცენტით. საგრძნობლად შემცირებულია აგრეთვე დანარიცხების ნორმებიც. წარსულ წელს ის ბრუნვის 12,41 პროცენტს შეადგენდა—დღეს კი 11,76 პროცენტამდე იქნა დაყვანილი. დიდი ყურადღება მიექცა სხვადასხვა ხარჯების შემცირებასაც. წარსულ წელთან შედარებით ადმინისტრატიულ-სამმართველოს ხარჯები შემცირდა 15,87 პროცენტით, რაციონალიზაციის გატარებით დაზოგილ იქნა 31,33 პროცენტი. ამჟამად კოოპერატივის გამგეობას განზრახული აქვს ჩეკით ვაჭრობის მოსპობა, ეს კიდევ უფრო მეტად გაამარტივებს საქმეს.

საგარეჯოს კოოპერატივის გამგეობა ყოველმხრივ ხელს უწყობდა კოოპერატიულ ქსელის გაფართოებას რაიონშიაც. უკანასკნელი 2-3 წლის განმავლობაში საგარეჯოს კოოპერატივის მთავარ მაღაზიის გარდა გახსნა განყოფილებები რაიონის ხუთ სხვადასხვა პუნქტში. საგარეჯოს კოოპერატივის მთ. მაღაზია და განყოფილებები მომარაგებულია პირველ მოთხოვნილების საგნებით.

გამგეობა ზრუნავს აგრეთვე წევრთა კოოპერატიულ განათლებისათვის. ამჟამად დაარსებულია სამი კოოპერატიული წრე, რომელშიაც მეცადინეობს 79 წევრი. ღარიბებს გლეხებს და კოოპ-რწმუნებულებს გამგეობა უწერს თავის ხარჯზე გაზეთებს, აწყობს კითხვა-პასუხის საღამოებს კოოპერატიულ საკითხებზე და სხვა, მომავალში განზრახულია ამ მხრივ მუშაობის უფრო გაფართოება.

ალ. ზარიჯელი.

გლეხკორთა წერილებიდან

— **დოლიკაური.** (შორ. მაზრა). რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეს ჩვენს სოფელშიაც დაეტყო გაცხოველება. ამას წინად მოწვეულ იქნა აქტივის გლეხთა კრება, რომელმაც დაადგინა დაარსებულ იქნას უღმერთოთა საზოგადოების ადგილობრივი უჯრედი. უჯრედში ამ თავითვე ჩაეწერა 62 კაცი. კრებამ დაადგინა აგრეთვე გაუქმებულ იქნას საეკლესიო დღესასწაულები.

ბ. ხალაძე.

— **ცაგერი.** მასწავლებელ პანტელეიმონ ყურაშვილის შესახებ არა ერთხელ ყოფილა შენიშვნა გაზეთში. ამჟამადაც მასზე გვიხდება წერა, რადგან ის არ გამოსწორდა. 6 ივლისს ის გალეშილიყო სადღაც ღვინით და გამოსაჩინებლად ცაგერის მუშა-მოსამსახურეთა კლუბის ეზოში მიბრძანებულიყო. საკითხავია, რა ავტორიტეტი უნდა ჰქონდეს ასეთ მასწავლებელს მოწაფეებში და გლეხობაში?

ხახუტა.

— **წალენჯიხა.** რელიგიურ ცრუმორწმუნეობის და ადათ-წესების წინააღმდეგ ბრძოლა ჩვენს სოფელშიაც დაიწყო. აქ განსაკუთრებით მკვიდრად აქვს გადგმული ფეხი ამ ადათწესებს. დასაფლავება იქნება თუ ქორწილი, ნათლვა და დღესასწაული, სოლერთია უღვინოთ საქმე არ წყდება. ამას წინად ექიმბაშ ეფუას დასაფლავებაზე ისე დაითვრენ დამწრეები, რომ ერთი-მეორეს ვეღარ სცნობდენ. გლეხობა გრძნობს ამ ზნე-ჩვეულებათა მავნებლობას და ამიტომ, არის, რომ ხალისით ეხმარება ხოლმე მოწოდებას ამგვარ საზიზღრობების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

რამოდენიმე ხნის წინ, მოწინავე ამხანაგების თაოსნობით აქ დაარსდა უღმერთოთა უჯრედი, რომელშიაც ორასამდე წევრია. ამრიგად, საქმე დაწყებულია. საჭიროა უჯრედმა ენერგიული ბრძოლა აწარმოოს მავნე ჩვეულებების წინააღმდეგ, მოსპოს ისეთი ადათწესები, რომლებიც ძირს უთხრიან გლეხის კეთილდღეობას.

მოხურეი.

პროვინციის ქრონიკა

— **საუკეთესო სექცია.** ფოთის აღმასკომმა საუკეთესო მუშაობისათვის დააჯილდოვა განათლების სექცია.

— **„გლეხთა კავშირი“.** აჯამეთში (ქუთ. მაზ). დაარსდა კოლექტივი „გლეხთა კავშირი“.

— **ბაქანი—სადგურათ.** აღიძრა შუამდგომლობა, რათა კახეთის რკინის გზის შტოზე მდებარე კაჭარეთის ბაქანი გადაკეთებულ იქნეს ნახევარ სადგურად.

— **კანალიზაცია.** ქუთაისის აღმასკომმა კანალიზაციის გასაყვანად გადასდო 45.000 მ.

— **მ. გორკის სახ. ქუჩა.** ქუთაისის აღმასკომის დადგენილებით საფოსტო ქუჩას ეწოდა მ. გორკის სახელი.

— **ტელეფონი.** სიღნაღის აღმასკომმა თემებში ტელეფონის ქსელის გასაყვანად გადასდო 5.120 მანეთი.

— **ახალი ხიდი.** შორაპნის მაზრაღმასკომმა მდ. ყვირილაზე ზესტაფონში აგებს ახალ ხიდს.

— **წყალსადენის გამოსაყვანათ და შრომის სკოლის შენობის ასაგებათ** ბოდბის ხევის (სიღნაღის მაზ.), მცხოვრებლებმა თავიანთ შორის შეაგროვეს 5.530 მან.

ახალი მოსავალი

სიღნაღის მაზრაში

ახალი მოსავლის აღება—აღმოსავლეთ საქართველოში გაცხოველებით მიმდინარეობს. სიღნაღის მაზრაში: ალაზნის ველზე პურის მკა დაიწყო 2 ივლისს, ხოლო ირის ველზე —8 ივლისს. ქერის და ხორბლის მოსავალი საშუალოზე კარგია. ხორბლის ხარისხიც შარშანდელთან შედარებით უკეთესია.

წვიმების შემდეგ საგრძნობლად გამოკეთდა სიმინდის ყანების მდგომარეობაც. ბამბის ნათესების მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. ბამბის მოსავალი მოსალოდნელია საშუალო. ბამბის ნათესების ნაწილი დააზარალა კალიამ.

[illegible] კარგ მდგომარეობაშია. სეტყვამ ყველა რაიონებზე უფრო დააზარალა ველისციხის რაიონი. საერთოდ კი მოსავალი სიღნაღის მაზრაში მოსალოდნელია საშუალოზე კარგი.

ვენახების წამლობა მთელ მაზრაში ჩატარებულია წარმატებით. მაზრაში სათიბების, კარტოფილის და ბაღჩების მოსავალი საშუალოზე კარგია.

გარე-კახეთის რაიონში

გარე-კახეთის რაიონში (თბილისის მაზრა) მოსავლის მოწევა დაიწყო ამ დღეებში. ამ რაიონში მოსავალი საშუალოზე კარგია.

დუშეთის მაზრაში

დუშეთის მაზრაში სწარმოებს მხოლოდ ქერის მოსავლის მოწევა. ხორბლის მოწევა დაიწყება ამ დღეებში. მოსავალი მოსალოდნელია საშუალო.

კალიასთან ბრძოლა მაზრაში გრძელდება. კალია მოდებულია 200 ჰექტარის სივრცეზე.

სიმინდის ყანების მდგომარეობა უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად გამოკეთდა. თუ შემდეგშიაც ამინდმა ხელი შეუწყო, სიმინდის მოსავალი საშუალო იქნება. ვენახები საგრძნობლად დაზიანებულია ყინვებისაგან, მაგრამ ხელშემწყობ ამინდის გამო, შეიძლება მოსავალი იქნეს საშუალო.

ხილის მოსავალი მაზრაში საერთოდ საშუალოა.

მუშათა ცხოვრება

ბოტანიკური ბაღი

მუშა-მოსამსახურისათვის კვირა-უქმე დღის დასვენების სასარგებლო გამოყენებას დიდი მნიშვნელობა აქვს. ბევრია ისეთი მუშა-მოსამსახურე, რომელიც თბილისის ზაფხულის სიცხე-პაპანაქებაში ან სრულიად ვერ სცილდება, ან მოკლე ხნით დაიმალება ხოლმე და დანარჩენს ზაფხულის სიცხისა და ბუღის კორიანტელში ატარებს.

ასეთ პირობებში მეტად დიდი მნიშვნელობა ეძლევა ისეთ ადგილებს, სადაც შესაძლებელია, დასვენების მიღება.

ამ მხრივ მნიშვნელოვანი კუთხეა ბოტანიკური ბაღი; გორაკებ შუა მომწყვდეული ლამაზი ხეობა, ამწვანებული და აფერადებული სხვადასხვა ჯიშის ხეებით. მცენარეებით და ყვავილებით. ხეივნის ჩრდილი და გრილი ჰაერი ხელს უწყობს გონებრივ და ფიზიკურ სრულ დასვენებას.

სამწუხაროდ, მეტად მცირე მუშა-მოსამსახურეებისა სარგებლობს ამ ბაღით, რადგან იგი დაშორებულია მუშათა რაიონებს. გარდა ამისა ბაღში შესვლას ზოგიერთი ახირებული წესი ხელს უშლის ამ ბაღით სარგებლობას.

აკრძალულია გვირაბში გავლა და ბაღში შესვლა თუ ხელში ერთი ბოთლი წყალი და უბრალო სანოვაგე გიჭირავთ. ასეთ შემთხვევაში ან უკან უნდა გამობრუნდეთ, ან უნდა მოუაროთ 2-3 ვერსის მანძილი და კლდეების მთის გზატკეცილით შეხვიდე ბაღში.

ასეთი წვალების გაწევის შემდეგ სრულიად ეკარგება ადამიანს ხალისი ისარგებლოს ბოტანიკური ბაღის ბუნებრივი უპირატესობით. ჩვენ არ გვგონია, რომ ეს საკითხი ასე ძნელი მოსაგვარებელი იყოს და ამ ვეებერთელა ბაღში არ შეიძლებოდეს ისეთი პატარა კუთხის გამოყოფა, სადაც მსურველს საშუალება მიეცემა ისაუზმოს, რადგანაც ყველას არ შეუძლიან ისარგებლოს იქ არსებული ბუფეტებით, სადაც სანოვაგე აგარაკის ფასებში იყიდება.

სასურველია აგრეთვე ბაღში შესვლისა და გვირაბში გავლის ფასი პროფკავშირის წევრთათვის შემცირებული იქნეს მინიმუმამდე.

ბევრ ადგილას ხეებს და საყურადღებო მწვანე დანარგავებს აკრული აქვთ ფირფიტები წარწერებით მხოლოდ ლათინურ ენაზე.

მუშას, რომელმაც არ იცის ლათინური წერა-კითხვა, სრულიად ვერ აკმაყოფილებს ასეთი წარწერები. საჭიროა ყველასათვის გასაგებ ენაზე გაუკეთონ წარწერა ყველა მცენარეს.

ჯაფარ-ფაშა.

რას აკეთებს ტეხნიკური სექცია?

თბილისში ბევრი დარაბებია ნგრევის პროცესში. უქსის სადარაბო უბნებს დავალებული აქვთ, რათა ყოველივე ასეთი შემთხვევები აცნობონ უქსს. მესამე წელიწადია უბნები პირნათლად ასრულებენ ამ დავალებას. მაგრამ დღემდის თითქმის არაფერია გაკეთებული ამ მხრივ.

მაგალითად ლაზარევის ქ. № 58 სახლში მდებარე დარაბის შეკეთების აუცილებლობაზე, რამოდენიმეჯერ იყო მიწერილი უბნიდან, მაგრამ მიწერილობა მიწერილობად დარჩა და დარაბა კი მთლად ჩამოინგრა, ასეთივე მაგალითია ფალავანდიშვილის ქ. № 3. ასევე მოხდება: კაბგეროვის ქ. № 27. ლაზარევის ქ. № 83, წყლის დაღმართი № 1, დესიმონოვის ქ. ბოლოში და მრავალ სხვა ადგილებში თუ საჩქაროდ არ იქნა მიღებული სათანადო ზომები მათ შესაკეთებლად.

მაისის დასაწყისში უქსის სადარაბო - საალრიცხვო განყოფილებას ეცნობა, რომ პლეხანოვის გამზირზე № 54 სახლის წინა ნაწილში მდებარე მოსარწყავი წყლის არხი, დაზიანებულია, რის გამო წყალი ჩადის აქვე მდებარე ღვინის სარდაფში და აფუჭებს საძირკველს მთელ შენობას. მაისის დამლევს ხდება ტეხნიკური დათვალიერება, რომელიც ადასტურებს მიწვდილ ცნობას, მაგრამ ამავე დროს აღნიშნავს, რომ ეს შეკეთება ეხება კეთილმოწყობ განყოფილებას და არა უქსს. ამიტომ საჭიროა მიმოწერა გადაიგზავნოს აღნიშნულ განყოფილებაში. უკვე ივლისი დაიწყო და ჯერ კიდევ ამ მხრივ არაფერი გაკეთებულა. წყალი კი თავის საქმეს განაგრძობს და ანადგურებს სახლს.

ვეკითხებით უქსს: რას აკეთებს ტეხნიკური სექცია თავის ინჟენერებით და ტეხნიკებით თუ კი აღნიშნულ გარემოებას ყურადღებას მიაქცევენ?

უ—ნელი.

გვალირსეთ ტელეფონი

მამუკინის სოფელი, რომ ქალაქის სხვა უბნებთან ყოველ მხრივ ჩამორჩენილია, ეს ყველასათვის ცხადია; ამ უბანში, რომ რამე უბედური შემთხვევა მოხდეს, ან დასჭირდეთ სასწრაფო დამხმარებელი, უნდა ან ირბინოთ ავლაბარში მე-7-დე კომისარიატამდე, რომ ტელეფონით ისარგებლოთ, ან და მამაპაპური ურმით იმგზავროთ, რაც უნდა გასაჭირი დაგადგეთ.

უბანში დასახლებულთა უმრავლესობა მუშა-მოსამსახურეებია. აქ არ მოიპოვება არავითარი დაწესებულება, რომ შეიძლებოდეს ტელეფონით სარგებლობა, აუცილებელია ამ უბანში ტელეფონი, მით უმეტეს, რომ აქ არის სამკითხველო და ერთი მუშკოოპის მაღაზია, რომლებსაც ყოველ წუთში ესაჭიროება ელსმენი. კოოპერატივში მუშაობს ორი ნოქარი, ორ ცვლად. მათ უხდებათ ზედმეტი მუშაობა. ქალაქში მთავარ საწყობებში საქონლის გამოსაწერად. ამიტომ პირველი ცვლა თითქმის მთელი დღე სავაჭროში მუშაობს, ასეთივე მდგომარეობაშია მეორე ცვლაც. ტელეფონი კი ცოტათ თუ ბევრად შეამსუბუქებდა ამ ნოქრების მუშაობას.

სათანადო ორგანიზაციებმა ზომები უნდა მიიღონ აღნიშნულ უბანში ტელეფონის მოსაწყობად.

მ. ლაზველი.

ჯამაგირს ვერ ვღებულობთ თავის დროზე

შრომის ბირჟასთან არსებული სავაჭრო კოლექტივს აღრიცხული ჰყავს ხუთასი თანამშრომელი, რომელნიც მუშაობენ „ზაკტპის“ ფარდულებში. ვერ არის მოწესრიგებული აქ თანამშრომელთა მუშაობა. სრულიად არ არის დაცული შრომის დაცვის კანონები და აუტანელ პირობებში უხდებათ მუშაობა; მათთვის არ არსებობს არც უქმე და არც დასასვენებელი დღეები. ხშირად დღეში ათი საათი უხდებათ მუშაობა. არ ეძლევათ არც შვებულება და მოკლებული არიან კულტურულ მუშაობასაც.

ყველა ამასთან ძალიან ცუდათ არის მოწესრიგებული მათი შრომის ხელფასის მიღება. ესენი მუშაობენ პროცენტებზე, რაც შეადგენს ძალიან მცირე ხელფასს, მაგრამ უბედურება იმაშია, რომ ამ მცირე ხელფასსაც არ ღებულობენ თავის დროზე, არის შემთხვევა, როცა 2 თვეში ერთხელ ძლივს ღებულობენ ჯამაგირს. ხელშეკრულების თანახმად კი ყოველი თვის ათში, უნდა მიეცეთ მათ ხელფასი.

ამ საქმის უყურადღებოთ მიტოვება შეუძლებელია. დროზე უნდა მოწესრიგდეს აღნიშნულ თანამშრომლებზე ხელფასის დარიგების საკითხი.

გარდა ამისა უნდა აღინიშნოს, რომ აქ ძალიან ბევრი მუშაობენ არა კავშირის წევრები. სათანადო ორგანოებმა ამას ყურადღება უნდა მიაქციონ და გამოიკვლიონ თუ რამდენი თანამშრომელია არა კავშირის წევრი და ნათლი-მამობით მიღებული.

მუშა გ. სალუქვაძე.

მუშკორთა წერილებიდან

რედკოლეგია მოისუსტებს. რკ. გზის მთავარ საწყობის კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგია მოისუსტებს. გაზეთი გამოდის მხოლოდ დღესასწაულებზე. კულტკომისიამ, გამოაფხიზლე სარედაქციო კოლეგია.

დ. ჯავრიანი.

უპატრონოთ მუშაობს. ხუდადოვის ქ. № 4-ში უკვე ორი წელიწადია, რაც უპატრონოთ მუშაობს ვინმე ემნაძეს მეუღლე. საქმე იმაშია, რომ ამ ქალბატონს აყვანილი ჰყავს სამი შეგირდი, რომლებსაც ახდევინებს თითოს რვა თუმანს. შრ. ინსპექტორო, დაათვალიერე ეს საიდუმლო სახელოსნო.

მშრომელი.

უსუფთაობა წითელ სასადილოში (სამტრედია). სამტრედიის წითელ სასადილოში დიდი უსუფთაობას აქვს ადგილი. საჭმელში ხშირად შეხვდებით დამხრჩალ ბუზებს და სხვ. დაიცავით სისუფთავე.

გელათის მერეხელი.

კერძო მესაკუთრე საბჭოთა მოსამსახურე. მოქ. დემუროვს თბილისში აქვს ორი სახლი, ხოლო ახალციხეში საუცხოვოდ გაშენებული მამული. ამ ორივედან ორი ათას მანეთზე მეტი შემოსავალი აქვს წელიწადში. ამავე დროს იგი მსახურობს ცეკავშირში ექსპედიტორის თანამდებობაზე. მისი შვილი კი აღმასკომში. ცეკავშირო, იცი თუ არა ეს ამბავი?

გულვანკარელი.

საქართველოს ელექტროფიკაცია

რიონჰესი

დამთავრდა ჯებირის მარჯვენა ნაპირის გასაწმენდი მიწის სამუშაოები. ამჟამად სადგურის აღმშენებლობაზე მუშაობს 700 კაცი. წლის ბოლომდე, მუშაობის გაფართოვების გამო, მუშების რიცხვი გადიდებული იქნება 1.200-მდე.

მომავალი გვირაბის ადგილას ამჟამად სწარმოებს მისასვლელი თხრილების გაყვანა. ამ დღეებში რიონის კალაპოტში დადგმული იქნება ფარები. შეძენილია ელექტრონის საბურღავი აპარატები და ლარსენის სისტემის ამერიკული შპუნტები. დაწყებულია მუშაობა წყალის გადასაშვებ არხის გასაყვანად 4 კილომეტრის მანძილზე.

აფხაზეთის ელექტროფიკაცია

ვინაიდან სათანადო ორგანოებმა უარყოფილი იქნა სახელმწიფო ელექტრო-ტეხნიკური ტრესტის პროექტი, რომლის მიხედვით დაწყებული უნდა ყოფილიყო ჰიდრო-ელსადგურის აგება მდ. გუმისტაზე, საქართველოს ს. მ. უ. ს. წამოაყენა საკითხი სადგურის მდ. გალიზგაზე აგების შესახებ (ტყვარჩელის ქვანახშირის რაიონი). ეს სადგური ენერგიას მიაწოდებს მთელ სოხუმის რაიონს, და აგრეთვე სამსახურს გაუწევს აფხაზეთის შავი ზღვის სანაპიროების მრეწველობას და ქალაქებს.

ალაზნის ჰიდრო-ელსადგური

საქართველოს ს. მ. უ. ს. პროექტით ალაზნის ჰიდრო-ელსადგურის აგება განზრახულია ალაზნის სარწყავი არხის წყალვარდნილზე სადგურის სიმძლავრე იქნება 6.000 ცხ. ძალა. მუშაობა სადგურის ასაგებად განზრახულია დაწყებული იქნეს ალაზნის არხის დამთავრების შემდეგ—1929-30 წელში. სადგურის აგება დაჯდება 2 მილიონი მანეთი.

დიღომის მორწყვა ელექტრო-საქაჩავებით

ახლო ხანში დამთავრდება მუშაობა დიღომის ველის მოსარწყავად; მორწყვა იწარმოებს ელექტრო-საქაჩავებით, რომლებიც ზაჰესის ენერგიაზე იმუშავებენ.

დიღომის ველი დაყოფილია სამ მოედნად, რომლებზედაც დადგმული იქნება 3 ელექტრო-საქაჩავი.

აბრეშუმის პარკის დამზადება და გასაღება

წელს აბრეშუმის პარკის კარგი მოსავალია.—სულ დამზადებული იქნება 140.000 ნედლი პარკი.—დამზადებული პარკის 80 პროც. გადამუშავებული იქნება საქართველოს ფაბრიკებში.—დამზადებული ძაფის რეალიზაციიდან აბრეშუმის ტრესტი მიიღებს 8.500.000 მანეთს.—თუთის სანერგეების გაფართოება

როგორია წელს აბრეშუმის პარკის მოსავალი? როგორ მიმდინარეობს მისი დამზადება? რამდენი პარკი იქნება გატანილი საზღვარგარეთ ან რამდენი ფუთი პარკი იქნება გადამუშავებული ადგილობრივ ქარხნებში?

ამ კითხვებზე ჩვენი გაზეთის თანამშრომელს საქართველოს აბრეშუმის ტრესტის მმართველმა ამხ. ლ. მანჯგალაძემ შემდეგი უპასუხა:

— აბრეშუმის პარკის მოსავალი წელს გაცილებით მეტია, ვიდრე იყო შარშან, მიუხედავათ იმისა, რომ წელს ნაკლები თესლი იქნა დარიგებული.

აბრეშუმის პარკის კარგი მოსავალი შედეგია იმის, რომ წელს გაცილებით უკეთესად იყო დაყენებული საინსტრუქტორო მუშაობა.

ტრესტის ინსტრუქტორები ყოველგვარ დახმარებას უწევდენ გლეხებს აბრეშუმის ჭიის უკეთესად მოვლისა და გამოკვების საქმეში, მეაბრეშუმეობის რაიონებში მოწყობილიყო აბრეშუმის ჭიის სანიმუშო კვება და სხ.

გარდა ამისა წელს აბრეშუმის კარგი მოსავალი უნდა მიეწეროს იმ გარემოებასაც, რომ თესლის ნაწილი გაცემული იქნა საინკუბაციო კამერებში გამოყვანილ ცოცხალ ჭიების სახით.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ საქართველოს აბრეშუმის ტრესტმა წელს თესლის 80 პროცენტი დაარიგა ნახევარ კოლოფებით (8 მისხალი). გასულ წელს კი ამის შესაძლებლობა არ იყო და გლეხებს, სურდათ თუ არა, უსათუოთ უნდა წაეღოთ 1 კოლოფი, მაშინ, როცა მათ არ შეეძლოთ მოევლოთ ნახევარ კოლოფზე მეტისათვის.

წელს საქართველოში (აფხაზეთიანათ) სულ დარიგებული იქნა 76.000 კოლოფი თესლი, შარშან კი დარიგდა—95.000 კოლოფი. წელს დარიგებულ თესლიდან 10 ათასი კოლოფი (ყვითელი ჯიშის) შემოტანილი იქნა უცხოეთიდან, დანარჩენი თესლი (66.000 კოლოფი) დამზადებული იყო ადგილობრივ.

საინკუბაციო კამერების საშუალებით გამოყვანილი კოლოფი თესლი საშუალოდ იძლევა 8 ფუთ პარკს. ჩვეულებრივი წესით გამოყვანილი კი—1 ნახ. ფუთს. საქართველოს აბრეშუმის ტრესტმა გაითვალისწინა ეს გარემოება და გადასწყვიტა მომავალ წლისთვის გაადიდოს საინკუბაციო კამერების რიცხვი. წელს საქართველოში სულ მუშაობდა 80 საინკუბაციო კამერა. მომავალ წლიდან განზრახულია გახსნილი იქნეს იმდენი კამერა, რომ ყოველ 20 მეაბრეშუმე გლეხზე მოდიოდეს თითო კამერა.

წინასწარი ვარაუდით მიმდინარე სეზონში სულ დამზადებული იქნება 140.000 ფუთი ნედლი პარკი, რომლიდანაც დამზადდება 45.000 ფუთამდე ხმელი პარკი (შარშან სულ დამზადებული იქნა 111.000 ფუთი ნედლი პარკი).

დღემდე უკვე დამზადებულია 80.000 ფუთი ნედლი პარკი. პარკის დამზადებას ადგილებზე აწარმოებს აბრეშუმის ტრესტი და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია. შარშანდელთან შედარებით ფასები პარკზე გადიდებულია. 1 ფუთ თეთრ პარკში წელს გლეხობას ეძლევა 25 მ.; შარშან კი ეძლეოდა 24 მ., ყვითელ პარკში შარშან გლეხებს ეძლეოდა 27 მ., წელს ეძლევა 28 მანეთი.

აბრეშუმის ტრესტმა ცეკავშირის საშუალებით წელს მეაბრეშუმეობის რაიონებში გაანაწილა ფართლეული. ფართალი გლეხებს დაურიგდა ნისიად, პარკის საფასურში. ტრესტს განზრახული აქვს მომავალ წელში სავსებით უზრუნველყოს მეაბრეშუმეობის რაიონები საჭირო ფართლეულით და ხორბალით.

დამზადებულ პარკის 80 პროცენტი გადამუშავებული იქნება საქართველოს აბრეშუმის ქარხნებში.

დარჩენილ 20 პროცენტიდან 5.000 ფუთი ხმელი პარკი გატანილი იქნება საზღვარგარეთ, დანარჩენი კი გადაეცემა აზერბეიჯანის აბრეშუმის მრეწველობას და აბრეშუმის მრეწველობის საკავშირო ცენტრს.

წელს საქართველოს ქარხნებში სულ დამზადებული იქნება 11.000 ფუთი ძაფი. დამზადებული ძაფი ფუთი 765 მანეთად გადაეცემა აბრეშუმის საკავშირო ტრესტს. ამ რიგათ დამზადებულ ძაფის რეალიზაციით საქართველო საკავშირო აბრეშუმის ტრესტისაგან მიიღებს 8.500.000 მანეთს.

მომავალში საქართველოში მეაბრეშუმეობის განსავითარებლად აბრეშუმის ტრესტს გადაწყვეტილი აქვს მეაბრეშუმეობის რაიონებში გააშენოს თუთის ახალი სანერგეები. წელს საქართველოში მოწყობილი იყო 20 სანერგე სადაც გლეხებს უფასოთ მიეცა 200.000 ძირი ნერგი. მომავალ წელს ახალი სანერგეები გაშენებული იქნება იმ ვარაუდით, რომ შესაძლებელი გახდეს ნახევარი მილიონ ნერგის გაცემა.

გეოლოგიური ექსპედიცია

სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოლოგიური ინსტიტუტის საბჭომ შეიმუშავა ზაფხულის განმავლობაში საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში გეოლოგიურ გამოკვლევათა ჩატარების გეგმა.

საბჭოს დადგენილებით პირველი ექსპედიცია პროფ. **ჯანელიძის** ხელმძღვანელობით გაიგზავნება ზემო-რაჭაში და ზემო-იმერეთში ახალ გეოლოგიურ გამოკვლევათა მოსახდენათ.

მეორე ექსპედიცია პროფ. **თვალჭრელიძის** და დოც. **სმირნოვის** ხელმძღვანელობით გაიგზავნება ძირულის მიდამოებში დაწყებულ გეოლოგიურ გამოკვლევათა დასამთავრებლად.

ჩათახის მიდამოებში რკინის მადნებისა და ბუდობების შესასწავლად იგზავნება დოც. **გაბუნია.**

ინსტიტუტის თანამშრომელი — ასისტენტი **კაჭარავა** მიემგზავრება სამურზაყანოში. მასალების შესაგროვებლად უძველეს გეოლოგიურ მოვლენათა შესახებ.

დოქ. **რუხაძე** იგზავნება ზემო-რაჭაში წესის და კორტას რაიონებში პალეონტოლოგიის მასალების შესაკრებად. დოქ. რუხაძე შეისწავლის აღნიშნულ რაიონებში მიწის ფენებში დარჩენილ ძველ დროის გაქვავებულ მცენარეებისა და ცხოველების ნიშნებს.

ტრაქტორზე მომუშავეთა მოსამზადებელი კურსები

საქართველოს მიწად - მოქმედების სახალხო კომისარიატი 20 ივლისს თბილისში ხსნის ტრაქტორზე მომუშავეთა მოსამზადებელ 3 თვიან კურსებს.

კურსებზე იმეცადინებს 75 კაცი

კურსებზე გამოსაგზავნი კანდიდატები პირველ რიგში შერჩეული უნდა იქნენ მოჯამაგირეთა, ღარიბეს გლეხთა და ყოფილ წითელ არმიელთა შორის, კანდიდატები აგრეთვე პირველ რიგში შერჩეული უნდა იქნენ კომუნების და სამანქანო ამხანაგობების წევრთაგან.

კურსებზე გამოსაგზავნ კანდიდატთა სია ადგილობრივ შეთანხმებული უნდა იქნეს მიწა-ტყის კავშირთან და საკრედიტო ამხანაგობებთან.

კურსებზე შესვლის მსურველმა უნდა იცოდეს: 1) ქართული ენა (წერა და კითხვა), 2) უნდა ქონდეს არითმეტიკის ელემენტარული ცოდნა, 3) იცნობდეს სასოფლო - მეურნეობას და აგრეთვე გაცნობილი იყოს მჭედლობას და 4) იყოს ჯანმრთელი.

კურსებზე გამოსაგზავნი პირები უნდა იყვნენ არა ნაკლებ 19 წლისა.

კურსებზე მეცადინეობა იწარმოებს უფასოთ, ხოლო მათი საცხოვრებელი ხარჯები უნდა იკისრონ ადგილობრივმა ორგანიზაციებმა.

კურსდამთავრებულნი ვალდებულნი არიან ერთი წლის განმავლობაში იმუშაონ იმ ორგანიზაციის განკარგულებაში, რომელთა ხარჯზედ იყვნენ გამოგზავნილნი კურსებზე.

ტყის ხანძარი სვანეთში

6 ივლისს, სვანეთში, ხემპრერის რაიონში, წიწვიან ტყეს, რომელსაც უჭირავს 4.000 ჰექტარი, გაუფრთხილებლობის გამო გაუჩნდა ცეცხლი.

შინაგან საქმეთა და მიწად-მოქმ. სახ. კომისარიატებმა ზუგდიდის, სვანეთის და სხვა ადგილობრივ და მახლობელ ორგანიზაციებს გაუგზავნეს სასწრაფო განკარგულება ხანძრის ჩასაქრობათ გამოიყვანონ მცხოვრებლები და მიიღონ ყოველგვარი ზომები ტყის გადასარჩენად.

გუშინ, თბილისში მიიღეს დეპეშა, რომელშიც სვანეთის აღმასკომი იტყობინება, რომ ორი დღე-ღამის ბრძოლის შემდეგ ცეცხლს გავრცელების საშიშროება თავიდან აცილებულია.

აღნიშნულ რაიონში ტყის მასალის დამზადებას აწარმოებს ხატყეო ტრესტი.

საქ. სახკომსაბჭოში

დასახლებისა და გადასახლების პერსპექტივები

სახკომსაბჭოს გამწესრიგებელმა სხდომამ მოსახლეობის გადასახლებისა და დასახლებისათვის საჭირო თანხა 1928—29 წლისათვის დაამტკიცა 300.480 მან რაოდენობით.

სოჭის ოლქში მოსახლეობის გადასახლების საკითხის შესასწავლად მოეწყო კომისია ამხ. ჯუღელის, ქ. კაკაბაძის და ძამანაშვილის შემადგენლობით, რომელსაც დაევალა სახკომსაბჭოს წარუდგინოს სათანადო მოხსენება.

პურის ბალანსის შედგენა მაზრებში

სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოს დაევალა შეაგროვოს ყოველ მაზრაში ცნობები სათესი კულტურების სივრცის და მათი მოსავლიანობის შესახებ. ხსენებული ცნობები უნდა გადაეცეს ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს პურის ბალანსის შესადგენად.

მტკიცე ფასების დაწესება ხორცზე ბორჯომში და აბასთუმანში

ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს მოხსენების თანახმად ბორჯომისა და აბასთუმნის კურორტებისათვის ხორცზე დაწესებულ იქნა მტკიცე ფასი 11 მან. რაოდენობით ფუთზე.

ცინვალი-ოროწყალ-ბორისახლის გზის გაყვანა

ცინვალ-ოროწყალი-ბორისახლის გზის პროექტი და ხარჯთ-აღრიცხვა დამტკიცებულ იქნა 25.000 მან. რაოდენობით.

ხსენებული გზის გაყვანა დაევალა ადგილობრივ ტრანსპორტის სამმართველოს, რომელსაც ამ მიზნისათვის გადაეცა საჭირო სახსრები.

საფინანსო-ეკონომიური კურსების დახურვა

სავეჭრო კომისარის დასკვნის თანახმად საჭიროდ იქნა ცნობილი თბილისში არსებული საფინანსო-ეკონომიური ორწლიანი კურსების ლიკვიდაცია.

სოფლის ვაჭრობის გამოკვლევა

ვაჭრობის კომისარიატის სამმართველოს მიერ წარმოდგენილი სოფლის ვაჭრობის შერჩევითი გამოკვლევის პროექტი დამტკიცებულ იქნა 7.000 მან. რაოდენობით.

ამხ. მარდალეიშვილის საზღვარგარეთ მივლინება

ადგილობრივ ტრანსპორტის სამმართველოს ნება მიეცა გზატკეცილების ტეხნიკის შესასწავლად საზღვარ-გარეთ მიავლინოს სამმართველოს უფროსის მოადგილე ამხ. მარდალეიშვილი.

აფხაზეთის ახალი ალფაბეტის გამოცემა

საქართველოს სახ. გამომცემლობას დაევალა აფხაზეთის ახალი ალფაბეტის გამოცემასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფარავად გაიღოს 17.437 მანეთი.

აბანოს აგება ქ. ცაგერში

ლეჩხუმის სამაზრო აღმასკომს ნება მიეცა ქ. ცაგერში აბანოს დასამთავრებლად კომუნალურ ბანკიდან სესხად მიიღოს 13.000 მან.

ხორბლისა და ქერის დამზადება

სახკომსაბჭოს გამწესრიგებელმა სხდომამ საჭიროდ სცნო, რათა საქართველოს ფარგლებში დამზადებულ იქნეს 40 ვაგონი ხორბალი და 40 ვაგონი ქერი.

საქართველოს მხატვართა საზოგადოების შენობა

თბილისის აღმასკომს დაევალა მისცეს საქართველოს მხატვართა საზოგადოებას ის შენობა, რომელშიდაც ამ ჟამად მოთავსებულია ქ. თბილისის კომენდანტის სამმართველო.

მასთან თბილისის აღმასკომს დაევალა გამონახოს შესაფერი შენობა ქ. თბილისის კომენდანტის სამმართველოსათვის.

დახმარება ქ. ქუთაისის ხანძრისაგან დაზარალებულ მცხოვრებლებს

ვინაიდან ქ. ქუთაისში ხანძრისაგან უმთავრესად დაზარალდა ღარიბი მოსახლეობა, ეთხოვა ა.-კ. სახკომსაბჭოს გასცეს სათანადო განკარგულება, რათა ა.-კ. სახ. დაზღვევის სამმართველომ გაიღოს ქუთაისის გადამწვარ უბნისათვის 500.000 მ. ქუთაისის აღმასკომის მიერ წარმოდგენილ დაზარალებულ მოსახლეობისათვის გაწეული დახმარების ხარჯთ-აღრიცხვა დამტკიცებულ იქნა 20.000 მან რაოდენობით.

წყალდიდობასთან მებრძოლი კომისიის ლიკვიდაცია

წყალდიდობასთან და მის შედეგებთან მებრძოლი საგანგებო კომისია გაუქმებულია.

მოტო—გადარბენა

მოსკოვი—ტფილისი

რუსეთის საზოგადოება „ავტო-გზა“ წელს აწყობს პირველ საკავშირო მოტო-გადარბენას მოსკოვიდან თბილისამდე.

გადარბენა დაიწყება 15 ივლისს. მოტოციკლეტები გზაში დაყოფენ 13 დღეს და 27 ივლისს მოვლენ თბილისში, სადაც დარჩებიან 2 დღეს. შემდეგ იმავე მარშრუტით გაბრუნდებიან უკან მოსკოვში.

გუშინ საღამოს „ა.-კ. ავტო-გზა“-ში შედგა სახელმწიფო საზოგადოებრივ და კოოპერატიულ ორგანიზაციათა წარმომადგენლების თათბირი, რომელზედაც განხილული იქნა გადარბენაში მონაწილეთა შეხვედრის საკითხი. შეხვედრის პრაქტიკულ საკითხების მოსაგვარებლად თათბირზე გამოყოფილი იქნა მუშათა - კომისია, რომელშიაც არჩეული იქნენ „ა.-კ. ავტო-გზიდან“ ამხ. აზარნოვი, ლევაშოვი, ცურინოვი. საქართველოს გზატკეცილების სამმართველოდან მღრაძე, მოტო-სექციიდან — ცხომელიძე, მოტო-ველ საზოგადოებიდან — ახმეტელი, ტრანსპორტის მუშაკთა პრ. კავშირის ერთი წარმომადგენელი, სამხედრო სკოლიდან — ლევჩენკო, თბილისის აღმასკომის ადმ. განყოფილებიდან — **ჯავახიშვილი** და თბილისის კომენდანტი **ლ. აბაშიძე.**

კომისიას დაევალა შეიმუშაოს შეხვედრის გეგმა და ხარჯთ-აღრიცხვა, რომელიც განხილული იქნება შემდეგ კრებაზე.

ქუთაისი

(ტელეფონით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

სახლების ჩამორთმევა

ქუთაისის სამაზრო აღმასკომის მიერ გამოყოფილი სპეციალური კომისია შეუდგა ჩამოსართმევ სახლების სიების შედგენას. ჯერ-ჯერობით გადაწყვეტილია შემდეგი სახლების ჩამორთმევა:

ჭავჭავაძის ქუჩაზე — დავით კაკაბაძის, ნინა შავგულიძის, ამბაკო ჩახავას, ბარბარე კოსტავას, რაჟდენ თურქიას, ქრისტინე კიკნაძის მემკვიდრეების;

რუბინიძის ქუჩაზე — ელენე ჩილინგირიდის, მინადორა ჩილინგირიდის, იასონ ახვლედიანის და სარდიონ ასათიანის, გიგო ხოჭოლავას და ივანე ბაბუნაშვილის, ეგნატე ნარსიას მემკვიდრეების.

ზდანოვიჩის ქუჩაზე — ყოწია დოდუაშვილის, პეტრე ბალანჩივაძის, ივანე კაპანაძის, მარიამ რელიგიონის, სიმონ ლორთქიფანიძის;

მესამე ინტერნაციონალის ქუჩაზე— შოლომ თავდიდიშვილის, ისიდორე ჯანელიძის, სიმონ ბარქაიას, ვასილი მაისუროვის, რუბენ აჯიაშვილის, მარიამ გოკიელოვის, მიხეილ ელიაშვილის, რუტო და ეთერ სახიაშვილების, გაბო გოკიელის, ვლადიმერ წერეთელის, სიმონ ფიჩხაძის, სიმხო მაშიაშვილის, გრიგოლ მჭეიძის, დიმიტრი ბახტაძის, ელიაუ და იაგორ ფიჩიცკის;

ლერმონტოვის ქუჩაზე—სოლომონ ბინიაურიშვილის, მოსე უზუკაშვილის;

წერეთლის ქუჩაზე — ნიკოლოზ სახანბერიძის, ნატა და სიმონ წერეთლების, ბაბალო რობაქიძის, ლევან კობეშავილის, ივანე და იოსებ ბარქაიების, დავით ძაგნიძის, გაბო და კირილე თათარიშვილების, იაკობ ახსარქისოვის, ოლღა ნალთბილაძის.

ჩამოსართმევ სახლების სია მოთავსებული იქნება „კომუნისტში“.

დახმარება ხანძრისგან დაზარალებულთ

ქუთაისი, 9 ივლისი. გაუქმდა ხანძრისაგან დაზარალებულთა დამხმარე კომიტეტი. მისი ფუნქციები გადაეცა ქალაქის აღმასკომის პრეზიდიუმს.

უკანასკნელ დღეებში ცეცხლისგან დაზარალებულთა სასარგებლოდ შემოვიდა: საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოსაგან — 20.460 მან., ქუთაისის მაზრის სხვადასხვა თემაღმასკომებისაგან — 215 მან., საბჭოთა და სავაჭრო მოსამსახურეთა ქუთაისის კავშირისაგან — 367 მან., რიონჰესის მუშათა და მოსამსახურეთაგან — 875 მან., ქუთაისის ქალაქისა და რკინის გზის სადგურის მტვირთავთაგან — 58 მან. და ქუთაისის მოქალაქეთაგან—513 მანეთი.

ხონის აბრეშუმის ფაბრიკაში

ხონი, 9 ივლისი. ახლად ამუშავებულ აბრეშუმის ძაფსალებ ფაბრიკაში მუშაობს 500 მუშა. ქარხნის პროდუქციას შეადგენს 1.600 ფუთი ძაფი წლიურად.

კათოლიკეთა სამღვდლოების „სასულიერო მოღვაწეობა“

ახალციხე-ახალქალაქის მაზრებში

ჩვენ გვინდა დავიწყოთ ენის საკითხით. მოგეხსენებათ, დღემდე ახალციხის მაზრაში ლაპარაკობენ მრავალ ენაზე: ქართულად, სომხურად, თურქულად და რუსულად. დღეიდან უნდა ვიცოდეთ, რომ აქ ფრანგულადაც ლაპარაკობენ. ლაპარაკს თავი დავანებოთ, მიწერ-მოწერაც კი სწარმოებს ამ საერთაშორისო ენაზე და ზოგჯერ ქართული დოკუმენტებიც ითარგმნება ფრანგულად. ეს რომ ხდებოდეს, მაგალითად, ისეთ ფრანგისათვის, რომელსაც ქართულის არაფერი ესმის, სავსებით გასაგებია. მაგრამ მთავარი ისაა, რომ ქართული დოკუმენტი ითარგმნება ფრანგულად და ეგზავნება ქართულადვე მოლაპარაკე პირს. რათა, რისთვის უნდა დაიხარჯოს ზედმეტი ენერგია, დრო, ქაღალდი, მელანი? რა უაზრობაა!

მაგრამ ნაადრევია ეს დასკვნა. უაზრობაში ჩვენ ბრალს ვერ დავდებთ ახალციხის მაზრის სოფელ უდეს კათოლიკეთა მღვდელ მამა კონსტანტინე საფარაშვილს. მან იცის თავის საქმე, იცის რასაც აკეთებს.

ის უგზავნის ერთ-ერთ გლეხი ქალის განცხადებას ფრანგულ ენაზე ქართველ კათოლიკეთა „სამოციქულო ადმინისტრატორს“, „მის მაღალ ღირსებას, მამა ემანუილ ვარდიძეს“ თბილისში და ბოლოში ფრანგულადვე დასძენს:

„ჩემ მიერ ზედმოყვანილი განცხადება მე მივიღე ქართულ ენაზე, მაგრამ სიფრთხილის მოსაზრებით გადავთარგმნე ფრანგულად. ქალის სახელი, რომელმაც განცხადება მომცა, მე ვიცი. შემიძლია შეგატყობინოთ თქვენ იგი, პირველ მოთხოვნილებისთანავე.

მამა კონსტანტინე. სოფელ უდედან“.

* *

ამრიგად, მამა კონსტანტინე სოფელ უდედან სიფრთხილეს იჩენს. ის იმდენად წინდახედულია, რომ განცხადების დამწერ ქალის ვინაობასაც კი არ აღნიშნავს. რაშია საქმე? ვისთვის ან რათ არის საჭირო ეს სიფრთხილე? რომ კითხვაზე პასუხის გაცემა ჩვენვე არ დაგვეჭირდეს, საჭიროა ავალაპარაკოთ თვით განცხადება. ჩვენ იმავე სიფრთხილის მოსაზრებით, რომლითაც ხელმძღვანელობდა უდელი მამა კონსტანტინე, საჭიროდ ვცნობთ გადაფრანგულებულ განცხადების გადმოქართულებას, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ჩვენი სიფრთხილე სულ სხვა მიზანს ისახავს. ჩვენ გვინდა გაიგოს ყველამ და პირველ-ყოვლისა ახალციხე-ახალქალაქის მშრომელ კათოლიკე გლეხობამ, თუ ვინ და რა ხალხი ევლინება მათ სულის მხსნელებათ. ჩვენ გვინდა ნამდვილი ფაქტების და მხოლოდ ფაქტების აღნიშვნით საშკარაოზე გამოვიტანოთ ბნელეთის მოციქულთა, სასულიერო წოდების ერთ-ერთ „კულტუროსან“ წარმომადგენელთა საქმენი საგმირონი.

მაშ ისევ ფრანგული დოკუმენტის შესახებ, რომელშიაც ლაპარაკია იმაზე, თუ როგორ მიაღებინა „ზიარება“ ფეხმძიმე ქალს ვინმე მამა თომა იგითხანაშვილმა. თომა, რომელიც შემდეგ უდიდან ახალქალაქის მაზრაში, სოფელ ხიზაბავრის მოძღვრად გადაიყვანეს, ჩვენი მოკლე წერილის მთავარ გმირს წარმოადგენს.

„მე მიახლოვდებოდა მოლოგინების დრო, ასე იწყება ქალის განცხადება, რომელიც ფრანგულად თარგმნა თომას მემკვიდრემ სოფელ უდეში მამა საფარაშვილმა. ამიტომ წავედი ზიარების მისაღებად მამა იგითხანაშვილთან. ვაღიარე რა ჩემი ცოდვები, მე მოველოდი მათ შენდობას. მაგრამ, სანამ ცოდვებს შემინდობდა, მამამ შემდეგი სიტყვებით მომმართა: „მე მებრალებით თქვენ, რადგან ქმარიანი ხართ, თქვენ რატომ არ გებრალებით მე? მე შეგებრალეთ“. სთქვა მან და შენ მე შემიბრალე“.

„მე მეგონა, რომ ის ლაპარაკობდა ძღვენზე, რომელსაც ჩვენში ვუგზავნით ხოლმე მღვდელს ქორწინების შემდეგ. ამიტომ მე დავპირდი მას ძღვენის გაგზავნას. როცა ვუთხარი ეს, მან წამოიწია ჩემსკენ და ხელი გულზე დამადო. მე მივხვდი, რომ ის ცუდ რაღაცას მიპირებდა. მაშინვე წამოვდექი და გამოვედი სალოცველიდან. ამის შემდეგ იმდენად აღელვებული ვიყავი, რომ აღარ შემეძლო ეკლესიაში დარჩენა და წავედი სახლში.

იმ ღამეს ძილი აღარ შემეძლო. მეორე დღეს მე უკვე ვეღარ მივეკარე ზიარებას ღვინოს. ჩემ ქმარს ეს უკვირდა, უნდოდა მიზეზის გაგება და მე გაუმხილე მას ყველაფერი. ქმარმა მითხრა: „შენ შეგიძლია გულდამშვიდებით მიიღო ზიარება, რადგან შენ არ იყავი დამნაშავე იმაში, რაც მოხდა“-ო, მე წავედი ერთ ქალთან, რომელმაც აგრეთვე წინა დღით აღსარება მიიღო მამა თომასთან და ვეზიარე მასთან ერთად.. ამის შემდეგ სამი წლის განმავლობაში მე აღარ მიმიღია ზიარება... აქამდე არ გავამხილე ეს, რადგან არ მინდოდა მოძღვრის დასჯა, მაგრამ ეხლა მე მსურს ზიარების მიღება, უნდა ვაღიარო ყველაფერი და ამიტომ გატყობინებთ, ამას თქვენ გთხოვთ შემინდოთ მე ცოდვანი ამდენი ხნის დუმილისათვის“.

„რადგან ქალმა წერა-კითხვა არ იცის, სწერს განცხადების მიმღები მამა საფარაშვილი, ამიტომ ის თავის განცხადებას ასვამს ჯვარს და საკუთარი მარჯვენა ხელის თითის ანაბეჭდს“.

გარდა ამისა, იმის დასამტკიცებლად, რომ ყოველივე ეს სრული სიმართლეა, მღვდელი საფარაშვილი ასწერს სურათს, თუ როგორ მოუთხრობდა მას ქალი ამის შესახებ.

„შემდეგ ქალი ამბობს, ატყობინებს ის ვარდიძეს, რომ ყოველივე ეს სიმართლეა. ქალი ლაპარაკის დროს ჰკოცნიდა ჯვარს და ხელი სახარებაზე ჰქონდა დადებული“.

ასეთია სახარების მადლით ნაკურთხი, ჯვრით და დაკტილოსკოპიის წესით შემოწმებული დოკუმენტი მამათ თომა იგითხანაშვილის „სასულიერო“ მოღვაწეობის ერთი ეპიზოდის შესახებ.

ხალხი, რომელიც ზიარებას სიტყვით წმინდათა წმინდათ აღიარებს, რომელიც ბავშობიდანვე უნერგავს მორწმუნეს ზიარების მაღალ ღვთაებრივობის ძალას, საქმით ამავე ზიარებას პირად ანგარებისა და უსაზიზღრესი გარყვნილების იარაღათ იყენებს. ამას სჩადიან კათოლიკეთა ეკლესიის წარმომადგენელნი. ისინი, რომელთაც ყოველთვის და ყოველგან თავი ყველაზე უფრო კულტუროსან და ხალხის განმანათლებელ სამღვდელობათ მოაქვთ.

* *

ამის შემდეგ რა გასაკვირია, რომ იგითხანაშვილს ისევე გაურბოდნენ მორწმუნე ქალები, როგორც ცხვარი მგელს. გლეხი ბალიაშვილი სწორეთ ასე იხსენიებს იგითხანაშვილს თავის

კათოლიკეთა მღვდელი თ. იგითხანაშვილი

განცხადებაში, რომელიც მან იმავე ვარდიძეს გაუგზავნა.

„იგითხანაშვილი ქალებს უხეშად ეპყრობა, ამბობს ბალიაშვილი, ძალით მიათრევს მათ თავის ოთახში. ტყავს აძრობს ხალხს. რისთვის გამოგზავნეთ ის თქვენ ჩვენთან: მგლათ თუ მღვდლათ?“

ეს ორი დოკუმენტი სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ ჩვენს წინაშე წარმოსდგეს თავისი ნამდვილი გაშიშვლებული სახით, ფარისევლურ სასულიერო წოდების „სულის საცხონებელი“ მოღვაწეობა. მაგრამ უსამართლობა იქნებოდა, რომ მსუნაგი პატერი თომა იგითხანაშვილი ცენტრად გამოგვეყო, ყველა უმსგავსოება მასზე მიგვეწერა და არ მიგვეცა ბრალდებულისათვის თავის მართლების საშუალება. თავის გასამართლებელი თომას თუმცა რა აქვს! ის საბოლოოდ გამოაშკარავებულია. მაგრამ კარგია მაინც, როცა კაცი მარტოობას არ გრძნობს გასაჭირში. და მართლაც, თომას თავის უზნეო საქციელით არც სხვები ჩამორჩებიან.

* *

იმავე სოფელ უდეში, საიდანაც მამა საფარაშვილი ფრანგულ ენაზე ნათარგმნ დოკუმენტებს გზავნის სამოციქულო ადმინისტრატორ ვარდიძის სახელზე, რამდენიმე წლის წინად კათოლიკეთა მღვდლად იყო ვინმე ანდრია გიგოლაშვილი. აი, რას სწერს ეს გიგოლაშვილი თომა იგითხანაშვილის შესახებ პაპის ვიზიტატორს სმეტცს, რომელიც გამოგზავნილი იყო რომიდან კათოლიკეთა რაიონების დასავლელად აღმოსავლეთის ქვეყნებში:

„მამა თომას, ამბობს გიგოლაშვილი, ჩვეულებათ აქვს ბაზრობაზე სიარული, სადაც ის თავის მეგობრებთან ლაყბობს. აქ მას, სხვათა შორის, უთქვამს: „ეს ეფისკოპოზები, პაპის კაცები სმეტცი და ფარაგოლი მართლაც რომ პირის გემოს ხალხია! ისინი მიირთმევენ კონიაკს შაქრით, ჩვენ კი საწყალ მღვდლებს, გვეძრახავენ მჟრალი არაყის დალევასაც კი. სოფელ უდეში ეფისკოპოზ სმეტცმა თან ჩამოიტანა ერთი პარტია კონიაკი“-ო.

ამნაირად მარტო თომა არაფერ შუაშია. მართალია მის წინააღმდეგ ბევრი საყვედურებია გლეხებში, მაგრამ რა ქნას საწყალმა მღვდელმა მივარდნილ ახალციხის მაზრის სოფელში, როცა თვით პაპის უშუალო რწმუნებულები, ეფისკოპოზები, ყოველი ჯურის ვიკარიები და ვიზიტატორები, დაშაქრული კონიაკებით შეზარხოშებული დადიან სოფელ-სოფელ. ადვილი წარმოსადგენია, რა დღეში იქნება ეს ხალხი ქალაქად, ცერაკლიტულში დამალული? ადვილი გასაგებია რა ზნეობრივ სიფაქიზეს დაიცავენ ისინი აქ, გარეშე თვალს მოშორებულნი.

თომა მარტო არ არის სხვა მხრივაც. მას ყავს დამცველებიც, და დამცველთა საკმაოდ მაგარი ჯგუფიც. ეს ჯგუფი სწერს შემდეგ კოლექტიურ განცხადებას იმავე სამოციქულო ადმინისტრატორ ვარდიძის სახელზე:

„ჩვენ, მორწმუნეებმა გავიგეთ, რომ ჩვენი მღვდლის იგითხანაშვილის წინააღმდეგ ურწმუნო ხალხი ავრცელებს ჭორებს. ამიტომ შევკრებილნი ვართ ჩვენ, რომ მოგწეროთ თქვენ შემდეგი: თომა იგითხანაშვილის ენერგიული მუშაობის წყალობით, ეკლესია ფეხზე დადგა. არაა მართალი, თითქოს ის სვამს და ოჯინებს. თუ თქვენ დაუჯერებთ მტრებს და გადაიყვანთ იგითხანაშვილს ჩვენ სულ დავიღუპებით. გთხოვთ გასწმინდოთ ეკლესია მავნე ელემენტებისაგან, თორემ ჩვენ ძალას მივმართავთ და შედეგებზე პასუხს არ ვაგებთ“

* *

ზემოთ მოყვანილ წერილში საყურადღებოა ორი რამ: ერთი ის, რომ თომას შესახებ თურმე ვრცელდება ჭორები, ნამდვილად კი თომა არაფერ შუაშია, მეორეც ის, რომ თომა ხუცესს თურმე ყოლია მრევლში ეკლესიისათვის მავნე ელემენტები.

რაც შეეხება ჭორებს, იმის შესახებ, თითქოს თომა სვამს და მრუშობს, ამაზე სჯობს თვით „უდანაშაულოდ“ შეურაცხყოფილ თომას მივცეთ სიტყვა. ის ცოტა სხვა აზრის არის. ის უკეთ იცნობს საქმეს. ამის შესახებ მამა თომა სწერს ვარდიძეს შემდეგ მოსანანიებელ განცხადებას.

ჩვენ მოვიყვანთ ამ განცხადებას ავტორის სტილისა და მართლწერის დაცვით:

„ერთ საღამოს, როცა ძლიერ მთვრალი ვიყავი, ვითომ თუ მოსულა ჩემთან სააღსარებოდ ვინმე თერეზია ფარცახაშვილისა და მე აღსარებაში, ანუ მის გარეშე ცოდვაზე დამიწყვია (?) მე სრულიად არ მახსოვს მხოლოდ მეორე დღეს, როცა საზიარებლათ მოვიდა, გამიკვირდა, თუ ვისთან სთქვა მან აღსარება და კიდევაც მოხდა დაკითხვა და მაშინ შევიტყვე, რომ ჩემთან ეთქვა აღსარება და მე კი არ ვიცოდი...

ამის გამო, ვსთვლი ჩემს თავს დამნაშავედ, რომ ჯერედ ძლიერ დავითვერ და მერმედ სმის გამო არასფერი მახსოვდა და რადგან მე ეს მომხდენია სმის და დაბნეულ დროს, გთხოვთ მამაო, შემიბრალოდ და მოხუცი მღვდელი და ჩემი ექვსი უბედური შვილები და მაპატიოთ ეს ჩემი სმის გამო უნებური დანაშაული და გამინთავისუფლოთ დასჯისაგან“.

თომა იგითხანაშვილი.

ასეთია „ჭორი“ ექვსი შვილის პატრონ, გლეხი ქალების „მზიარებელ“ მოხუც მღვდელ იგითხანაშვილის შესახებ. რაც შეეხება საკითხის მეორე მხარეს, სახელდობრ იმას, რომ თომას მრევლში ჰყავს მავნე ელემენტები, აქ მდგომარეობა ასეთია. მავნე ელემენტებია პატერი შეზაბერიძე და მისი მომხრენი, რომელნიც ცდილობენ თომას მოშორებას და მის ადგილას შეზაბერიძის დატოვებას.

ამ ნიადაგზე ორ მღვდელს შორის სწარმოებს გამძაფრებული ხან აშკარა, ხან მალული ბრძოლა. როგორც უფრო გამქნილი ხუცესი, თომა მეტ ოინებს იჩენს. ვის და რას არ მოედება ის შეზაბერიძის წინააღმდეგ ბრძოლაში. კომუნისტებთან კავშირსაც კი სწამებს მას, მასწავლებელ ქალს ქალიშვილსაც ულანძღავს და ურწმუნოებას აბრალებს. ერთი სიტყვით, არ აკლებს არავითარ სიავეს, რომ საშიშარი კონკურენტი როგორმე ძირს დასცეს.

„კათოლიკეთა მღვდელ შეზაბერიძეს, სწერს თომა [illegible] ვარდიძეს, მოისყიდა პარტიულები და შთააგონა მათ, რომ იძულებული გამხადონ დავტოვო მრევლი. შემდეგ კი მას სურს დაიჭიროს ჩემი ადგილი.. მას ყავს ისეთი პარტია, რომ შეუძლია დიდი უბედურება დამატეხოს თავზე მე მოხუც მღვდელს. მასში გაჰქრა კათოლიკე მღვდლის სული. მას ისეთი გველური ენა და გამოთქმა აქვს, რომ ყველას დაარწმუნებს თავის სიმართლეში. ეკლესიის ქონებაზე ამბობს ჩემიაო, ამ მიზნით ინვენტარის წიგნს არ ადგენს.

მისი ქალიშვილი შუალამემდი დასეირნობს ამერელ მასწავლებელთან და ზოგჯერ მიჰყავს ის სახლში, ეს გარყვნილი ქალი ჩემს შესახებ ავრცელებს ჭორებს, სურს რომ მის მამამ დაიჭიროს ჩემი ადგილი. ხიზაბავრელები გთხოვენ თქვენ, მოახდინოთ განკარგულება ამ უზნეო ქალის ეკლესიის სახლიდან გამოსახლების შესახებ. ყოველივე ამას გწერთ საიდუმლოდ, რომ თქვენ იცოდეთ“.

ასეთია სამღვდელოების ჰოტენტოტური მორალი. თვითონ მორწმუნე ქალების საკურთხეველში გაუპატიურებაზე ვარჯიშობენ, ხოლო თუ მასწავლებელ ქალთან სტუმრად მივიდა სახლში ვაჟი-ამხანაგი, ეს გარყვნილება და მიუტევებელი ცოდვაა.

მთელი ამ „სასულიერო“ სიბინძურის მზის სინათლეზე გამოტანა არც კი ღირდა, რომ ის შეუმჩნეველი არ რჩებოდეს მორწმუნე მშრომელ მასისათვის. სახარებითა და ჯვრით დაფარული კათოლიკეთა სამღვდელოების ლოთობა, მათი ყოველგვარ წესს გადასული გარყვნილება, ერთმანეთისათვის ანგარების მიზნით ხაფანგის დაგება და სხვა, ძვირად უჯდება პირველყოვლისა მშრომელ მორწმუნეებს. მათ კიდევ სჯერათ, კიდევ სწამთ ეკლესიისა და განგების ძალა.

გამსუნაგებული სამღვდელოება ჯერჯერობით მოხერხებულად იყენებს მორწმუნე ხალხის ნდობას, ის მალაყს გადადის ხალხის ზურგზე ღმერთისა და ეკლესიის სახელით.

* *

თომა იგითხანაშვილი აქ შემთხვევით მოჰყვა ბადეში. ამნაირი თომებით სავსეა კათოლიკეთა ეკლესიის მსახურთა კრებული. თომა უმანკო აბრამის ბატკანია კათოლიკეთა სამღვდელოების ორაგულებთან შედარებით, რომელნიც იმდენად მეტ უზნეობას სჩადიან, რამდენადაც მეტი „სასულიერო“ სამოღვაწეო ასპარეზია მათ წინაშე. თომამ სწორად სთქვა. „თვითონ დაშაქრულ კონიაკებს მიირთმევენ, ჩვენ კი მჟრალი არაყის დალევასაც გვიშლიან“-ო. გულნატკენ სოფლის მღვდელის ამ ჩივილში უკვე გამოსჭვივის კათოლიკეთა სამღვდელოების შინაგანი გახრწნის მთელი სურათი. გაიგებენ კი ამას ახალციხე-ახალქალაქის მორწმუნე მშრომელი მასები? ჩვენ ვფიქრობთ, რომ გაიგებენ და ამის დასადასტურებლად გვინდა მოწმეთ მოვიყვანოთ ისევ თვით თომა იგითხანაშვილი.

სჯობს თომა აქაც საკუთარი სტილით და გრამატიკით ვალაპარაკოთ.

„მომიტევეთ, მამაო, სწერს ის ვარდიძეს, რომ ხშირად გაწუხებ, მაგრამ, როცა თქვენ მეტი შემწე არავინ მყავს და არავისაგან მოველი დახმარებას, მაშ კიდევ მე ცოდვილი და პირშავი თქვენს წინაშე დავრდომილი, ვითარცა უძღები შვილი, ვითხოვ მოტევებასა, მაინც ჩემი საწყალი და დაწვრილ-დაბადგული შვილები შემიბრალე. ჩემის მხრივ დავითისებრ ხელთაპყრობილი გევედრები: „მე შევცოდე, მე გარდაველ ნებას, მე დამსაჯე და ჩემ შვილებს აჩუქე და აპატიე“...

„რაც თბილისიდან დავბრუნდი ს. ხიზაბავრას, კაპეიკის აღები არა ვარ, 56 კოდი პურს არ მაძლევს და სხვა რაც მეგროვებოდა, ისიც სახლის ქირაში მივეცი და ახლა, როცა ზამთარი კარზეა მომდგარი, დამრჩა ცოლ-შვილი შიშველ-ტიტველი. ამისთვის თვალცრემლიანი გევედრები ნუ დახშავთ ჩემს შვილებისათვის მოწყალების კარს და მანუგეშეთ მით, რომ წინდაწინვე მომაშველოთ ავანსათ ასი (100) მანეთი საწირავების ანგარიშში და მერმედ წარმოგადგენ წირვების რვეულს და ვიანგარიშებ, რადგან 1-ლ სექტემბრიდან თქვენი დავალებით მუდამ თქვენ ჰაზრზე ვამბობ წირვებს და თუ ეს წყალობა არ მიყავ, ჯავრით და ფიქრით ვიცი „წვეთი“ (паралич, თვით თომას განმარტება, კ.) დამემართება“.

არ ვიცით, მიიღო თუ არა თომა იგითხანაშვილმა ასი მანეთი. ცხადია, ერთი რამ, ჯერ-ჯერობით მას „წვეთი“ ანუ დამბლა არ დასცემია და ძველებურად არხეინად განაგრძობს „ცოდვების შენდობას აღსარების მოუსმენლად“. ეტყობა სამოციქულო ადმინისტრაციის სალაროში საქმე არც თუ ისე ცუდათ ყოფილა. მაგრამ მათ ეს ვეღარ უშველის. კათოლიკეთა სამღვდელოების გავლენას ახალციხე-ახალქალაქის მაზრაშიაც წყალი შეუდგა. წყალი, რომელიც მალე ძლიერ ნიაღვრად იქცევა და წალეკავს მთელ საეკლესიო სიბინძურეს.

ჩვენ განგებ შევჩერდით კათოლიკეთა სამღვდელოების მოღვაწეობაზე. და ეს იმიტომ კი არა, რომ ეგრედ წოდებული მართლმადიდებელ ქრისტიანთა, გრიგორიანთა, მაჰმადიანთა და ებრაელთა და სხვა ჯურის სარწმუნოების მოციქულნი უდანაშაულო არიან ამ ქვეყნიური ცოდვაში. გარყვნილებით, სიხარბით, ხალხის თვალის ახვევით, ერთმანეთისადმი შურით და მტრობით ყველა სარწმუნოების წარმომადგენელი ერთი ყაიდის ხალხია. ბევრ მათგანის მატყუარობას და მტაცებლობას უკვე გაეცნო ფართო მშრომელი ხალხი. სარწმუნოებას ძირი ეთხრება. ამ დროს კი კათოლიკეთა ეკლესიის წარმომადგენელნი წინანდელზე უფრო დაჟინებით გაიძახიან მათ ეკლესიის სიფაქიზეზე, მთლიანობაზე და უზენაესობაზე. თუ რამდენად მართალია ეს, ამას მოწმობს ზემოთ მოყვანილი დოკუმენტები.

სწორედ ამიტომ გამოვიტანეთ ჩვენ საშკარაოზე, ჯერჯერობით მხოლოდ ნაწილობრივ, კათოლიკეთა სამღვდელოების ბნელი საქმეები. რაც შეეხება დანარჩენ სარწმუნოების წარმომადგენლებს, მათ შესახებ შეიძლება ასე ითქვას:

„ყველამ ყვავს წესიძალა. ყრანტიანი ხართ“.

ყვენი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრონიკა

ამხ. დოგადოვის, ფიგატნერის და ლეპსეს ჩამოსვლა

გუშინ თბილისში ჩამოვიდნენ საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი, ამხ. დოგადოვი, მელითონეთა პროფკავშირის ცენტრ. კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ლეპსე და საბჭ. და სავაჭროთა მუშაკების კავშირის ცეკას თავმჯდომარე—ამხ. ფიგატნერი.

ამხ. ს. ჟუღელი შეუდგა თავის მოვალეობის შესრულებას

მიწათმოქმედების სახალხო კომისარი ამხ. ს. პ. ჟუღელი შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას.

წითელი ჯვრის მონაწილეობა თავდაცვის კვირეულში

დღეს, 11 ივლისს, წითელი არმიის და ფლოტის სახლის საზაფხულო კლუბში (პლეხანოვის პროსპექტზე) შესდგება წითელი ჯვრის პირველ საექიმო დახმარების წრეებისა და რაზმების გაერთიანებული კრება. დღის წესრიგში სდგას ექიმ. ავშაროვის მოხსენება საქ. წითელი ჯვრის მონაწილეობის შესახებ თავდაცვის კვირეულში—და საორგანიზაციო საკითხები.

უმუშევართა დახმარების გადიდება

საკავშირო პროფსაბჭო ამჟამად ამუშავებს პირველი ჯგუფის უმუშევართა—ინდუსტრიალურ მუშა-მელითონეების, ფეიქრების, ქიმიკოსების და სხვ. დახმარების ნორმების გადიდების პროექტს. დახმარების ნორმის გადიდება გატარებული იქნება 1-ლ ოქტომბრიდან. ამავე დროს მუშავდება ინვალიდთა პენსიების საკითხი.

ტრაქტორების კურსები

20 ივლისიდან საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი თბილისში ხსნის ტრაქტორისტების სამთვიან კურსებს 75 მსმენელისათვის. კურსებზე მსმენელები მიღებული იქნებიან საქართველოს ყველა კუთხეებიდან.

ექსკურსია მდ. ვოლგაზე

ორშაბათს, 16 ივლისს, საქ. პროფსაბჭოს კულტ-განყოფილება აწყობს კავშირის წევრთა ექსკურსიას მდ. ვოლგაზე. ექსკურსიის მარშრუტია: თბილისი-ბაქო-ასტრახანი - სტალინგრადი - სარატოვი-სამარა-ყაზანი-ლენინგრადი,—შემდეგ რკინის გზით მოსკოვი და მოსკოვიდან რკ. გზით უკან დაბრუნება. ექსკურსიას მოუნდება 20-25 დღე. მთელი მგზავრობა ღამის გასათევი ქირისა და კვების ხარჯების გამოკლებით თითოეულ ექსკურსანტს დაუჯდება 63—65 მანეთამდე. ექსკურსიაში მონაწილეობის მიღების მსურველნი უნდა ჩაეწერონ საქ. პროფსაბჭოს კულტ-განყოფილებ. სალექციო-საექსკურსიო ბიუროში. ყოველმა ექსკურსანტმა თან უნდა იქონიოს წყლის ჭურჭელი, საწვიმარი ან საზაფხულო პალტო, ჩაი და შაქარი.

თბილისის აღმასკომში

◆ **თბილისის მაზრის დაყოფა რაიონებად.** თბ. აღმასკომმა დაადგინა თბ. მაზრა დაყოს ახალ რაიონებად.

მიწსახკომში

◆ **თათბირი.** 10 ივლისს, ქ. ბაქოში გაიხსნა ზოოტექნიკოსთა ა.-კ. თათბირი. თათბირზე საქართველოდან გაიგზავნა პროფ. ჯანდიერი.

◆ **ახალი სახელოსნოები.** მიწსახკომმ. დაადგინა რესპუბლიკის სხვადასხვა მაზრებში გახსნას სასოფლო-სამეურნეო მანქანების შემკეთებელი 5 ახალი სახელოსნო.

სხვადასხვა

◆ **თავდაცვის კვირეული.** 15 ივლისიდან მთელს საქართველოში იწყება თავდაცვის კვირეული.

◆ **ს.-სამ. გადასახადი.** ფინსახკომის ცნობით, სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ობიექტების აღრიცხვა უკვე დამთავრდა.

◆ **საბჭოთა მუშაკების კლუბში,** ამავე კლუბთან არსებული ქართული სამხატვრო წრე „წითელი შოლტი" 20 ივლისს გამართავს დიდ საღამოს.

◆ **პრაქტიკაზე.** თბ. განათლების განყოფილებამ პრაქტიკაზე და სტაჟის მისაღებად თავის ხარჯზე სხვადასხვა წარმოებებში გაგზავნა მე-8 შრ. სკ. არსებულ სამწლიან ელექტრო-ტეხნიკუმის კურსდამთავრებულნი, რაცხვით 20 კაცი.

შემთხვევები

კავშირის საწევრო წიგნაკების გაყიდვა

ომასკომის ორთაჭალის მამულის ადგილკომის მდივან გიორგი ქაჯაიას შემოსავლის წყაროდ გაუხდია კავშირის საწევრო წიგნაკების მიყიდვა კერძო პირებისათვის. სისხლის სამართლის მილიციამ ამ საქმის გამო, დააპატიმრა აპოლონ ტუტუსძე ნადარეიშვილი, გიორგი სილოვანისძე ქაჯაია და ვლადიმერ მელიტონისძე ქაჯაია. საქმე გადაეცა მე-4 უბნის სასამართლოს გამომძიებელს.

მითვისება

სისხლის სამართლის მილიციამ შეიპყრო „ზაკვოენპო" № 30 მაღაზიის ნოქრები ნიკოლოზ სიმონისძე, არჩვაძე და სერგო გუკასისძე აგაბეკოვი, რომლებმაც მიითვისეს და გაფლანგეს მაღაზიის ფული და საქონელი.

დაჭრა

9 ივლისს საბაუის ქუჩაზე ვიღაც ბოროტმოქმედმა დანით მძიმედ დასჭრა მოქალაქე ნინა ჯავარიანცი. დაჭრილი გადაგზავნილია კამოს სახელობის საავადმყოფოში.

ქურდობა

9 ივლისს გაქურდეს მოქ. ვ. ცომაიას ბინა (ვერის გადასავალი, 21), მოპარულია 250 მ. ნივთები;—ამავე დღეს მოქ. სპირიდონ კარაპეტისძე ტონიანცის ბინის გაქურდვის დროს შეიპყრეს ალექსი ივანესძე ბიბიკოვი;—მორგებული გასაღების საშუალებით გაქურდეს მოქ. ილო იოსებისძე რუხიტაშვილის ბინა უდელის ქ., № 14), მოპარულია 90 მან. ნივთები;—გაქურდეს მოქ. ნიკო თომასძე ბულაშვილის ბინა (ბეთლემის ქ., № 1), საიდანაც მოიპარეს 40 მან. ნივთები.

რკინის გზებზე

ღირსეული მუშაკები

ა.-კ. რკ.-გზათა გამგეობამ ამ დღეებში განსაკუთრებული ბრძანებით მადლობა გამოუცხადა რკინის გზის შემდეგ აგენტებს:

კარლ უდრისს—ბაქოს დეპოს მემანქანეს, მის მიერ მიღებული ზომებისათვის, რომლითაც მან სად. ორატში თავიდან ააცდინა დაჯახებას დაკავებულ ლიანდაგზე მიღებულ მატარებელი № 465. ამავე საქმისათვის მადლობა გამოეცხადა **ივანე გნიონის**—ბალაჯარის დეპოს მემანქანეს; **ვლადიმერ ეგოროვს**—განჯის დეპოს მემანქანეს, რომელმაც ყარაბუჯი—ქიურდამირის გადასარბენზე შეამჩნია გაჩერებული მატ. № 106, რითაც თავიდან აცილებულ იქნა დაჯახება. **ვასილ კარჩევას**—იმავე დეპოს მემანქანეს, რომელმაც შენიშნა განწესის უწესო შედგენა და ააცდინა მატარებელი № 21 კატასტროფას დაკავებულ ლიანდაგზე; **ალექსანდრე კელჩევსკის**—სახანძრო რაზმის უფროსს, **გიორგი ტატოშვილს**—წევის დარგის მე-2 უბნის უფროსის მოადგილეს, **გორშკოვს**,—ზესტაფონის დეპოს უფროსს, **ძნელაძეს**—სახანძრო რაზმის ინსტრუქტორს, **ებრალიძეს**,—სად. შორაპნის რკ. გზ. მოხალისე-მეხანძრეთა რაზმის უფროსს და **ჭეიშვილს**—სად. ქუთაისის მოხალისე-მეხანძრეთა რაზმის უფროსს, რომლებმაც ენერგიული ზომები მიიღეს ქ. ქუთაისში მომხდარი ხანძრის ლიკვიდაციისათვის. **სვიმონ ზერაძს**.—ხაშურის დეპოს უფროსის თანაშემწეს—მუყაით და ერთგული მუშაობისათვის; **სერგო ივანოვს**—ბაქოს დეპოს მემანქანეს, რომელმაც თავისი ორთქმავალით დაიჭირა სად. კიშლიდან ვაქცეული ვაგონები და უვნებლად ჩაიყვანა ისინი სადგურზე; სად. აქსტაფაში **პოლიკარპე მაკოვინს**, რომელმაც ააცდინა დაჯახებას დაკავებულ ლიანდაგზე მიღებული მატარებელი № 108.

რადიოფიკაცია

ა.-კ. რკინის გზელთა პროფკავშირი ამ ჟამად ამუშავებს საკითხს ა.-კ. რკინის გზათა რადიოფიკაციის შესახებ. პირველ რიგში ჩატარდება რკ. გზ. კლუბებისა და წითელი კუთხეების რადიოფიკაცია.

დაჯახება

9 ივლისს ღამით ვაზიან-ნავთლუღის გადასარბენზე მატ. № 95 დაეჯახა მიმავალ ურემს, რასაც შედეგათ მოჰყვა ორივე კამეჩის გადასრესა. მეურმე ნაპოვნი არ არის. ორთქმავალი მსუბუქათ დაზიანდა. კვლევა-ძიება სწარმოებს.

მატარებლების გაჩერება

9 ივლისს სად. კერარიდან გასული მატარებელი № 101 გაჩერდა გზაში ორთქმავალის გაფუჭების გამო. მატარებელი დაბრუნებულ იქნა უკან.

იმავე დღეს სანგაჩალა—დუვანის გადასარბენზე ზედმეტი დატვირთვის გამო გაჩერდა მატარებელი № 108. მატარებელი დაბრუნებულ იქნა უკანვე. გადასარბენი დაკეტილი

ვის ჩამოერთმევა სახლები

კეკელიშვილს და სხვ. (გორის ქ. № 23), **ბელსკის** (ნაკაშიძის ქ. № 4), **თოფუზოვს** (ცეტკინის ქ. № 91), **იოსებაშვილს** (აკიმოვის ქ. № 13—9), **ნავრიკოვს** (ნახშირის ქ. № 12—15), **აშიანცს** (არქივის შეს. № 17), **ყანჩაველს და ერისთავს** (გორის ქ. № 18), **მარტიროსიანცს** (ფომინის ქ. № 26—2), **ზუბოვებს** (სამილიციო ქ. № 29), **პარლამაშვილს** (ნორაშენის ქ. № 9—22), **ედროს** (ყვირილის ქ. № 1—10), **ალი ტაგი-ზადეს** (კომუნალური შეს. № 6), **ავერიკოვს** (გორის ქ. № 7), **საკაშვილს** გორის ქ. № 13), **ცაგარეიშვილს** (გორის ქ. № 28), **კანაპლიოვას** (გორის ქ. № 20), **გოლდბადენს** (გოგოლის ქ. № 68), **პაპისალოდოვს** (ნარიმანის ქ. № 14), **მაჟუტაძეს** და სხვ. (გორის ქ. № 14), **კირილოვს** (ყვირილის ქ. № 5), **ბარზემიშვილს** (ბოჭორიშვილის ქ. № 20), **მანუკოვს** (ვერჰარნის ქ. №6), **ნუმუიანცს** (ბოჭორიშვილის ქ. № 14—16), **მარქიშვილს** (გორის ქ. № 30), **ტერ-მარტიროსოვს** (ყვირილის ქ. № 7), **კოხს** (რიყის ქ. № 62), **კუჩაევს** (რიყის ქ. № 79), **ალიხანოვას** (რიყის ქ. № 95—4), **ბეჰბუდოვგანოვს** (პეტრიწის ქ. № 1), **ბაბაევს** (რიყის ქ. № 31), **იმნაძეს** (რიყის ქ. № 11), **ბარხუდაროვს** (რიყის ქ. № 43), **ბალოტინს** (პეტრიწის ქ. № 21), **მატუზოვს** (რიყის ქ. № 54), **ალექსეევას** (რიყის ქ. № 58), **ბაბლიძეს** (ჩიხლაძის ქ. № 5), **კობერიძეს** (ახალი არსენალის ქ. № 9), **უხშილინას** (ყვირილის ქ. № 3), **ბეჟანოვას** (აკიმოვის ქ. № 14), **მამედ-ახმედ-ოღლის** (სეითაბადის ქ. № 14), **კაჭარავას** (ვახუშტის ქ. № 33), **თანდილოვს** (ფაბრიკის ჩიხი), **ხენთუაშვილს** (არქივის შეს. № 15), **ალავერდოვს** (ვახუშტის ქ. № 36), **სტელნიცკის** (ვერცხლის ქ. № 50), **ბაბახანიძის** (ყვირილის ქ. № 12), **ბასილიას** (ვახუშტის ქ. № 37), **ნაცვლიშვილს** (თამარის ქ. № 39), **სკოკევს** (ვახუშტის ქ. № 34), **ჭანტურიას** (9 იანვრის ქ. № 16), **ისახანოვას** (9 იანვრის ქ. № 14), **ქარცივაძეს** (ბატარეის ქ. № 12), **დომულიას** (ვახუშტის ქ. № 27), **პერეის** (რისაკოვის ქ. № 6), **თეიმურაზოვს** (ვახუშტის ქ. № 44—2), **მაისურაძეს** (ვახუშტის ქ. № 29), **ნავლაძეს** (ვახუშტის ქ. № 42), **კოტვიუხს** (ვახუშტის ქ. № 32), **ალიევას** (მიმოსვლის ქ. № 8—12), **გოზალოვს** (მაიდანის შესახ. № 7), **ლევიცკის** (გოცირიძის ქ. № 6—20), **ზედგინიძეს** (სამილიციო ქ. № 12), **პოლუმორდვინოვს** (გილიაროვის შეს. № 13), **ხეცკოს** (ნავთლუღის მოედანი № 1—12), **ზურმუხტელაშვილს** (კალინინის ქ. 10), **ბაბაევს** (განჩარის ქ. № 51), **თუმანოვას** (არსენალის ქ. № 21), **არუთინიანს** (მონასტრის ქ. № 10—1), **ტერ-მარტიროსოვს** (სურპ-კარაპეტის აღმ. № 18), **ჯანაშვილს** (შელკოვნიკოვის ქ. № 10), **ვაშაკიძეს** (ყუბანის ქ. № 3), **კოკაიას** (ჩერქეზიშვილის ქ. № 35), **კაზეტაშვილს** (გლეხის ქ. № 8—1), **გალიცინს** (პეტრიწის ქ. № 15), **ლოსკუტოვს** (რიყის ქ. № 77).

ავიაქიმში

პრეზიდიუმის სხდომა

სამშაბათს, 12 ივლისს, საღამოს 6 საათზე საქ. თავდაცვა ავიაქიმის ბინაზე შესდგება საქ. თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების პრეზიდიუმის მორიგი სხდომა.

„თავდაცვა - ავიაქიმის ფურცელი"

საქ. თავდაცვა-ავიაქიმის პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე საჭიროდ სცნო „თავდაცვა-ავიაქიმის ფურცელი"-ს შემოღება გაზ. „წითელ არმიელში".

ფურცელში მოთავსებულ იქნება თავდაცვა-ავიაქიმის უჯრედების მუშაობის მიმოხილვა, სახელმძღვანელო წერილები და სხვა.

სტუდენტთა ლაშქრობა

საქ. თავდაცვა-ავიაქიმის პრეზიდიუმი მოკლე ხანში აწყობს სახ. უნივერსიტეტის სტუდენტთა ლაშქრობას მდ. მტკვარზე — ხერთვისიდან ბაქომდე.

ხერთვისიდან მოლაშქრენი გაემგზავრებიან ტივებით. გზაში მათ მიერ შესრულებული იქნება სხვადასხვა ხასიათის ტაქტიკური ამოცანები.

სასამართლო

მთავარი ინჟენერი, თუ მთავარი გამფლანგველი

ალბად, გახსოვთ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ახალშენებათა კომიტეტის მთავარი ინჟენერი გიორგი ანდრონიკაშვილი.

გახსოვთ ისიც, რომ ძალიან გაწუწკებული იყო ფულზე ანდრონიკაშვილი და მიუხედავად იმისა, რომ 550 მანეთზე მეტს იღებდა ჯამაგირს ყოველ თვიურად, „საქვეანგარიშო" თანხებს ავლებდა მუსრს.

ანდრონიკაშვილი გაასამართლა თბილისის სამაზრო სასამართლომ ამხ. რ. კალანდაძის თავმჯდომარეობით.

სასამართლოში ანდრონიკაშვილი დიდი რიხით ლაპარაკობდა, რომ მას გაფლანგულად არ უნდა ჩაეთვალოს 4.500 მანეთი, რომელიც რკინის გზათა სამმართველოს გადაუხადა მისი ძველი დავალიანების დასაფარავად.

საიდან გადაუხადა ძველი დავალიანება რკინის გზათა სამმართველოს? ან რა სახის იყო ეს „დავალიანება"?

„ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა", მაგრამ ამ შემთხვევაში, რომ არაფერი ეთქვა ანდრონიკაშვილს—უმჯობესი იქნებოდა.

საქმე იმაშია, რომ ჯერ კიდევ მაშინ, როცა ანდრონიკაშვილი რკინის გზაზე მსახურობდა ინჟენერად, მან 5000 მანეთამდე „გაიმასხრა" და გადავიდა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში.

და აი ამ „დავალიანების", უფრო სწორად რომ ვსთქვათ გაფლანგვის დაფარვას ხელახალი გაფლანგვის საშუალებით ინჟენერი ანდრონიკაშვილი ძალიან ამადლის ხაზინას!

რა ჩაიდინა გარდა ამისა ანდრონიკაშვილმა, ალბად, გეხსომებათ.

1927 წელს მიიღო შავი ზღვის რკინის გზის სამმართველოდან შპალების საფასური 15.050 მანეთი ახალშენებათა კომიტეტის სალაროში შესატანად.

ეს თანხა ანდრონიკაშვილმა მანამდე აწვალა, სანამ 5.000 მანეთს არ გამოუყვანა წირვა.

და როცა ბუხჰალტერიამ დაჟინებით მოითხოვა დანაკლისის დაფარვა, მთავარმა ინჟენერმა განკარგულება გასცა, რომ ეს „შეხვლი ფებული" თანხა „საქვეანგარიშოთ" დაეწერათ მასზე.

ამას გარდა მადა აშლილმა ინჟენერმა კიდევ ბევრი მსუქანი ლუკმა იგემა.

მომარაგების განყოფილებიდან მიღებული 4.700 მანეთი ისე ჰყლაპა, რომ ბოდიშიც არ მოუხდია.

სატყეო ტრესტიდან მიღებული 3.500 მანეთი შეინახა „ნამუსად" და არავისთვის გაუმხელია, სანამ საბუთები არ ალაპარაკდენ.

სულ ანდრონიკაშვილმა შთანთქა 14.000 მანეთი თავისი „ბურუღებით".

და ეს მოასწრო ერთი წლის განმავლობაში.

ამიტომაც სამაზრო სასამართლომ 10 წლის ვადით გაგზავნა იგი გამასწორებელ სახლში.

ანდრონიკაშვილს გარდა ამისა მიესაჯა სამოქალაქო უფლებების აყრა 5 წლის ვადით და 14.000 მანეთის გადახდა ახალშენებათა კომიტეტისათვის.

—:—

„იშკილი"

ისაკი კარაკმაზოვი სარვანის (ბორჩალოს მაზრა) კოოპერატივის პასუხისმგებელი ნოქარი იყო.

გასული წლის განმავლობაში ერთხელ გაუკეთეს რევიზია და აღმოუჩინეს „პირნათლად" მითვისებული 414 მანეთი.

გადაწყდა კარაკმაზოვის სამსახურიდან მოხსნა და პასუხისგებაში მიცემა, მაგრამ სანამ მაგიერს არ იშოვნიდენ, მაღაზიას ხომ ვერ მიატოვებდენ უხელმძღვანელოდ.

— მაინც საშველი არ აქვს ჩემს საქმეს! მოხსნილი ვარ, დღეს თუ არა ხვალ გამაპანღურებენ აქედან,—ფიქრობდა კარაკმაზოვი და თაროებს ათვალიერებდა ხარბი თვალებით.

კარაკმაზოვმა დაიწყო საქონლის ნელ-ნელა გაცლება მაღაზიიდან და როცა თაროებზე ვირთხებს თავისუფლად შეეძლოთ სარტალმარტალის გაკეთება, მოხდა ასეთი ამბავი:

მაღაზია „გაცარცვეს"—მორგებული გასაღებით. ფულისთვის ხელი არ უხლიათ „ქურდებს", მხოლოდ საქონელი წაიღეს (!).

ბოროტმოქმედის კვალის ნახვა ძნელი გახდა პირველ ხანებში, მაგრამ მალე კარაკმაზოვს გაჩხრეკამ ფარდა ახადა ყველაფერს.

1.300 მანეთის საქონელი კარაკმაზოვს გაუტანია მაღაზიიდან წინდაწინვე და გაძარცვის სიმულიაცია მოუხდენია.

ასეთი „იშკილისათვის" კარაკმაზოვს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა ორი წლის ვადით.

გერ.

ჭადრაკი

ა.-კავ. მოჭადრაკეთა პირველი ჩემპიონატი

მეთოთხმეტე ტური

ილინ-ჟენევსკი—გოგლიძე. მაესტროს შეხვედრა გოგლიძესთან დამთავრდა ყაიმით. ჟენევსკიმ გაითამაშა ისპანიური პარტია და მიიღო უფრო თავისუფალი მდგომარეობა, მაგრამ შემდეგში ლაზიერით გააკეთა სვლა და ორჯერ დაჰკარგა ტემპი. გოგლიძემ ისარგებლა მოწინააღმდეგის ამ სვლით და ნაწილობრივათ გაიუმჯობესა პოზიცია. ჟენევსკი შეეცადა ხელში ჩაეგდო ინიციატივა და გადასულიყო შეტევაზე. მაგრამ შავებმა სწორი თამაშის წყალობით კარგათ დაიცვეს თავი. ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ მოწინააღმდეგენი შეთანხმდენ ყაიმზე.

მალუნცევი—მაკაგონოვი—(ლაზიერის პაიკების დებიუტი). დებიუტში მალუნცევს უკეთესი პარტია ჰქონდა, მაგრამ შემდეგ პაიკის მოგების მიზნით, მიმართა ავანტიურულ კომბინაციას, მართლაც მოიგო პაიკი, მაგრამ სამაგიეროთ დაჰკარგა ხარისხი და პარტია წააგო.

აბრამიანი—სმოროდსკი—(ლაზიერის პაიკების დებიუტი). სმოროდსკიმ შესძლო პაიკის მოგება, რომლის შემდეგ ის შეეცადა პარტიის მოგებასაც; აბრამიანმა ლამაზი კომბინაციური სვლებით მოახერხა თავის დაღწევა, მოწინააღმდეგის იერიშებისაგან, შესწირა ხარისხი და პარტია დამთავრდა ყაიმით.

ებრალიძე—იმენიტოვი. ამ ტურში მოულოდნელი დამარცხება განიცადა ებრალიძემ. მან დებიუტშივე შეცდომით დაკარგა ფიგურა, რომლის შემდეგ ყოველგვარი წინააღმდეგობა უნაყოფო აღმოჩნდა. მე-20-სვლაზე ებრალიძე დანებდა იმენიტოვს.

სოროკინი—ტოტევიანი. სოროკინი უგულოთ თამაშობდა თავის მოწინააღმდეგესთან. თავის პარტიას მან ყურადღება მიაქცია მხოლოდ მაშინ, როცა ტოტევიანი გადავიდა ძლიერ შეტევაზე და მას მოუგო ორი პაიკი შემდეგში სოროკინმა მოახერხა თავისი მდგომარეობის გამოსწორება, შესძლო სამ სვლაში გაექეთებინა შამათი, მაგრამ ვერ შეამჩნია, რის გამო პარტია დამთავრდა ყაიმით.

მატეოსიანი—ტალვიკი. ტალვიკმა ცუდათ გაითამაშა დებიუტი, ჩავარდა მძიმე მდგომარეობაში და პარტიასაც წააგებდა, რომ მატეოსიანს არ დაეშვა შეცდომა. ტალვიკმა მოიგო ლაზიერი და აიძულა მოწინააღმდეგე დანებებულიყო მე-40-ე სვლაზე.

ავეტისოვი—ბადაი. პარტია გადადებულია ავეტისოვისათვის სასარგებლო მდგომარეობაში.

კარჩიკიანი—როსტოვცევი. მე-16-ე სვლაზე კარჩიკიანმა შეცდომით დაჰკარგა ფიგურა და დანებდა როსტოვცევს.

—:—

მეთოთხმეტე ტურის შემდეგ ჩემპიონატის მდგომარეობა ასეთია:

ილინ-ჟენევსკი და **მაკაგონოვი**+11, **გოგლიძე**+10 ნახ., **როსტოვცევი**+9 ნახ. **ტალვიკი**+9, **სმოროდსკი**+8 ნახ., **აბრამიანი**+7 ნახ. და ერთი დაუმთავრებელი, **ებრალიძე**+7 ნახ., **სოროკინი**+7 და სხვ.

ჩემპიონატის შედეგები

გუშინ საღამოს დამთავრდა ამიერ-კავკასიის მოჭადრაკეთა პირველი ჩემპიონატი, რომელიც გრძელდებოდა 15 დღე. ჩემპიონატის შედეგები ასეთია: პირველი და მეორე ადგილები გაინაწილეს მაესტროებმა—**ილინ-ჟენევსკიმ** (ლენინგრადი) და **მაკაგონოვმა** (ბაქო) მესამე ადგილი დაიკავა **გოგლიძემ** (თბილისი), მეოთხე—**როსტოვცევმა** (ბაქო), ხოლო მეხუთე და მეექვსე ადგილები გაინაწილეს—**აბრამიანმა** (ბაქო) და **ტალვიკმა.** (თბილისი).

ვ. გოგლიძე.

—:—

დიდი საჭადრაკო საღამო

პარასკევს, 13 ივლისს საბჭოთა სავაჭრო მუშაკთა კავშირის კლუბში შესდგება დიდი საჭადრაკო საღამო. მაესტრო **ილინ-ჟენევსკი** წაიკითხავს ლექციას ჭადრაკის შესახებ, რის შემდეგ გაიმართება ჭადრაკის თამაშის ერთდროული სეანსი, საღამოს პროგრამაში შეტანილია აგრეთვე ეტიუდებისა და ამოცანების გამოყვანის კონკურსი და ბლიც-ტურნირი.

ნარევი

სპილოების მოშინაურება

ბელგიის კონგოში (ცენტრალური აფრიკა) არსებობს სპილოების რამდენიმე სახელმწიფო საჯინე. სპილოებს ასწავლიან სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესრულებას: ხვნას, სიმძიმეთა გადაზიდვას და სხვ. მუშა-ხელის საკითხი კონგოში ძლიერ მწვავეთ სდგას. ცხენები და ჯორები ძლიერ ჩქარა იღუპება, დაკბენილი ბუზ ცე-ცეს მიერ, რომლის კბენა ძილის ავადმყოფობას იწვევს. სინჯეს ტრაქტორის გამოყენება, მაგრამ მისი ექსპლოატაცია ცენტრალური აფრიკის პირობებში ძლიერ ძვირი აღმოჩნდა. ამიტომ ბოლოს და ბოლოს იძულებული შეიქნენ სპილოებზე შეჩერებულიყვნენ. სპილოს შრომის გამოყენება 14 ჯერ იაფი აღმოჩნდა, ვიდრე მუშაობა ტრაქტორით, სპილოს მოვლა, კვება და მკურნალობა ავადმყოფობის შემთხვევებში დღიურად (საშუალოდ) ერთ მანეთზე მეტი არ ჯდება. სპილოს მიერ დღის განმავლობაში შესრულებული მუშაობის ღირებულება კი 150 მანეთს უდრის. ცდები სპილოების მოსაშინებლად სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესრულების მიზნით დიდი ხანია დაწყებულია. მაგრამ ამ ცდებს სერიოზული დაბრკოლებები გადაეღობა წინ. ადგილობრივ აფრიკის სპილოებს ახასიათებს ძლიერ ურჩი ბუნება და მათი მოშინაურება ძლიერ ძნელი საქმეა. ინდოეთის სპილოები, რომლებსაც არაჩვეულებრივად მშვიდი ხასიათი ახასიათებს, ძლიერ ჩქარა იღუპებოდნენ აფრიკაში. მხოლოდ უკანასკნელ წლებში აღმოაჩინეს აფრიკის სპილოების მოშინაურების სწორი მეთოდი: თურმე მათი მოშინაურება ადვილი ყოფილა „საბავშო" ჰასაკიდან. რადგან სპილოები ნელა იზრდება, რამდენიმე წლის წინად დაწყებულმა მოთვინიერებამ მხოლოდ ახლა გამოიღო ნაყოფი. ამ ცდების შედეგი იმდენად ნაყოფიერია, რომ ხელისუფლება შეუდგა ახალი საჯინეების მოწყობას სპილოებისათვის.

რადიო-გადაცემა

ოთხშაბათი, 11 ივლისი

დღეს, 11 ივლისს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 1070 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

მორზეს ანბანი—განმარტება რუსულ ენაზე

სახელმწიფო კრედიტი—მოხსენება ქართულ ენაზე.

მუშათა რადიო-გაზეთი № 3—ქართულ ენაზე.

საუბარი რადიო-ტეხნიკაზე—ქართულ ენაზე.

როგორ უნდა ვაწარმოოთ სამხედრო-სასკოლო მუშაობა თავდაცვა-ავიაქიმის უჯრედებში—ქართულ ენაზე.

კანის ჰიგიენა—რუსულ ენაზე.

რძის პროდუქტების მნიშვნელობისა და რძის უარყოფითი მხარეების შესახებ რუსულ ენაზე.

საბჭოთა და კულტურული მშენებლობა აღმოსავლეთის რესპუბლიკებში—თურქულ ენაზე

გეოფიზიკურ ობსერვატორიის ცნობები—ქართულ და რუსულ ენებზე.

კონცერტი ან ტრანსლიაცია.

ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია—ქართულ და რუსულ ენებზე.

მოხსენებების შუა—მუსიკალური ნომრები.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 11 ივლისს, თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე გასაგზავნათ იწვევს შემდეგი პროფესიის უმუშევართ: **გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდან:** თალიკო ნემსაძე, ევგენია უგრეხელიძე, ანასტასია მალიოვსკაია, სირანუშ სააკოვა, ივანე ნიკურაძე, ოლღა კაკალიშვილი, დავით შარაშიძე, ოლღა რატკო, ვლადიმერ თავაძე, სერაფიმა ჩიქოიანი, რაფიელ უნანიშვილი, ლიუდმილა დარშიანი, გიორგი კოსტანოვი, თამარ სტეფანოვა, თამარ კობიაშვილი, თამარ ბადრიძე, ლიუბა კაპანაძე, ბიქტორ ნიკოლაიშვილი, ნინო ხონელიძე, ანდრო ცხოვრებაშვილი, ნინო კარაბეგოვა; მიხეილ გაბუნია, ბაბილინა კანდელაკი, ოლღა გამყრელიძე, არსენ მეგრელიშვილი, ალექსანდრე გუსეინაშვილი, ალექსი ვასილიევი, პეტრე კაკაბაძე, ანდრო ბილინსკი; ნინო ხელაძე-ალშიბაიასი, სერგო ქარცივაძე, ა. ხანჯალოვა, ფილიპე რამიშვილი, ონიკ აირაპეტიანი, ნინო უშვერიძე, სირანუშ გევორქოვა, ოლღა ვაჩნაძე, ნიკოლოზ დოლონაძე, მარინე ინანიშვილი, და ანა ჭუმბურიძე, **მედსექციიდან:** რუბენ ვარლამოვი და **მეხუთე სექციიდან:** ნიკოლოზ მხეიძე.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 33

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

უმაღლესი სასწავლებლების აკადემიური პერსონალისა და სამეცნიერო დაწესებულებებს სამეცნიერო დარგში მომუშავეთა პენსიით უზრუნველყოფის შესახებ

უმაღლესი სასწავლებლების აკადემიური პერსონალისა და სამეცნიერო დაწესებულებების სამეცნიერო დარგში მომუშავეთა პენსიით უზრუნველყოფის მიზნით სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. იმ პირთ, რომელნიც უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო-აკადემიურ პერსონალს ეკუთვნიან, აგრეთვე სხვა სამეცნიერო დაწესებულებების სამეცნიერო დარგში მომუშავე პირთ, უკეთუ მათ უმაღლეს სასწავლებელში ან სამეცნიერო დაწესებულებაში უმსახურნიათ არა ნაკლებ, ვიდრე 25 წლისა, ან 60 წლის ასაკისათვის მიუღწევიათ და ზემოაღნიშნულ დაწესებულებებში უმსახურნიათ არა ნაკლებ, ვიდრე 10 წლისა, უფლება აქვთ მიიღონ პენსია სიკვდილამდე იმ წლიური საშუალო საშოვრის სამი მეოთხედი რაოდენობით, რასაც ისინი უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში იღებდნენ, ხოლო არა უმეტეს ნორმალური აკადემიური ჯამაგირის ორი განაკვეთისა.

შენიშვნა 1. ამა მუხლში აღნიშნულ პირთა პენსიის რაოდენობა გადიდებულ უნდა იქნეს მექანიკურად, უკეთუ გადიდებულ იქნება ნორმალური აკადემიური ჯამაგირის განაკვეთის რაოდენობა.

შენიშვნა 2. ზემოაღნიშნულ პირთ, უკეთუ მათ უმაღლეს სასწავლებლებში ან სამეცნიერო დაწესებულებებში უმსახურნიათ არა ნაკლებ, ვიდრე 15 წლისა, ხოლო დაუკარგავთ შრომის უნარი 60 წლის ასაკის მიღწევამდე. უფლება აქვთ მიიღონ პენსია სრული პენსიის ნახევრის რაოდენობით.

შენიშვნა 3. ის პირნი, რომელთაც დაუკარგავთ შრომის უნარი თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობის ასრულების დროს ან ამ მოვალეობის ასრულებასთან ბასთან დაკავშირებით, მიიღებენ პენსიას მათი უკანასკნელი თანამდებობის სრული ჯამაგირის რაოდენობით, სამეცნიერო მოღვაწეობის სტაჟის მიუხედავად.

2. ამა დადგენილების 1-ლი მუხლით გათვალისწინებული სამსახურის ვადაში ჩაითვლება უმაღლეს სასწავლებელში ან სამეცნიერო დაწესებულებაში საქართველოს გასაბჭოებამდე გატარებული სამსახური, იმ მომენტიდან დაწყებული, როდესაც ესა თუ ის პირი დატოვებულ იქნა უნივერსიტეტში სამეცნიერო წოდებისათვის მოსამზადებლად, ან იმ დროიდან, როდესაც სამეცნიერო დარგში მომუშავე თანამშრომელი მიღებულ იქნა ასეთ თანამდებობაზე სამეცნიერო დაწესებულებაში, ან უმაღლეს სასწავლებელში; ამასთანავე სამსახურის წლებში ჩაითვლება აგრეთვე მომუშავის საზღვაო სამსახურიც.

3. სამსახურის შეწყვეტის გამო სამსახურის გარეშე გატარებული დრო,—გარდა წითელ არმიაში და წითელ ფლოტში, სამეცნიერო წარვლინებაში და ამა თუ იმ დაწესებულებაში საარჩევნო თანამდებობაზე ყოფნის დროისა, აგრეთვე გარდა რევოლიუციის წინა პერიოდში, პოლიტიკური დანაშაულისათვის, სასამართლოს განაჩენისა და ადმინისტრატიული წესით დადებული გადასახლების თანახმად კატორღაში, გამასწორებელ საპატიმროგანყოფილებაში, ციხეში ან გადასახლებაში გატარებული დროისა, არ ჩაითვლება სამსახურის ვადაში, რაც, ამა დადგენილების 1-ლი მუხლის თანახმად, პენსიის მიღების უფლებას იძლევა.

4. უკეთუ ამა დადგენილების 1-ლი მუხ. აღნიშნული პირი გარდაიცვალა, მისი ხვედრი პენსიის მიღების უფლება ეკუთვნით მისი ოჯახის წევრებს: მის რჩენაზე მყოფ შრომის უნარმოკლებულ მეუღლეს—ნახევარი პენსიის რაოდენობით და ყველა სხვა შრომის უნარ მოკლებულ პირს—ერთი მეოთხედი პენსიის რაოდენობით, ხოლო იმ პირობით, რომ მათ მიერ მისაღები პენსიის საერთო რაოდენობა არ აღემატებოდეს პენსიის სრულ რაოდენობას.

შენიშვნა. არა-სრულწლოვანს პენსია სრულწლოვანობის მიღწევამდე ეძლევა, ხოლო დანარჩენ პირთ სიკვდილამდე ან შრომის უნარის აღდგენამდე.

5. იმ პირს, რომელმაც, ამა დადგენილების თანახმად, პენსია დაიმსახურა და სამსახურში იქნა დატოვებული, უფლება აქვს მიიღოს თავისი ხვედრი პენსიის ნახევარი.

6. იმ პირს, რომელსაც, ამა დადგენილების თანახმად, იმაზე ნაკლები პენსია ერგება, რაც სოციალური დაზღვევის კანონით არის გათვალისწინებული, პენსია უნდა მიეცეს სოციალური დაზღვევის საერთო კანონმდებლობასთან შეფარდებით.

7. იმ პირს, რომელსაც შეთავსებით ორი ან მეტი თანამდებობა უჭირავს, პენსია უნდა მიეცეს იმ ერთი თანამდებობის ჯამაგირის მიხედვით, რომლისთვისაც უმაღლესი განაკვეთია დაწესებული.

8. პენსიების გაცემისათვის საჭირო კრედიტები შეიტანება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების ხარჯთ-აღრიცხვაში საერთო წესისამებრ.

შენიშვნა. იმ თანხებს, რაც ამა დადგენილებაში აღნიშნულ პირთ ერგებათ სოციალური დაზღვევის უზრუნველყოფისათვის, სიკვდილისა ან ინვალიდობის გამო, სოციალური დაზღვევის ორგანოები შეიტანენ ხაზინის შემოსავლად სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების ხარჯთ-აღრიცხვით.

9. ამა დადგენილების თანახმად დანიშნული პენსიების გაცემის წესი დამყარდება განსაკუთრებული ინსტრუქციით, რასაც გამოსცემს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება, განათლების სახალხო კომისარიატთან, ფინანსთა სახალხო კომისარიატთან და შრომის სახალხო კომისარიატთან ერთად.

10. დაევალოს განათლების სახალხო კომისარიატს, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებასთან და ფინანსთა სახალხო კომისარიატთან ერთად, შეიმუშაოს იმ სამეცნიერო დაწესებულებათა და თანამდებობათა ნუსხა, რომლებზედაც ეს დადგენილება ვრცელდება.

11. დადგენილება ესე შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ 1928 წლის სექტემბრის 1-დან.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე

ფ. მახარაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

ს. ჟუღელი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგიერ

დ. აფციაური.

1928 წ. მაისის 17.

თბილისი—სასახლე.

პარტიული კალენდარი

დღეს, 11 ივლისს, პლეხანოვის კლუბთან არსებულ ქალთა კუთხეში შესდგება ლენინის რაიონის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება. დღის წესრიგშია: მოხსენება ბავშთა ბაგების შესახებ.

—:—

საქართ. პროლეტარულ სტუდენტთა ცენტბიურო დღეს, 11 ივლისს, საღამოს 6 საათზე პროფსაბჭოს შენობაში იწვევს აკადემიურ კომისიის სხდომას, რომელსაც უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: ა. გაბიძაშვილი, ვ. მელუა, ნ. ჩიხლაძე, გ. გვარჯალაძე, ადრასკოვი, მელკუმოვი, გავრილოვი და ყველა უმაღლეს სასწავლებლების, მუშფაკების და ტეხნიკუმების აკადემიური მუშაკები.

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ფორონჯია, შვილები: ნუცა და ჯოგო და ელისაბედ ჯაპავასი, რძალი ალექსანდრა, ძმა ევგენი ჯორჯიკიები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობებს, რომ გარდაიცვალა მათი ძვირფასი და საყვარელი

ბესარიონ ივანეს-ძე ჯორჯიკია

დაკრძალვა ს. ნოჯიხევში 12 ივლისს. 2973



სახელმწიფო გამომცემლობა

მოითხოვეთ ახალი წიგნები.

ვ. ლენინი—წერილები მაქსიმ გორკისადმი გვ. 116, ფასი 65 კაპ.

ხარაბაძე და ლორთქიფანიძე — მათემატიკის სახელმძღვანელო. მე-4 ჯგუფის, გვ. 146, ფასი 75 კაპ.

„რევოლიუციის მატიანე" № 2 (19) ს. კ. პ. (ბ) პარტიის ჟურნალი. ფასი 1 მ. 50 კ.

ნის. 1362

სახკინმრეწველობის კინოები		
განთიადი	მხატვრული ფილმი თეატრში გაძლიერებულია ვენტელიაცია	მიკოლა ჭერია
საზაფხულო ეთერი	უკანასკნელი დღე	სისხლიანი წარღვნა (მაბულ)
საზაფხულო დარბაზი	კიდევ ერთ დღეს	ბულატ ბატირ
საზაფხულო პალასი	უცხოეთის მხატვრული სურათი	კლოდ დიუვალ
მინიონი	უკანასკნელი 3 და 4 სერია	ზღვის გმირი
პროლეტარი ავლაბარი	მხატვრული დრამა	შხამი

ანონსი: მალე ორი ახალი სურათი „გადატეხილი ზამბახი და „ნინუ" 0—35

საბჭოთა სავაჭრო მუშაკების საზაფხულო კლუბი

დღეს, 11 ივლისს,

დიდი სიმფონიური კონცერტი

სახალხო არტისტის ი. პ. ფალიაშვილის ხელმძღვანელობ. და გ. ვენაძის მონაწილეობ.

პროგრამაში: **ზაქ. ფალიაშვილი, ბალანჩივაძე, ვ. დოლიძე, კილაძე და ი. ტუსკია**

დასაწყისი საღამოს 9 საათზე წვიმიანი ამინდი კონცერტს ხელს არ შეუშლის.

ბაღში კინო ბილეთები გამოდგება კინოშიაც

შემოღებულია სტუდენტ. და მოწაფეთა ბილეთები

ხვალ, 12 ივლისს, კონცერტი ორჯონიკიძის სახელობის კლუბში.

15 ივლისს დირიჟორ **ხეიფეცის** პირველი გასტროლი. ნ. 1376

ქალ. ლომბარდის სააუქციონო კამერა

აცხადებს, რომ 12, 13, 14 ივლისს, დილის 10 საათზე, კომინტერნის ქ. № 3, დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ფინსახკომისადმი დავალიანებათა ასანაზღაურებლად გაიყიდება ყოფილი საკომისიო მაღაზია „უნივერსალის"-ს ქონება და მრავალი საოჯახო ნივთები. ნ. 1383

ექიმი

გ. მ. ფხალაძე

გადავიდა მარტის ქუჩაზე № 6 (ყოფ. ბოგოსლოვის) ჩასახვევი ოლღის ქუჩიდან. სპეციალ. სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი.

იღებს: დილის 7—8 საათამდე

საღამოს 7—9 კაცებს
6—7 ქალებს.

თბილისის ქალაქის ლომბარდი

(კეცხოველის ქ. № 8) ამით აცხადებს, რომ კვირას, 15 ივლისს, დილის 10 საათზე

დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ვადაგასულ გირაოებისა, გასაყიდი გირაოების ნომრები გამოცხადებულია ლომბარდის დარბაზში. ნ. 1381

ქ. თბილ. გარე-უბნის სასამართლოს აღმასრულებელი გ. მეგრელიშვილი

ამით აცხადებს, რომ ის 15 ივლისს 1928 წ. დღის 11 საათზე ს. გლდანში (აგჭალის თემი) **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის გაბო და გიო ვეშაპიძეების მოძრავ ქონებას: ხელის საკერ მანქანას, მაგიდას, ფარდაგს, ძროხებს, ორდეკეულს, ბუფეტს და გარდერობს. შეფასებულს 290 მანეთად, მიხეილ ოდიშვილის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის გარე უბნის სახალხო სასამართლოსაგან 3 აგვისტოს 1926 წ. თარიღით, № 1312 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 2978

მათემატიკის მასწავლებელი

ამზადებს

ქართულ და რუსულ ენაზე

უმაღლეს სასწავლებ., მუშფაკ., სპეც. ტეხნიკ., სამხედრ. აკად., 9 წლ. ყველა ჯგუფ. (რუსულსა და მათემატიკაში) საშემოდგომო მისაღებ და განმეორებითი გამოცდებისათვის, აგრეთვე 7 წლედისათვის ყველა საგნებში. პლეხანოვის ქ. 25 (შესავალი ჩერნიშევის ქ. № 5) 8—1 ს., 2—6 ს. ორ მოწაფეს ვღებულობთ სრულ კმაყოფაზე და ბინით. 4—1 2974

თმის მკურნალობა

საექიმო-კოსმეტიკა, ელექტრო-სინათლით სამკურნალო კაბინეთი

ნ. გ. კონსტოროვიჩისა

მიღებულია საზღვარგარეთიდან ახალი საშუალებები თმების სამკურნალოთ და ფერის მჭამელას, მუწუკების, ჭორფლის, ტალის, მეჭეჭის და სხვ. გასაქრობათ. ვაძლევ საექიმო რჩევა-დარიგებას პირის კანის მოვლისა და თვითმასაჟის შესახებ საზღვარ-გარეთის მეთოდების მიხედვით. ფრეილინის ქ. № 1. პაციენტების მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

ექიმი

ქ. ს. ფონ-ირტელი

სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილის და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე, ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღი 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღ 10—12 საათამდე.

პლეხანოვის პროსპ. № 10 13—1

ლოგოპედი

ტ. კაიშაური

ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა

■ **ასწორებს** ■

ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს

იღებს: საღამოს, 5—7 საათ. მისამართი: ქ. ცეტკინის ქუჩა № 132

ექიმი ჯალალოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა

ავადმყოფ. მიღება: მამაკაცების დილით—7—8. საღამოთი—5—8 ქალების: დილით —8—9 საღ.—4—5 მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ტელეფ. № 1—90 25—2

სენაკის მაზრის სახდაზღვევის სააგენტო აცხადებს, რომ სააგენტოდან

დაიკარგა

სავალდებულო საგანაკვეთო პრემიის (განაკვეთის და ნარჩენის) ასაკრეფი საქვითარო წიგნაკები მე-4 ფორმისა 5 ცალი: 1) №№ 773876—773900, 2) 773901—773925, 3) 774326—774350, 4) 429601—429625, 5) 774650—774675) უკანასკნელ წიგნაკიდან სამი ფურცელი №№ 774673, 774674 და 774675 დახარჯულია).

ზეაღნიშნული წიგნაკები ჩაითვალოს გაუქმებულად. ნ. 1384

ს. მ. უ. ს. ტყავ-ტრესტის ბალანსი

1-ლი ოქტომბრისათვის 1927 წ.

აქტივი.

1. უძრავი ქონება			748.792	03
2. მოძრავი ქონება			483.883	62
3. გაწყობილებანი			41.666	19
4. სათადარიგო გაწყობილებანი			42.238	39
5. დაუმთავრებელი შენობები			92.620	05
6. დაუმთავრებელი კაპიტალური რემონტი			60.988	14
7. მასალა			604.195	83
8. დაუმთავრებელი წარმოება			238.593	45
9. საქონელი და მზა ნაწარმი			313.198	28
10. კასა და მიმდინარე ანგარიშები			4.252	31
11. ფასიანი და %/% ქაღალდები			1.615	—
12. პაიები და აქციები			51.059	—
13. თამასუქები პორთფელში			2.720	27
14. ბანკებში განაღდებული თამასუქები			245.206	68
15. ანგარიშ-სავალდებულო თანხები			4.001	11
16. დებიტორები				
ა) მუშა-მოსამსახურენი	17.653	54		
ბ) მომწოდებლები და მონარდენი	63.911	06		
გ) მყიდველები და დამკვეთელები	85.309	37		
დ) სხვადასხვა დებიტორები	11.642	46		
ე) საეჭვო დებიტორები	19.401	04	197.917	44
17. მომავალ წლების ხარჯები			10.976	01
18. ზარალი საანგარიშო წლისა			134.246	52
			3.278.170	32

პასივი.

კაპიტალი				
1. საწესდებო	1.924.194	73		
2. საამორტიზაციო	68.943	72		
3. სარეზერვო	76.577	33	2.069.715	78
ფონდები				
1. მუშა მოსამს. ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებ. ფონდი	17.285	08		
2. სპეციალური ფონდები	724	73	18.009	81
რეზერვები				
1. საეჭვო ვალების რეზერვი	19.401	04		
2. ფასების დაკლების რეზერვი	18.542	48	37.943	52
სესხები და კრედიტები				
1. ბანკები სპეციალური მიმდინარე ანგარიშებით ბანკებში			228.251	18
2. ფინსახკომის სესხები			200.500	—
3. გაცემული თამასუქები			356.714	87
4. ბანკები განაღდებულ თამასუქებით			245.206	68
კრედიტორები				
1. მუშა-მოს მსახურენი	17.850	21		
2. მომწოდებლები და მონარდენი	30.577	98		
3. მყიდველები და დამკვეთელები	7.455	44		
4. სხვადასხვა კრედიტორები	65.944	85	121.828	48
			3.278.170	32

ბალანსის იქითა მუხლები

საგარანტიო თამასუქები 693.700—00

გაცემული საგარანტიო თამასუქები 693.700—00

ბალანსის გარეშე

1. მიწები 17.325 კვ. საჟ. 40.715—
2. ნაშთი საამორტიზაციო ანარიცხეისა 1/10—26 წ.

დარიცხული საწესდებო კაპიტალზე 193.449—32

სულ ბალანსის გარეშე: 234.214—32

მოგება ზარალის ანგარიში

ზარალი

1. სავაჭრო ხარჯები	148.095	—
2. საერთო საადმინისტრაციო ხარჯები	154.341	04
3. გადახდილი პროცენტები	106.993	33
4. უიმედო ვალების ჩამოწერა	3.679	63
5. ანარიცხი საეჭვო ვალების რეზერვში	14.638	45
6. ანარიცხი საქონლის ფასდაკლების რეზერვ.	18.542	48
7. სხვადასხვა ხარჯი და ზარალი	41.460	90
	487.750	83

მოგება

1. მოგება საქონლის რეალიზაციიდან	312.187	02
2. მიღებული პროცენტები	15.230	81
3. მასალების და საქონლის მეტობა	8.506	85
4. ჩამოწერილი უიმედო ვალების დაბრუნება	3.384	03
5. საეჭვო ვალების რეზერვის შემცირება	1.159	65
6. სხვადასხვა შემოსავალი და მოგება	13.035	95
	353.504	31
ზარალი 1926 | 27 წ.	134.246	52
	487.750	83

ს.მ.უ.ს. ტყავ-ტრესტის მმართველი მ. გარინი

მთავარი ბუხჰალტერი ს. ხაჩიკოვი

ეს ბალანსი დამტკიცებულია ბალანსების განმხილველი საუწყებათაშორისო კომისიის მიერ და ნებადართულია გამოსაქვეყნებლად (ოქმი № 1—17 | 4—28 წ. მუხ. 6).

ს.მ.უ.ს. მთ. ბუხჰალტერი ჯანელიძე

ნის. 1379

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის **სამკურნალო**

ბაწლებით **ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი**

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—4

ექიმი

ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს") პირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევი პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—1

დაიკარგა: ლომბარდის ქვითარი № 50967, ჩ. გ. 2972

დაიკარგა: ტრამვაის წლიური ბილეთი № 467, ჩ. გ. ნ. 1384

დაიკარგა: მუშკოოპის საწევრო წიგნაკი № 14642 ისრაელ როკეთლიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2971

დაიკარგა: თვითმშრომელთა კავშირის წიგნაკი № 3053 პარმენ ისაკაძეს სახელზე, ჩ. გ. 2975

დაიკარგა: პირადობის მოწმობა № 24 და სიღარიბის მოწმობა № 372, გაცემული ოფურჩხეთის თემის აღმასკომიდან ნოე ბესარიონის-ძე ფურცხვანიძის სახელზე, ჩ. გ. 2979

დაიკარგა: სახალხო კვების კავშირის წიგნაკი № 2410 შოთა ნიკოს-ძე გოგოლაძის სახელზე, ჩ. გ. 2976

დაიკარგა: პირადობის მოწმობა № 1039, ტრ. კავშირის წიგნაკი № 4198 იოსებ (სოსო) დავითის-ძე მებურიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2977

დაიკარგა: კომპარტიის საკანდიდატო ბილეთი № 13291 ლავრენტი ენუქიძის სახელზე, ჩ. გ. 2983

დაიკარგა: პარტ. საწევრო წიგნაკი № 0863212 გიორგი პაპუაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2982

დაიკარგა: ქიმიკოსთა კავშირის წიგნაკი № 264554 გაცემული ტიგრან მიხეილის-ძე არუთინოვის სახელზე, ჩ. გ. 2181

დაიკარგა: კ. პ. (ბ) საკანდიდატო ბარათი № 19594 მიღე ული ზუგდიდის სამაზრკომიდან ბაგრატი აბსავას სახელზე, ჩ. გ. 2980

მთავლიტი № 904.

პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა, კამოს ქ. № 68.